

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მ ა ს ც ნ ე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

4 · 1975

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

4 · 1975

ქურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე ლ ა ჯ ი ი მ კ ო ლ ე გ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (რედაქტორი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მღვანეი გ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глопти

რ ე დ ა კ ტ ი ი მ მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-67 ტელეფონი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.11.1975; შეკვ. 2927; ანაწეობის ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16,98; სააღრიცხეო-საგამომცემლო
თაბახი 15; უე 02076; ტირაჟი 1600.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შ ი ნ ა რ ს ი

ყ რ ი ლ ე ბ ი

2. შარაშენიძე, ქართული მწერლობა 1905 წლის რეპოლუციის სამსახურში	5
3. აბულაძე, თაობათა ურთიერთობის საკითხი კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“	17
თ. ჯაგორდინიშვილი, რაფიელ ერისთავის ლირიკის ხალხური ბუნება	27
თ. ნუსუბიძე, ამერიკელი კლასიკოსების ქართული თარგმანები	38
3. შეთქაპური, მეტაფორის მხატვრულ-ემოციური ფუნქციისათვის	45
ქ. ცინდელიანი, მეფეთა წიგნების შედგენილობა, I	62
ქ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში	79
ლ. ბიუნაშვილი, გლეხობის საკითხის ასახვა ამინ ფაყირის შემოქმედებაში	91
ბ. ანთელაძე, თურქეთის ლინგვისტური საზოგადოება და თურქული სალიტერატურა ენის ზოგიერთი რეფორმის საკითხი	103
ლ. ნადარეიშვილი, საერთო-ქართულური ლექსიკიდან	110
მ. მაკალათია, შრავლობითის -ებ, -ნ სუფიქსთა ტოპონიმიკური ფუნქციისათვის	115
ი. მელიქიშვილი, ე>ი პროცესი ზანურ დიალექტებში და ზმოვანთა შესატყვისობის ერთი დარღვევა ქართულურ ენებში	122
თ. ცაბთიშვილი, მკუეყარ ფემისათვის ძველ ქართულში	129
ა. კიზირია, უსრული წინადადება ქართულში	135
ლ. ლასაბიძე, ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა სემანტიკური და სინტაქსური კავშირი ზნნასთან თანამედროვე ქართულში	150
ბ. ბიბინაშვილი, საერთოდალესტურ მკვეთრ აფრიკატთა სიმონტანური ცვლა დარღვეულ ენაში	158
3. მამულაძე, ანტონიმური ფრაზოლოგიური ერთეულები თანამედროვე სალიტერატურო თურქულში	165

ც ნ ო ბ ა ბ ი და შ ა ნ ი შ ა ნ ე ბ ი

ბ. ბერაძე, ჭალაქი შირვანის ერთი უნიკალური კასიდის შესწავლის ისტორიიდან	168
ბ. ალასანია, „გარშიან“, „გარშიანელი“-ს განმარტებისათვის	175

კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ი. ბოგომოლოვი, საქართველო ნ. ტიხონოვის პოეზიაში	179
რ. შამელაშვილი, ქართული ენათმეცნიერების ძვირფასი შენაძენი	181

ქ რ ო ნ ი კ ა და ი ნ შ ო რ ა მ ა ც ი ა

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	185
ი. აბაშიძე, შთამომავალთა ლირიული მადლობა	195
ა. ბარაშიძე, მწერალი, მეცნიერი, მამულიშვილი	196

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Э. ШАРАДЗЕНИДЗЕ, Грузинская литература в период революции 1905 года	
М. АБУЛАДЗЕ, Проблема взаимоотношений поколений в романе К. Гамсахурдиа «Похищение луны»	17
Т. ДЖАГОДНИШВИЛИ, Народность лирики Рафиела Эрнстави	27
Т. НУЦУБИДЗЕ, Грузинские переводы американских классиков	36
Г. ШЕТЕКАУРИ, К художественно-эмоциональной функции метафоры	46
У. ЦИЦДЕЛИАНИ, Состав Книг Царств, I	62
К. ДАНЕЛИА, Следы влияния иностранных языков в древнегрузинских письменных памятниках	79
Л. ГИУНАШЕИЛИ, Отражение крестьянского вопроса в творчестве Амина Факири	91
Г. АНГЕЛАВА, Турецкое лингвистическое общество и некоторые вопросы формы турецкого литературного языка	103
Л. НАДАРЕИШВИЛИ, Из общекартвельской лексики	110
П. МАКАЛАТИА, Топонимическая функция показателей множественного числа -ჭბ- eb, -ბ- n	115
К. МЕЛИКИШЕИЛИ, Переход e>i в занских диалектах и один случай нарушения соответствия гласных в картвельских языках	122
Т. ЦКИТИШВИЛИ, Об основе «ჭუჭუბუჩ» («tkwecag») в древнегрузинском языке	129
А. КИЗИРИЯ, Неполное предложение в грузинском языке	135
Л. ЛАЦАБИДЗЕ, Семантико-синтаксическая связь форм родительного падежа с глаголом в современном грузинском языке	150
Б. ГИГИНЕИШВИЛИ, Изменение общеджаргандских интенсивных глоттализованных аффрикат в даргинском языке	158
Э. МАМУЛЯ, Антонимные фразеологизмы в современном турецком языке	165

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. БЕРАДЗЕ, Из истории изучения одной уникальной касиды Фалакп Ширвани	168
Г. АЛАСАНИА, К толкованию слов «Гармия», «Гармиятели».	175

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

И. БОГОМОЛОВ, Грузия в поэзии Н. С. Тихонова	179
Г. ШАМЕЛАШВИЛИ, Значительный вклад в грузинское языкознание	181

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барской шкуре»	185
И. АБАШИДЗЕ, Благодарность поколений	195
А. БАРАМИДЗЕ, Писатель, ученый, гражданин	196

1905—1907 წწ. რევოლუციის 70 წლისთავი

პირა პარაფენიძე

ქართული მხარე 1905 წლის რევოლუციის სამსახურში

1905—1907 წლების რევოლუცია, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლისა და გლეხების თავდადებული, გმირული ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, მასების პოლიტიკური აღზრდის სკოლა იყო, რომელმაც მილიონობით მშრომელი დარაზმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და პირველი სერიოზული დარტყმა შეაყენა ცარიზმსა და საერთაშორისო იმპერიალიზმს. ამით მან მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა და საფუძველი ჩაუყარა 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დაიწყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გარდატეხის მომენტში.

1905 წლის 3 იანვარს პეტერბურგში გაიფიცნენ პეტელოვის ქაჩისნი მუშები. მეფის დაქირავებულმა აგენტმა, პროვოკატორმა მღვდელმა გააჩნა მუშათა ნაწილი დაითანხმა მეფესთან მშვიდობიან მოლაპარაკებაზე. 9 იანვარს დილით პეტერბურგის მშრომელები ხატებოთა და მეფის სურათებთან ხელში გაპონის წინამძღოლობით გაემართნენ ზამთრის სასახლისაკენ, მაგრამ მეფემ მათ ტყვეები და ზარბაზნები დაუშინა.

9 იანვრის სისხლიანმა კვირამ, რომელსაც ვ. ი. ლენინმა რუსეთის რევოლუციის დასაწყისი უწოდა, ნათლად დაანახა ყველა მშრომელს, რომ მათი განთავისუფლება მხოლოდ რევოლუციური ბრძოლით არის შესაძლებელი.

1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში დაიწყო და განვითარდა რუსეთის რევოლუციური ბრძოლების უშუალო გავლენით. 9 იანვრის სისხლიანი კვირის გამოძახილი იყო თბილისში 18 იანვარს დაწყებული საპროტესტო გაფიცვები, რომელმაც მალე საყოველთაო ხასიათი მიიღო და თითქმის ერთდროულად მოედო ამიერკავკასიას ბაქოდან ბათუმამდის.

რუსეთის პირველი რევოლუციის ყოველი ღირსშესანიშნავი მოვლენა, კვეყნის საერთო პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება, ცხოვრების სერიოზული თუ წვრილმანი საკითხი ფართოდ აისახა იმ პერიოდის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, რომელიც არსებითად რევოლუციის იდეების სამსახურში ჩადგა.

როდესაც ვლადიმერმა 1905 წლის რევოლუციის პერიოდის მხატვრულ ლიტერატურაზე, ძირითადად მხედველობაში გვაქვს რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობა, თუმცა სახალხო მოძრაობას არაერთი აღფრთოვანებული სტრიქონი უძღვნეს ქართველმა კლასიკოსებმა აკაკი შერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროის ლიტერატურულ ცხოვრების განვითარებისათვის. რევოლუციური პათოსით დაწერილი მათი ლექსები ხელს უწყობდნენ აბოძოქრებულ ხალხთა მასების შეუპოვარ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

იმ ქარიშხლიან დღეებში მოხუცი აკაკის შემოქმედებაში ძლიერად ამეტყველდა ბრძოლის განწყობილება. აღფრთოვანებული პოეტი რევოლუციის სიღრმეში დასაძრავად საშობლოს გადარჩენის, შავბნელი ცხოვრებისაგან თავის დაღწევის ერთადერთ გზას, ქართული სამოციანელების სანატრელი ოცნების განხორციელებას:

ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში
და, როგორც სვიმონ მოხუცებულსა,
მეც მომეფინა, მოხუცს, ნუგეშა.

აკაკის სწავს, რომ მალე ბოლო მოეღება უსამართლიანს, ქვეყნად დამყარდება ერთობა და სრული თანხმობა.

მოდჩაობის გაპლიერებით გამხრევებული აკაკი პროგრესულ ახალგაზრობაზე ამყარებს იმედს და ფართო მოქმედებისთვის გზას ულოცავს მათ:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ,
ვიცინი, აღარ ვტირი მე,
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი პირობე.

ცარიზმის წინააღმდეგ აკაკის გაბედულმა ხმამ ყუმბარასავით იფეთქა რევოლუციის ბობოქრობის დღეებში:

ძირს მთავრობაე, უსამართლო,
ველარ ვიტახთ ვასაჭირსო,
ყოველი მხრად გეძახიან:
„ძირს მთავრობაე, აწ კი ძირსო!“

აკაკი წერეთელმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა მოთავეთაგანმა. შესანიშნავად აუღო ალღო მუშათა მოძრაობის მოთხოვნილებას. მოხუცი პოეტის გალაშქრება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამომდინარეობდა ქართული ხალხის არა მხოლოდ ეროვნული, არამედ სოციალური ინტერესებიდანაც. სწორედ ამ პერიოდში თარგმნა პოეტმა ცნობილი საერთაშორისო პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

მართალია, რევოლუციის ღრმა სოციალური არსი აკაკის არ ესმოდა, მაგრამ გულწრფელად თანაუგრძობდა მას, როგორც მშრომელი ხალხის განმათავისუფლებელ ძალას, ილაშქრებდა თვითმპყრობელობისა და საერთოდ მზავრელი კლასების წინააღმდეგ.

1905—1907 წლებში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აბობოქრებულ ხალხთა მასების შეუპოვარმა ბრძოლამ თავისი გამოხატულება პოეა ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. მთის ლაღი ბუნების შეიღმა განსაკუთრებული სიძლიერით განიცადა რევოლუციის ქარიშხალი და გულწრფელი სტრიქონები უძღვნა მას.

„თავისუფლება ხალხისათვის წართმეული ბედნიერებააო“, — წერდა ვაჟა და ურყევად სწამდა, რომ ამ ბედნიერებას ახლო მომავალში იზვიებდა მტერზე გამარჯვებული მშრომელი ხალხი.

ვაჟა-ფშაველა პრაქტიკულად იღებდა მონაწილეობას 1905 წლის რევოლუციაში. მან, როგორც ფშავ-ხევსურეთში რევოლუციური რაზმების ერთ-

¹ ვაჟა-ფშაველა რა არის თავისუფლება?, ავად კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. II, № 5317.

ერთმა ორგანიზატორმა, დაწერა „ფშავ-ხევსურთა დეკლარაცია“, რომელშიაც წამოყენებული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის მკაცრი და სამართლიანი მოთხოვნები.

რევოლუციის აღმავლობის წლებში ეყამ თავისი მგზნებარე პოეტური ხმა სახალხო მოძრაობას შეუერთა. მშრომელთა თავგანწირულმა ბრძოლამ მას მრავალი გულწრფელი ლექსი დააწერინა.

მირჩება გულის წაღლები,
რჩება სნეული ოცნება,
ტყდება ნონობის ბორკილი,
დღესასწაულობს გონება —

ამბობს რევოლუციური ბრძოლებით აღფრთოვანებული პოეტი და სწამს, რომ მალე „ქვეყნის სისხლის მსუტავი ეშაპი“ განადგურებული იქნება, სანატრელი ოცნება სინამდვილედ იქცევა. ცარიზმის წინააღმდეგ აღდგა დიდი თუ პატარა, მუშების მხარდამხარ გლეხმაც აიმაღლა ხმა:

საქმო ხანი ვითმინე,
მოთმენა ვამომელია.
ახლა ხალს ვლესავ, გორდასა.
ვალესვა ინის ჭერია:
იქნება იმან მიშველოს
და მოძაშოროს მტერია.

რევოლუციის დამარცხების შემდეგაც არ შეცვლილა პოეტის რწმენა, რომ აზვირთებული ხალხი მოსპობდა, ნაცარტუტად აქცეოდა ბნელ ძალებს და მალე სრულ თავისუფლებასა და გამარჯვებას იღლესასწაულებდა.

აკაცისა და ვეჯის შემოქმედებაში რევოლუციური ბრძოლის განწყობილება თავისებურად ამეტყველდა. ენთუზიაზმი, სახალხო მოძრაობით აღფრთოვანება და სიმპათიები რევოლუციისადმი — მათი სულიერი განწყობილებიდან გამომდინარეობდა. მათ ყარგა ხანია შეიგნეს, რომ ძველი ცხოვრების საფუძვლები დაარღვეა, მისი შეჩერება შეუძლებელია და ამ პროცესის ისტორიულ აუცილებლობას ემორჩილებიან, მაგრამ რევოლუციის მოთხოვნილებათა სიმალღემდე ვერ აღიან.

ლიტერატურის რევოლუციურ გზაზე დაყენების საქმეში დიდი როლი შეასრულა ქართულმა ბოლშევიკურმა პრესამ, რომელიც თავის გარშემო იყრებდა პროგრესულ ძალებს და მიზნად უსახავდა მათ, მხატვრული სიტყვით ხელი შეეწყობათ რევოლუციის გააღიერებისათვის, ხალხთა მასების დარაზმისთვის.

ბოლშევიკური პარტია იღეურ ზეგავლენას ახდენდა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. პარტიულ-პოლიტიკური ხასიათის სახელმძღვანელო სტატიებთან და პროკლამაციებთან ერთად ქართული არალეგალური და ლეგალური ბოლშევიკური პრესა თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა რევოლუციური პათოსით დაწერილ ორიგინალურსა თუ თარგმნილ მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომლებიც თავისი შინაარსით რევოლუციურ მოძრაობასთან იყვნენ დაკავშირებულნი და უდიდეს იღეურ-პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნებული ლიტერატურა მრავალფეროვანია როგორც თემატიკის. ისე მხატვრული ფორმის მხრივ. ივი ეხება მშრომელთა

სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს, თვითმპყრობელურია ხელი-სუფლების მიერ რევოლუციონერთა დევნას, ლიბერალური ბურჟუაზიის, მი-ნოვნიკების, სულიერ მამათა და კარიერის მოყვარულთა გამყიდველ ბუნებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ ბოლშევიკურ პრესაში რევოლუ-ციურ-დემოკრატიული მწერლობის ფუძემდებლის, მამინ ჭერ კიდევ ახალ-გაზრდა ნიჭიერი და ნაყოფიერი მწერლის იროდიონ ევდოშვილის მოღვაწეობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქართველ შემოქმედთა მთელ პლეადას და მზუნდა დაუსახა რევოლუციისადმი წინდა სამსახური.

ბოლშევიკურ პრესაში ი. ევდოშვილთან ერთად თანამშრომლობდნენ დრა-მატურგი ქალი ნატალია ასიანი და მწერალი ნიკო კურდელაშვილი (ნ. რჯანი).

რევოლუციონერ-დემოკრატ მწერალთა ამოცანა იყო, თავიანთ შემოქმე-დებში გამოეყენებინათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის დიდი გამოცდილება და მხატვრულ სახეებში უკანვე გადაეცათ იგი მშრომელთა ახალი თაობებისათვის.

ამით არის გაპირობებული, რომ მათ თხზულებებში სრულად და აანმიმ-დევრულად აისახა იმ პერიოდში შექმნილი ვითარება და რომ ისინი აქტიურად ებმებოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ყოველ ღირსშესა-ნიშნავ მოვლენას, პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ძვრების წვრილ-მანსა თუ მნიშვნელოვან საკითხს.

9 იანვრის სისხლიანი კვირით აღშფოთებულმა პოეტმა ი. ევდოშვილმა მხევილი პოლიტიკური თვლით დაინახა მწარე სინანდელივ:

ამას აბრაზობენ, რომ კვლავ ცოცხა არ ჩაიღინოს,
იმას ამწყვდევენ, დედამიწა რომ არ წაწყმიდოს,
ზოგს თვალებს სთხრიან, ებრალებათ, რომ არ იტიროს,
ზოგს ამშვიდებენ ბოჩილებით, რომ არ იბზინოს.

სისხლისმსმელი მეფის ჭალათების ტყვიების ზუნუნშია დაიფრფლა და გაქრა ის გულუბრყვილო იმედი, რომელსაც მუშათა კლასის გარკვეული ნაწი-ლი მეფეზე ამყარებდა და გამოფხიზლებული ხალხი აღსდგა ცარიზმის დასა-მხობად. გადმოსკდა აზვირთებული ტალღა, რომ ქვეყნად მშვიდობა და თავა-სუფლება დაამყაროს.

„დაიხ, იზრდება ხალხის მოძრაობა, იზრდება რევოლუციური ტალღები და იმტერება მეფის ბოჩილები! — ვკითხულობთ 1905 წლის 23 მარტის პროკლა-მაციასში? — ტყუილათა ცდილობს მთავრობა გაამაგროს დაფუტუროებული ტახტი. ტყუილათა ცდილობს ის დაპირებითა და თავზე ხელის გადასწით მო-იხსროს მუშა ხალხი, გვიანდა! მუშა ხალხს ეზიზღება სისხლით შესვრილი მე-ფის მთავრობა და მოსპობს მას... შევმუსროთ მეფის ტახტი!“

ამ მქუხარე მოწოდებას ი. ევდოშვილმა თვითმპყრობელობის მიმართ შე-რისძიებით აღსავსე სტრიქონებით უპასუხა:

დათვალე დღენი, ჩადის შენი მზე,
სალამო კუბო დაგისუღარა!

ბრძოლის პათოსით, განარჩევების ძლიერი წყურვილით და ღრმა რწმენით გამხნეებული პოეტი მეგობრებს მოუწოდებს:

მეგობრებო, ვაჟაკურად!
 გულადობა უსწორ ომში,
 წინ წაიდეთ, ჩვენ ერთგულად
 დაეხიოცნეთ სამშობლონი!
 კვენისის ხალხი, იტანჯება,
 შევლასა გეთოცხვს ღვინის შეილებს.
 თუ საფლავი გავეთხრება,
 ისევ ხალხი დაგვიტირებს!

ომანაზად ვაისმის პოეტის საბრძოლო მოწოდების ხმა:

გაშალოთ წითელი დროშა,
 წინ, წინ გაესწიოთ ბტერზედა:
 მას უჯვარს თავისუფლება,
 ეინც მიღის ბრძოლის ველზედა!

სახალხო მოძრაობის აღმავლობის წლებში მასების საბრძოლო განწყობი-
 ლებას დიდად შეუწყო ხელი მუშათა საერთაშორისო ჰიმნის „ინტერნაციონა-
 ლის“ ევროპეისკი ელმე თარგმანმა. ჰიმნმა გარკვეული როლი შეასრულა:
 სალხში რევოლუციური იდეების დანერგვისა და პროპაგანდის თვალსაზრისით.

მუროსძიებით ანთებული პოეტის გაბედულ და იმედისმომცემ სტოიქო-
 ნებს აწვირებული სალხი აღტაცებით იმეორებდა და ერთსულოვნად ირას-
 მებოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მუშათა მოძრაობის ერთგული თანამგზავრი რევოლუციური სიმღერა, რა-
 მელსაც შორეული წარსული აქვს, ყოველთვის იყო საუკეთესო საშუალება
 მშრომელთა მასეაში რევოლუციის იდეების აგიტაციისათვის. იგი ხალხს ენ-
 მარებოდა თავისი მღვთაძრეობის გარკვევაში, უხსნიდა განმათავსულებელი
 მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებს და უჩვენებდა გზას ბედნიერი მომავლი-
 საკენ. რევოლუციის საუკეთესო ტრადიციები, ბრძოლის პათოსი ერთი თაობი-
 დან მეორე თაობაზე გადადიოდა, მშრომელებს საბრძოლველად აღფრთოვა-
 ნებდა და მომავალს იმედის შარავანდედს ჰქვენდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ
 ამგვარ სიმღერას დიდი რეზონანსი ჰქონდა ხალხში.

ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი მხატვრული ნაწარ-
 მოებებიდან იდეურ-პოლიტიკური სიმახვილითა და აქტუალობით განსაკუთ-
 რებით გამოირჩევა ი. ევროპეისკის სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები.
 ნატალია აზიანის სატირული სცენები, ნიკო კურდღელაშვილის მოახრობები.
 სადაც ბასრი მახვილი მიმართულია მეფისა და მისი მოხელეების, სახელმწიფო
 სათათბიროს, ცრუ რევოლუციონერებისა და ქაშუშების წინააღმდეგ. რევო-
 ლუციით შეფთობებული მეფისა -- ლეკურნებელი სენით შეპყრობილი ტარ-
 ტარონისა -- და საჯრთხის მოლოდინში შედრწუნებული მეფის დამქაშები-
 სადმი. მეფე ტარტარონი ყველაზე გავრცელებულ ლიტერატურულ სახედ
 იქცა რევოლუციის დღეებში.

1906—1907 წლებში ლეგალური ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე და-
 ბეჭდილი ნაწარმოებები უშუალოდ უპასუხებდნენ რევოლუციის მიერ წამო-
 კრილ ამოცანებს. ერთ-ერთი ლექსის ავტორი ოცნებობს რა ხალხის თავი-
 სუფლებაზე, მშრომელთა უკეთეს მერმისზე, აყალიბებს სოციალური და პო-
 ლიტეკური ბრძოლის მთელ პროგრამას: ცხოვრება ისე უნდა შეიცვალას, რომ

... დღეიდან უსამართლოდ არაეინ იჩაგრებოდეს,
ყოველივე სამართალი ხალხში გადაწვდებოდეს...
თავისუფლება, ერთობა, ძმობა დამყარდებოდეს...
კონტრაბანდით სიტყვა-ბეჭდვა აღარ ჩაითვლებოდეს,
ხალხთა კრება, ლაპარაკი არვის დაეშლებოდეს...

მებრძოლთა გარკვეულ ნაწილში დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებით გამოწვეულ უიმედობასა და სულიერად დაცემას ებრძოდა პრესის ფურცლებიდან იმედისმომცემი, გამამხნეველებელი სიტყვები:

ნუ დაეცემი სულით ძმობილო,
რაინდ გტანჯავდეს მუხთალი ბედი,
ნუ შეუღრკები ტანჯვა-წამებას,
შეება-ლხინისაც გქონდეს იმედი...
განა არ იცი მტარვალთა ზღუდე
შერაყულია სულ კილით კიდე...
და პა, დაღვა დრო, იგი ინგრევა,
მამ, შორს თვალთაგან შევხნული რიდე!..⁴

ი. ევდოშვილმა შექმნა მეტად საინტერესო ალეგორიულ-სატირული სახე ბიძისა, რომელშიაც ნაგულისხმევია მეფე. პოეტი ლაპარაკობს ბიძის ავადმყოფობაზე, მის სიკვდილზე, გასვენებაზე, მკვლრებით აღდგომაზე, ქორწინებაზე და გამოხატავს რევოლუციისდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას: დაუძღვრებელი ბიძა (რევოლუციური მოძრაობით შეშინებული მეფე) ძმისწულს შეპირდა, მიეცა თავისი ქონება (17 ოქტომბრის მანიფესტი), მაგრამ ბიძა კვიდიდან შეიშალა და თავისი დანაპირები (მანიფესტში შეტანილი დაპირებები) უკან წაიღო (ხალხი მოტყუებული დარჩა). მეფე — ბიძა გარდაიცვალა, მაგრამ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი თითქოს გაცოცხლდა, „მკვლრებით აღდგა“, თუმცა კარგად ვერ გარკვეულა თავის მდგომარეობაში:

ხან იძახის — ცოცხალი ვარ.
ხან იძახის — ისევ ვკვდები.

პოეტი იმედს არ კარგავს, რომ ბიძის საბოლოო ვანადგურებას, მის სიკვდილს მალე მოესწრება.

უკმაყოფილო მეფის მიერ მეორე სახელმწიფო სათათბიროს გარეკვას და მესამე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას ი. ევდოშვილი მწვავე ირონიით ეხმაურება:

ვიცაყვია ბიძაჩემი
მით ავირევეს მთელ ქვეყანას,
დღეს მესამედ ის აპირებს
ქორწილსა და ჩარფუხანას!..

ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა ნატალია აზიანის სატირული სცენები „პოლიტიკური დურაჩკა“ და „1904 წ. — 1906 წლამდე ანუ ავადმყოფი და წაპლობა“, სადაც ავტორი დაუნდობლად ამხელს თვითმპყრობელობის რეაქციულ პოლიტიკას, ბურჟუაზიის გამყიდველ, ანტიხალხურ პოზიციას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. ხსენებული სცენები იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მას-

⁴ ლ. დ. დარჩია, ნუ დაეცემი სულით, ძმობილო, გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906, № 7.

ში, როგორც სარკეში, უტყუარი სიმართლით აისახა 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდის რთული საზოგადოებრივი ვითარება, ლიბერალური ბურჟუაზიის თვალთმაქცური როლი, მოჩვენებითი „რევოლუციონერობის“ სამოსლით მასების მოტყუებას რომ ცდილობდა და მეფესთან მორიგებით თავის საქმეს იკეთებდა.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს ეხმაურებოდა რევოლუციისდროინდელი სხვა პერიოდული გამოცემებიც, სადაც უხვად იყო დასტამბული რევოლუციონერ-დემოკრატი მწერალთა ნაწარმოებები.

აღსანიშნავია რევოლუციის გარიჟრაჟზე და თვით რევოლუციის წლებში დაწერილი ი. ევდოშვილის მოთხრობები, ნოველები, ესეიზები, რომლებიც მწერლის მახვილი ხედვის, მძაფრი პოლიტიკური აღიარების დამადასტურებელი, რევოლუციური პროზის საუკეთესო ნიმუშებია.

ი. ევდოშვილის პროზაში თვითმპყრობელობა შედარებულია აშშ-ში არსებულ ქვეყნაშვილებთან, გასრწინდა ტბასთან, რომლის ამოსაშრობად დარაზმულა სელმუხუთელი ხალხი და თავდაუზოგავად ებრძვის ამ სიმყარეს; მკვეთრი ფერებით არის დახატული რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებით შემოთავაზებული, გზაკვალანებული ბოროტი მეფე და მის წინააღმდეგ აბოძებული ხალხი; რეალისტურად არის აღწერილი მგზნებარე რევოლუციონერის, თავდადებული მებრძოლის, ლადო კეცხოველის ცხოვრება და ხალხის კეთილდღეობისათვის მისი თავგანწირვა; პოლიტიკური სატირის მახვილი იარაღით დაუნდობლად არის გამათრახებული ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატი, თვითმპყრობელობა, მეფის სატრაპები და დამკავებები.

ევდოშვილი რეალისტურად ხატავს რევოლუციის აღმავლობის მკვეთრ სურათებსაც და მისი დამარცხების შემდეგ შექმნილ ვითარებასაც, რეაქციის პირველ წლებს. როდესაც პოეტი ჯერ კიდევ არ კარგავს გამარჯვების იმედს და სჯერა, რომ

დადგება წუთი, უფრო ძლიერად
ტალღა-ტალღაჲ დაქრავს, იქუხებს —
და ვანთილი პოეტის დიდებით
ხალხის ვლიდან ამოაშუებს!

სწამს, რომ რეაქციის ბნელი ძალები იარაღს ვერ დააყრვენიებენ თავგანწირულ მებრძოლებს: ციხე და გადასახლება, ჩამოხრჩობა და სიკვდილით დასჯა ხელს ვერ ააღებინებს მათ წმიდათაწმიდა საქმიდან.

რევოლუციის წლებში ი. ევდოშვილმა ჩამოაყალიბა ახალი ესთეტიკური იდეალი — რევოლუციისა და მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებული პოეტ-ლიტერატორი („მუზა და მუშა“). არა ზოგადად ხალხის კეთილდღეობისათვის მეტობლი. არამედ პოეტი, რომელიც მზად არის თავი შესწიროს მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს და დაუპირისპირდეს ხალხისაგან სასეხებით მოწყვეტილ დეკადენტს. ეს ორი ესთეტიკური იდეალი მხატვრული ფორმით ერთი პოეტის იდეურ ევოლუციასაში გადმოცემული.

ი. ევდოშვილის მუზა — პოეტი, მართალია, დიდი შინაგანი წინააღმდეგობების გზით, მაგრამ საბოლოოდ მაინც ეშვება „მალალი პოეზიის“ პარანასიდან ხალხისაკენ და რევოლუციის სამსახურში დგება.

1905 წლის რევოლუციის აღმავლობის წლებში ი. ევდოშვილს ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. რომელთა მგზნებარე, გულწრფელი ლექსები თუ პათო-

სით დაწერილი მხატვრული პროზა ხმას უწყობდა რევოლუციურ მოძრაობას და საბრძოლველად აღაფრთოვანებდა მშრომელ ხალხს.

9 იანვრის „სისხლიანი კვირის“ შემადრწუნებელმა ანბებმა მშრომელთა ფართო მასების დაუნდობელი რისხვა და აღშფოთება გამოიწვიეს. ხალხი დარწმუნდა, რომ ცარიზმთან თხოვნით ეკრათერს გახლებოდა. საქირო იყო შეუპოვარი ბრძოლა.

საბრძოლველად მოვემზადეთ,
მოვიმარჯვეთ ყველამ ხალხი,
ვივიბრძვით და წინ მივიძიდვის
ჩვენი რწმენა, იღვალის.

უსახლერო იყო მეფის მთავრობაზე განრისხებული ხალხის გაათთრეკა და ბრძოლის წყურვილი:

არ შევარჩენთ უგუნურ მტერს
სიმწუხარის კერაად ქუეულს
ქვეყნის ტანჯვა-სივალაღს
და მოჰმეთ სისხლს, ღღეს დანთხეულს.

ქართველი დემოკრატი მწერლები აღფრთოვანებით ეგებებიან მუშათა მოძრაობის გაძლიერებას, იმედით შეჰყურებენ მომავალს. უმღერაან თავისუფლებისა და თანასწორობის ემბლემას, გამარჯვების წინასწარმეტყველს, ამაყად ღარხეულ წითელ დროშას, შეხარაინ გამოფხიზლებულ მშრომელთა მასების გიგანტურ ძალას და გულწრფელად გაიძახიან: ახლა ყოველწუთს ჩვენი გეპი ივენ გველოდება!

რევოლუციური ქარიშხლის გაძლიერება და გამარჯვებულთა გამამხნეველები ყოყინა მომავალს იმედის სხივს ჰფენს. ერთ-ერთ პინიატურაში რევოლუციური მოძრაობა კონკრეტულ-საგნობრივი ფორმით, პრომელეოსის ცეცხლით აგზნებული ყმაწვილის სახითაა წარმოდგენილი:

„ეს რა ძალაა? ვინ, ვინ შექმნა, ვინ მოიწოდა სტიქიონზე უფრო საშიში, ძლიერი ძალა? ვინ ააზიერთა ღიკეტო მგრძობათა ოკიანე და ვინ ააწოა წყველიღში ცეცხლისა ღლით ჩაერულ მონების ტყვიეღებით მოკლული გული?“

რომელმა ღმერთმა ჩაუბერა გრივალღით ძლიერი სული, ვინ გააკაჟა, გააკლდევა, გააღმასა ბედერულთ რისხვა, სამართლიანი?

ის ყმაწვილია! პრომეთეოსის ცეცხლით ეღავს მისი თვალეღი... ბრძოლაში ნაწრობ კაბუეს სახე გაფრთეღება და ნესტეღები დაბერეღია...

ჯაფოღადებულ მერდს საყინში მოუღღეღეღია, რყინის ნაყეღება დასკიჟეღია. მარჯვენა ხელში ბასრი ხმალი დაუღერა და მარტეღენაში მუშუის სისხლში ამოეღებულღი წითელი დროშა...

გზა, გზა მიეციოთ, უღუნურნო: განა არ ზეღავთ, არ დაინღობს ივი თავის მტერს?

ქვეყნის ძლიერნი შიშით ციხეს ეფარებია, ისინი გრძნობენ აღსასრულის ნობაღღენაღს და უკანასკნელ ძალას და ღონეს ევიღებიაღს...

ჯესმით ყოყინა?

პროლეტარებო, ყველა ქვეყნის, შეკრებით, შეერთდით!

ქალაქის მუშა, პროლეტარი გაბედულად მიღის ბრძოლაში თავისი სოციალური უფლებების მოსაპოვებლად:

5 ღადო აბობაძე, საბრძოლველად მოვემზადეთ, „საქართველოს კალენდარი“, 1905.

6 სოღ გძე, ვინც რომ კერპის ქება-შესხმას, გაზ. „შრომის“ სურათეღიანი დაძაბება, 1906, № 15.

7 ვარღამ რუღაძე, მეზღეღურის სიმღერა, გაზ. „ივერია“, 1905, № 17.

8 ღაღღა შარაშენიძე, პინიატურა, გაზ. „სხივი“, 1905, № 4.

ბრძოლით, სისხლისღვრით ვიპოვე
მხოლოდ უფლება სიტყვისა! —

ამბობს იგი⁹ და დარწმუნებულია, რომ ბრძოლის გარეშე ხელისუფლებას ვერ წაგლეჯს „სასურველ ამნისტიას“¹⁰. პარიზის კომუნართა საბრძოლო გამოცდილებამ დაგვარწმუნაო, რომ მტერზე გაბედული იერიშის მიტანაა ერთადერთი სწორი გზა, და ჩვენც

... ნუ ვიცდით, გაბედულად
მიეიტანოთ იერიში!
მიეიტანოთ და გვახსოვდეს,
ცხოვრებისგან დაკლილია,
რომ სასურველ ამნისტიას
გასქვდეს მხოლოდ „ბასტილია“!¹¹

რევოლუციური მოძრაობა სოფელსაც მოედო. არსებული წყობალების მიმართ უნდო. გაუბედავი საყვედური საპროტესტო გამოსვლებით შეუკვალა:

გამოღვიძეთ გლეხკაცნო!
ნულარ ხართ მიღში გართლნი,
აღსდგეით, მტერზე აშხედრით!
გახსოვდეთ ჩემი ქართული!¹¹

ქართველ გლეხობაში თანდათან ღვივდება რევოლუციური შეგნება, ეწყობა კრებები, დემონსტრაციები; რევოლუციური შინაარსის პროკლამაციები მუშებთან ერთად გლეხებსაც მოუწოდებენ შეიარაღებული გამოსვლებისაკენ.

მნდებიან გლეხი გმირები, ამბობხებულნი უსამართლობის წინააღმდეგ. და აი, გაისმის საბრძოლო მოწოდების ხმა:

... აღსდგეი ხალხო, დასქევე,
მოხდეს, რაც მოსახდენია!
აღმართე დროშა ერთობის,
გზა გადაუსენ სულს და გულს,
დალდევი ჭაჭვი მონობის,
რომ ჩვენი დავესწროთ გახატულს!¹²

გლეხების რევოლუციურმა მოძრაობამ ულარესად მწვავე ხასიათი მიიღო დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურიისში. მუშებთან ერთად გლეხებიც დარწმუნდნენ, რომ ხელისუფლებასთან მორიგებით ვერაფერს გახდებოდნენ, საჭირო იყო გადამწყვეტი ბრძოლა უსამართლობის შესამარტოვად:

... მაგრამ გწამდეს, არას გარგებს
დაიბრება პირწყლიანი,
ბრძოლით უნდა ვაიკაფოს
გზა მრუდე და ეკლიანი!¹³

გაისმა მქუხარე ხმა. მოთმინებიდან გამოსული გლეხობაც თავდაუზოგავად ჩაება ბრძოლის თერხულში და დაიწყო რევოლუციის ნამდვილი ქარიშხალი. უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ აშხედრებული გლეხობა გუ-

9 გიგო, მუშის სიმღერა, „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი“, 1905, № 7.

10 ნოე ზომლეთელი, აღსდგე, დაჩაგრულო!, გაზ. „ლაშარი“, 1906, № 130.

11 გ. შინატხელი, გლეხებს, გაზ. „მიწა“, 1906, № 12.

12 ბ. ახოსპირელი, მებრძოლ გლეხებს, გაზ. „მიწა“, 1907, № 8.

13 სანდრო შანშიაშვილი, მიწის მუშას, გაზ. „მიწა“, 1907, № 9.

რიაში და საქართველოს სხვა კუთხეებში ქმნიდა გლეხთა კომიტეტებს, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებში.

რევოლუციის გაძლიერებით შეშფოთებული თვითმპყრობელობა მოძრაობის შეჩერების მიზნით სხვადასხვაგვარ პროვოკაციულ ხერხს მიმართავდა. განშირდა ხალხთა აწიოკება, დაპატიმრება, გადასახლება, ჩამოხრჩობა. ნეფემ სცადა მოძმე ერების ურთიერთწაყიდება, ებრაელთა დარბევა („პაგრომები“), მოაწყო რეაქციონერი მემამულეების, ვაჭრების, სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებისა და მანქანალებისაგან შემდგარი ბანდიტური პოლიციური ორგანიზაციები — „რუსი ხალხის კავშირი“ და „მიხეილ მთავარანგელოზის კავშირი“, რომელსაც ხალხმა „შავი რაზმი“ უწოდა. თბილისში ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა სახელწოდებით „წესიერების მომხრეთა პარტია“. ანუ „პატრიოტული პარტია“.

1905 წ. 6 თებერვალს მეფის აგენტებმა ბაქოში პროვოკაციულად გამოიწვიეს სომეხ-თათართა სისხლისმღვრელი შეტაკება, რამაც პროგრესული კაცობრიობის, მათ შორის დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის, უსაზღვრო აღშფოთება გამოიწვია. მან დაგმო ხელისუფლების პროვოკაცია და ჩაგრულ ხალხს მოუწოდა შეერთებული ბრძოლით გაენადგურებინა მოსისხლე მტერი: «И все, у кого разум светел, чья воля не поддается порабощению должны соединиться в одну семью для борьбы с той злостью и бессмысленной силой, которая одинаково тяжело давит всех нас.

У всех — один враг.

Да будет же между всеми нами равенство и братство, да просветит нас всех свет разума, сольемся в одну великую, непоборимую волю и тогда — свобода!»¹⁴.

მეფე ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა რევოლუციისაგან ხალხის ჩამოსაშორებლად და ჰპირდებოდა მათ „წარმომადგენლობითი დაწესებულების“ მოწვევას საერო კრების ან სახელმწიფო სათათბიროს სახით. ქართველი მენშევიკები ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად დიდ იმედებს ამყარებდნენ მეფის სათათბიროზე და მოელოდნენ მდგომარეობის გაუმჯობესებას, რეფორმების გზით. მაგრამ ამ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა უიარაღო მუშების დახვრეტა თბილისში 29 აგვისტოს. ამ შემზარავი ფაქტით აღშფოთებული ხალხი გულს არ იტეხდა:

ვაგრამ ვი-რული საქვეურო საქმე
დალუბლებთან კი არა კვდება, —
ამათ სხვა მოსდევს, ნორჩი ძაღლინით,
დაბოცილთ რიგში სხვა ვიბრი დგება!¹⁵.

„შავრაზმელთაგან“ ხალხის აწიოკება, სტოლიპინის მიერ მოსყიდული ზელიგნების არაადამიანური, უმსგავსო მოქმედება, უდანაშაულო ებრაელთა ოჯახების განადგურების შემზარავი სურათები, 1905 წლის 22 ოქტომბერს თვითმპყრობელობის წაქეზებით დათავზიდებული მანიფესტანტების მიერ თბილისის ეკლესია პირველი გიმნაზიის დარბევა, რომლის დროსაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლს საზღვარი არ უჩანდა — მთელი თავისი საშინელებით, რე-

¹⁴ М. Горький. Сбор. соч., т. 23, 1953, гл. 340.

¹⁵ იასაშანი, სასაფლაოზე, გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906, № 8.

ალისტურად აისახა რევოლუციისდროინდელ მხატვრულ ლიტერატურაში¹⁶. ქართველი მწერლების საბრძოლო მოწოდებას აზვირთებელი ხალხი ახალი შეტევით უპასუხებდა. ბევრი სისხლი დაიღვარა, ბევრი გულადი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა უთანასწორო ბრძოლამ, მაგრამ ხალხს სწამს, რომ მათი ანდრძი იქცევა „მებად და ზეცის რისხვად“ მტარვალთათვის და გმირის წმინდა საფლავთან დებენ ფიცს:

ძმებო! უსულო და ცივ გვამს
შევეციოთ, ბრძოლა განვაგრძოთ
და ქალათებას ლაშქარი
მათივე სისხლში ჩავახრხოთ...!¹⁷

როდესაც შერაზმელთა მიერ მოკლული რომელიმე რევოლუციონერის დაკრძალვის პროცესია ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციაში გადაიზრდებოდა და სახელდაწვლად მოწყობილ ტრიბუნებიდან პროტესტისათუ საბრძოლო მოწოდების ხმა გაისმოდა, ქართული პრესის ფურცლებიდან მას გამარჯვების ურყევი რწმენის, ბედნიერი მომავლის იმედიათი ხმა უერთდებოდა და მშრომელთა მასებს მტერზე ახალი იერიშების მისატანად მოუწოდებდა.

საერთო სახალხო მოძრაობამ დიდი სეგავლენა მოახდინა ქარისკაცთა ცხოვრებაზეც. იწყება დღეილი მეფის არმიასში. თანდათან ფეხს იკიდებს რევოლუციური შეგნება და ქარისკაცთა გარკვეული ნაწილი უკვე აშკარად უჭერს მხარს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებულ მუშებსა და გლეხებს. ამ მოვლენას არაერთი მხატვრული ნაწარმოები მიეძღვნა რევოლუციის წლებში. თუ, ერთი მხრივ, დახატულია მეფის არმიის ქარისკაცი, როგორც თვითმყარობის საყრდენი, მეორე მხრივ ჩამოყალიბებულია გამოფხიზლებული ქარისკაცის ტიპი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა და მშრომელთა მასების მხარდამხარ იბრძვის ძალმომრეობის დასათრგუნავად¹⁸. დემოკრატი მწერლები რეალისტურად ხატავენ არსებულ სინამდვილეს და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხისადმი თანაგრძობას აღვიკებენ ქარის ნაწილებში. „... მე კი ვიბრძოლებ ჩემ ძმებთან ერთად შენ სასახლეოდ, რომ მოვიპოვოთ ის დიადი თავისუფლება, რასაც ასე სიხარულით ეტრფის მთელი კაცობრიობა, ვინც რომ სისხლის ხმას მე მასწავლიდა, მასვე გაეუპობ გულს ეაჯაკურად: ეგ მათი თოფი, მათი ტყვია მათ წინააღმდეგ ამოძრავდება“, — გადაწყვეტით ამბობს მოთმინებიდან გამოსული ქარისკაცი¹⁹ და უყოყმანოდ იზიარებს რევოლუციონერთა ბედს.

მუშებისა და გლეხების გვერდით მშრომელთა კეთილდღეობისათვის შეუპოვრად იბრძოდა რევოლუციური ინტელიგენცია. ხალხის განთავისუფლების საქმეს ბევრი ახალგაზრდა ინტელიგენტის სიცოცხლე შეეწირა, ბევრი მათგანი

¹⁶ კოლოლი ირეთელი, პავროში, ვახ. „ლაშქარი“, 1906, № 53; ვ. შალვაშვილი, სიმი ემშტეინი, ვახ. „შრომა“, 1906, № 95; ს. თავართქილაძე, რათა, რისთვის?, ვახ. „სისარი“, 1907, № 11; ა. წერეთელი, რათ მოკლეს დედაჩემი?, ეურნ. „ჩვეილი“, 1905, № 10—11; ნარკანი, ნეტა მოეკლათ!, ვახ. „ლაშქარი“, 1907, № 15; პეხილისთაველი, წითელი საღამო, ეურნ. „რიერაგი“, 1907, № 1; შალვა და დიანი, კლამი ხელს არ ეშორილება, ვახ. „შრომა“, 1906, № 1.

¹⁷ იასამანი, ვახ. „ტალა“, 1906, № 1.

¹⁸ ნინო ნაკაშიძე, საღდათი, ვახ. „ცნობის ფურცელი“, სურათებიანი დამატება, 1905, № 233—295; ე.კ. გაბაშვილი, ისიც აღმართი ყოფილა, ეურნ. „ჩვეილი“, 1906, № 1; ს. ე. თიანის, დაბრუნდა, ვახ. „იერა“, 1906, № 14—15.

¹⁹ „ვერ ეულაღებ“, ვახ. „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი“, 1905, № 10.

გახდა მსხვერპლი ცარიზმის გამძვინვარებული რეპრესიისა. მაგრამ რევოლუციის საქმისათვის თავდადებულნი გულს არ იტეხდნენ, მომავალს იმედით შეპყრებდნენ და კვლავ შეურჩეველი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ მშრომელებს: „... ვის შეუძლია, ძმებო, გაგვიქროს რწმენა? და რწმენა კი მთებს შეანძრევსო, ნათქვამია... ხელისელჩაიდებულნი გავწიოთ წინ! შევანძროთ ჩვენც მთა უკუღმართ დროის მსვლელობისა!... არ ეელოდეთ არავეისგან შევლას და ვანეთავისუფლდეთ!“²⁰.

რევოლუციონერ-დემოკრატ მწერალთა გამანხვევებელი სტრიქონები საპრობოლის ჭურჭმულეებში — ციხა და ბნელ საკანშიც აღწევდა და პოლიტიკურ პატიმართა გულებში იმედის სხივად ეფინებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი რუსი მწერლის. პროლეტარული მწერლობის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის მოთხრობის „საპუარობილეს“ იმ დროს გამოქვეყნებული ქართული თარგმანი²¹, რომელმაც ციხის ვიწრო კედლებში გამოძწყვედულთ ჩაუნერგა ურყევი რწმენა, რომ სამართლიანი საქმის გამარჯვებინა იმბოლოდ მალე მთელ ქვეყანაში თავისუფლების დროშა აფრიალდება.

1905 წლის რევოლუციას ფართოდ ეხმაურებოდა იმ პერიოდის საბავშვო ლიტერატურაც. ჟურნალები „ნაკადული“ და „ჭეჭილი“ თავის ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდნენ ისეთ ორიგინალურსა თუ თარგმნილ ნაწარმოებებს, რომლებიც წინარდით თაობის გულში ნერგავდნენ მალალ მორალურ თვისებებს, მეგობრისადრ თავდადებას, აღვივებდნენ თავისუფლების სიყვარულს არსებული სიმანდილისადმი — პროტესტანტულ სულისკვეთებას. ჭაშუშებისადმი — ზიზღსა და სიძულვილს, კიცხავდნენ სუსტი ნებისყოფის. მხდალ მოწარმებს. ბოტბას ასხამდნენ, ქებით იხსენიებდნენ ნორჩების გაბედულ, გმირულ საქციელს²².

1905 წლის რევოლუციამ ბევრ მწერალს მისცა ბიძგი შემოქმედებითი წინსვლისათვის. გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა, ახალი შინაარსი შთაბერა მათ ნაწერებს, რომელთა გმირების მამოძრავებელი იდეები არის თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა.

პასიური პროტესტიდან რევოლუციური ბრძოლისაკენ — ასეთია მაშინდელი ქართული ლიტერატურის განვითარების გზა.

20 ნიკო ნაკაშიძე, მოვალეობა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, სურათებიანი დამატება, 1905, №№ 308, 309, 310.

21 თარგმანი ხელმოწერილია: ფრიდონ, გაზ. „ივერია“, 1905, № 48.

22 ან. თუშანიშვილი-წერეთლისა. მაკათაც ხომ უნდათ თავისუფლება?, ჟურნ. „ჭეჭილი“, 1905, № 10—11. ლალიონი, დამწეილება, გაზ. „სიმართლე“, 1906, № 5; „ქაშუში“. ჟურნ. „ნაკადული“, 1907, № 5.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტმა)

მ ი რ ი ა ნ ა ხ უ ლ ა ა მ

თ ა რ ბ ა თ ა უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი
ქ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ბ ა მ ს ა ხ ს უ რ დ ი ა ს რ ო მ ა ნ შ ი „ მ თ ე ა რ ის მ ო ტ ა ც ე ბ ა “

თავისებური შემოქმედებითი ისტორია აქვს ლევ ტოლსტოის ცნობილ ეპოქას „ომსა და მშვიდობას“. მისმა გენიალურმა ავტორმა ეს ნაწარმოები ჩაიფიქრა როგორც თხზულება რუსი დეკაბრისტების შესახებ, მაგრამ როდესაც იგი, მისთვის ჩვეული სიღრმითა და ლოგიკური ანალიზის უნარით, შეუდგა იმ ისტორიული წინამძღვრების შესწავლას, რამაც მოამზადა და გამოიწვია 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყება პეტერბურგში, იქენ მივიღეთ მძლავრი სოციალური ელერადობის რომანი „ომი და მშვიდობა“, რომლის უკანასკნელი აკორდიც ეპილოგში უნდა ყოფილიყო განზრახული რომანის — „დეკაბრისტების“ მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისი. როდესაც ლევ ტოლსტომ მომხდარი ამბებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ წამოსწია ალექსანდრე I-ის დროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების პლასტები, მან ტიტანური შრომის შედეგად შექმნა არა უბრალო მხატვრული ქრონიკა ბოლკონსკების, როსტოვებისა და ბეზუხოვების ოჯახებისა, არამედ მსოფლიო ლიტერატურის უნიკალური შედეგრი, რომელშიც სხვა მრავალ საზოგადოებრივ-ფილოსოფიური ხასიათის პრობლემასთან ერთად დასეა და მხატვრულად გადაწყვეტა მისთვის საინტერესო ეპოქის თაობათა ურთიერთობის საკითხიც. ლევ ტოლსტოი აღნიშნულ რომანში ფართო მხატვრულ ინტერესს იტენს მამა და შვილ გრაფი ბეზუხოვების ურთიერთობის მიმართ, აგრეთვე, უმთავრესად, სამი თაობისადმი ბოლკონსკების ოჯახიდან, სადაც ეკატერინე II-ის დროინდელი დიდებული, მოხუცი თავადი ნიკოლაი ბოლკონსკი აგრე რიგად განსხვავდება საკუთარი ეკიშვილის ანდრეისაგან, ხოლო მესამე თაობის წარმომადგენელი — უმცროსი ნიკოლაი ბოლკონსკი თავისი მამისაგან. ლევ ტოლსტოი გენიოსი მწერლის თვალთ დანახულ ერთ მხატვრულ დეტალზე მივითითებებს, კერძოდ იმ მძიმე და თანაც შეფარულ სულეერ ძრწოლანზე, სიძულელის თავისებურ გრძნობაზე, რომელსაც ამ სამივე თაობის წარმომადგენლები დრო და დრო ერთმანეთის მიმართ ამქლავნებენ. რასაკვირველია, ეს აიხსნება არა ბიოლოგიურად მოღლილი ძველი ფეოდალური გვარის რალაც ნეერასთენით, ანდა მათი სულეერი ცხოვრების რალაც პათოფსიქოლოგიური ნიუანსებით, არამედ გარკვეული, კონკრეტული ეპოქის შესაბამისი იმ საზოგადოებრივ პრობლემატეკათა წინააღმდეგობით, რომლებიც თითოეული თაობის წარმომადგენლის წინაშე იდგა და მათ გადაწყვეტას მოითხოვდა ის დრო, რომელშიაც მათ უხდებოდათ ცხოვრება. პარადოქსული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ უფროსი, საშუალო და უმცროსი ბოლკონსკები რომანში ზოგჯერ ისე უყურებენ ერთმანეთს, თითქოს ერთი მეორეში თა-

ვის მსხველმწეობა ხედავდეს. აი, როგორ კონტრასტულად გამოიყურებიან ერთი სოციალური კლასის სფეროშიც კი სხვადასხვა საზოგადოებრივი იდეალისა და ფილოსოფიური რწმენის მქონე თაობები. თაობათა ურთიერთობის საზოგადოებრივად მწვავე პრობლემა სწორედ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რამაც ლევ ტოლსტოის განზრახული რომანის — „დეკაბრისტების“ ნაცულად „ომი და მშვიდობა“ დააწერინა.

ეს პრობლემა აქტიურად იდგა მე-19 საუკუნის მთელი რუსული მწერლობის წინაშე და ისეთი სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და საზოგადოებრივი იდეალების მქონე მწერლები ცდილობდნენ მის გადაჭრას, როგორც იყვნენ: ტურგენევი („რუდინი“, „აზნაურთა ბუდე“, „მამები და შვილები“), დოსტოევსკი („დანაშაული და სასჯელი“, „ქაჯები“ და განსაკუთრებით „მშენი კარამაზოვები“), ჩერნიშევსკი („რა ვაკეთათ?“) და სხვ.

თაობათა ურთიერთობის საკითხი მე-20 საუკუნის რევოლუციანდელ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე ყველაზე ღრმად და მხატვრულად დამაჩვენებლად გააშუქა მაქსიმ გორკიმ თავის ცნობილ თხზულებებში: „თიშა გორდევი“, „დედა“, „კლიმ სამგინი“, „არტამონოვების საქმე“ და სხვ. ეს პრობლემა განსაკუთრებული სოციალურ-ფსიქოლოგიური სიმწვავეით დასაყრდენი აქვს თავის მრავალღანიან სოციალურ რომანში „არტამონოვების საქმე“, რომელშიც რუსი შეფაბრიკეთა ერთ-ერთი დინასტიის — არტამონოვების ოჯახის სოციალურ-ეკონომიური და ამდენად საზოგადოებრივი აღზევების, დროთა განმავლობაში მისი შინაგანი რღვევისა და დაშლის კლასიკურ მაგალითზე გვიჩვენა ერთი კლასის ფარგლებში თაობათა ურთიერთობის საკითხი და მისი საზოგადოებრივი საფუძვლები. მაქსიმ გორკიმ ამ რომანში ბრწყინვალედ დაგვიხატა და ღრმა ანალიზი მოგვცა იმ ერთი შეცდევით სოციალური კაზუსისა, როდესაც ერთი ოჯახის წარმომადგენლები, ერთ საზოგადოებრივ სფეროში აღზრდილი ორი პიროვნება — ბაბუა და შვილიშვილი ილა არტამონოვები — დამატრულად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს როგორც ცხოვრებისეული მიზნების მხრივ, ასევე ფსიქოლოგიური წყობითაც.

ამ პრობლემის თვალსაზრისით რუსული მწერლობა რომ გამონაკლისი არ წარმოადგენს, ამის მრავალი მაგალითი მოგვეპოვება დასავლეთ ევროპის ზალბთა ლიტერატურის ისტორიიდანაც. კერძოდ, თაობათა ურთიერთობის საკითხს შეეხო ფრანგულ მწერლობაში ემილ ზოლა, რომელმაც ეს პრობლემა ფართოდ დამუშავა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის ცხოვრებაზე შექმნილ სოციალურ რომანთა სერიაში „რუგონ-მაკარში“, ჯონ გილსონის თეოკრიტიკული ინგლისის ფონზე დახატულ თავის ცნობილ ეპოპეაში „საყდრის ფორსაიტებს“ და კაიზერული გერმანიის ბუერჯუნის მხატვრული მემკვიდრე თომას მანი თავის მრავალღანიან ბელეტრისტულ თხზულებაში „ბუდენბროკები“.

არც მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობა მდგარა განზე ამ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო ქართულმა საბჭოთა ბელეტრისტიკამ თავისი სიტყვა თქვა თაობათა ურთიერთობის მხატვრული გარკვევის სფეროში (მ. ჭავჭავაძე, ლ. ქიანელი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, ა. ქუთათელი და სხვ.).

ამ ნაშრომში ჩვენ შევეხებით მხოლოდ თაობათა ურთიერთობის საკითხს კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა ისეთი თვალსაჩინო პროზაული ნაწარმოებები, როგორცაა რომანი „დიონისოს ღიმილი“, მოთხრობები: „ზარები გრივალში“, „ქოსა გახუ“, „ღიდი იოსები“ და სხვ. ეს ნაწარმოებები ერთგვარი შემამზადებელი პერიოდია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ისეთი მრავალმხრივი რომანის შესაქმნელად, როგორცაა „მთვარის მოტაცება“, რომელიც ცალკე გამოცემად ჰირველად 1936 წელს გამოვიდა.

„მთვარის მოტაცება“ ეს არ არის მხოლოდ შერვაშიძეების, ემხვარების, აფხიძეების, ზემბაძეებისა და ლაფარიანების ოჯახთა ცხოვრების ქრონიკა, არამედ — 20-იანი წლების დასასრულისა და 30-იანი წლების დასაწყისის მწვევე სანოვადობრივი კონფლიქტებით აღსავსე ქართული სინამდვილის ამსახველი ღიდი ეპიკური ტილო, რომელშიც აშკარად იგრძნობა ახალი ეპოქის ძალიერი მაჯის ცემა.

სოციალურად დაპირისპირებული მტრული კლასების სამკედრო-სასიცოცხლო შეხმას, რომელიც რუსეთში განსაკუთრებული სიმწვევით ღიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სამოქალაქო ომში გამოვლინდა, ღიდი მასშტაბით ადგილი არ ჰქონია საქართველოში. ამიტომაცაა, რომ, თუ რუსულ საბჭოთა მწერლობაში ამ თემაზე შეიქმნა ისეთი მაღალმხატვრული, ეპოქალური მნიშვნელობის ნაწარმოებები, როგორცაა: სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“, შოლოხოვის „წყნარი ღონი“, ალ. ტოლსტოის „ტანჯვათა გზებით“, ბაბელის „ცხენოსანი არმია“, ფადეევის „განდგურება“ და კიდევ მრავალი სხვ., ამას ვერ ვიტყვით ქართულ საბჭოთა მწერლობაზე. არცაა გასაკვირი, რადგან, თუ რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ რევოლუცია მილიონობით მშრომელი მასების ძირითადი მამოძრავებელი საზოგადოებრივი ძალა გახდა, საქართველოში იგი აღნიშნულ პერიოდში იატაკქვეშეთიდან ვერც კი ამოდიოდა და რაიონულა მასშტაბის აჯანყებების ფარგლებს ვერ სცილდებოდა, რაც გამოწვეული იყო მამინდელი რთული და თავისებური შინაპოლიტიკური ვითარებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ როგორც სოფლად, ისე ქალაქად დაიწყო ღიდი რევოლუციური გარდაქმნები, რამაც მთელი ქართული საზოგადოება ორ მტრულ ბანაკად გაყო და დაუპირისპირა ერთმეორეს. ეს გათიშვა კიდევ უფრო კაძლიერდა მას შემდეგ, როცა დაიწყო სოციალისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ხანა ჩვენში, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში.

ქართული სინამდვილის სოციალისტურ გარდაქმნებთან დაკავშირებით ეს ორი ბანაკი კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“ ორი თაობის სახით წარმოგვა. ამ ორი თაობის ურთიერთობის მხატვრული სურათი აღნიშნულ ნაწარმოებში გრანდიოზული მასშტაბით არის წარმოდგენილი — როგორც სამკედრო სასიცოცხლო ბრძოლა ძველსა და ახალს, პროგრესულსა და რეაქციულს შორის ცხოვრებაში, რაც, ძირითადად, პერსონაჟთა სულიერ ცხოვრებასა და ადამიანურ კენებებში შედარდება უშუალოდ.

„მთვარის მოტაცებაში“ ახალი, პროგრესული თაობის წარმომადგენლებია: არზაყან ზემბაძე, ჩალმაჯი, ლიჩელი, საური, ძაბული, ხერბის შერვაშიძე და სხვ. ამ თაობასავე უნდა მივაკუთვნოთ პირობითად რაიკომის მდივანი არენბა არლანი, რომელიც ერთ დროს ხელისუფლების ნდობით სარგებლობდა, რო-

გორკ უფილი წითელი პარტიზანი, მაგრამ, როდესაც სოფლად კოლექტივიზაციის პერიოდის რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ვერ გაერკვა, თავისივე მემარცხენეობის ტენდენციების მსხვერპლი შეიქნა და, მისი სიმამრის --- გვანჭი აფაქიძის ეს ბრმა იარაღი, გადაყენებული იქნა თანამდებობიდან.

რომანში ძველი, რეაქციული თაობის სულსკვეთების გამოშხატველ პერსონაჟთა გალერეა უფრო ფართოდ და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, კერძოდ, ესენია: ტარიელ და თამარ შერვაშიძეები, ჯამსულ და თარაშ ემხეარები, გვანჭი აფაქიძე, ნოშრევან ფარჯანიანი, კაც ზემბაია, ტარბები, ლაფარიანების ოჯახის პატრიარქი — ქორა მახეში, ლუკაია ლაბახუა, ლომკაც ესვანჯია, შარდინ ალშიბაია, ჯოტო გვასალია, ჯოკია და სხვ.

კონსტანტინე გამსახურდიამ „მთეარის მოტაცებაში“ ახალი თაობის წარმომადგენელთაგან ყველაზე სისხლსაყვად და დამთავრებული მხატვრული ხასიათი მოგვცა არზაყან ზემბაიას სახით. რომანის მთავარ პერსონაჟთაგან იგი ყველაზე თანმიმდევრული დადებითი, პროგრესული იდეალების მქონე ადამიანია, რომლის აზრსა და მოქმედებას შორის სრული ჰარმონიაა დამყარებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შერვაშიძის ასულისადმი მის ტრფიალებას, რასაც იგი თავის თავს, 30-იანი წლების დასაწყისის ახალგაზრდა კომუნისტი, ცოდვად უთვლის.

ერთი შეხედვით არზაყან ზემბაიას ხასიათს თითქოს მხატვრული მოტივირება აკლია და შინაგანი განვითარების თვალსაზრისითაც თითქოს ლაპიდარულია და ამდენად მეტ-ნაკლები სქემატურობითაც სცოდავს. მაგრამ ვიმეორებთ, რომ ეს ერთი შეხედვით, რადგან, თუ რომანს კარგად ჩაუუყვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის და ეს ჩვენი ილუზია მწერლის მხატვრული აზროვნების სპეციფიკის გაუგებრობიდან მოდის.

დავიწყოთ თავიდან. ოლონდ წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ არზაყან ზემბაია „მთეარის მოტაცების“ არა მარტო ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, არამედ, უფრო მეტიც, იგი ამ რომანში სოფლად ახალი, სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის რევოლუციური პათოსის მთავარი მატარებელია და ამდენად მას წინასწარ სათანადო კლასობრივი წერტნაც უნდა მიეღო. ამის მაგალითები ჩვენ მრავლად მოგვეპოვება, როგორც ცხოვრებაში, ასევე საბჭოთა მწერლობაშიც. ავიღოთ მ. შოლოხოვის რომანი „გატეხილ ყამირი“. აქ 30-იანი წლების დასაწყისში სოფლად სოციალისტური გარდაქმნების თაოსნებად გვევლინებიან დავიდოვი და მკარ ნაგულნოვი. პირველი პეტროგრადელი, რევოლუციური მუშაობის გამოცდილების მქონე კადრის მუშა, ხოლო მეორე — სამოქალაქო ომების ქარცეცხლში გამოვლილი წითელი კაზაკობის წარმომადგენელი. ასევე: კ. ლორთქიფანიძის რომანში „კოლხეთის ცისკარში“ სოფლად კოლექტივიზაციის გატარების ხელმძღვანელად ძველი რევოლუციონერი, კომუნისტი ტარასი; ხაზარაძე გვევლინება.

კონსტანტინე გამსახურდიამაც გამოიყვანა თავის რომანში ძველი რევოლუციური წრთობის კომუნისტები ჩალმაზისა და ლიჩელის სახით. მაგრამ მწერალმა სიუჟეტის განვითარების პროცესში ისინი უკანა პლანზე მოაქცია და მგორენარისხოვანი პერსონაჟების როლი დააკისრა. როგორც ვხედავთ, კონსტანტინე გამსახურდიამ 20—30-იანი წლების საბჭოთა მწერლობაში ნაცუბერებს ზურგი შეაქცია, ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში უკვე შაბლონად ქცეულ გზას გვერდი აუარა და რომანის წერის პროცესში ჯერ უვალი გზით სიარული არჩია.

როდესაც რომანში არზაყანის ბავშვობისა და ადრეული სიჯაბუჯის ცხოვრებას ვეცნობით, ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რა დიდი განსხვავებაა მისსა და შოლოხოვის „გატეხილი ყამირის“ ზემოთ აღნიშნულ გმარების ბიოგრაფიებს შორის.

გადაეცლოთ თვალი არზაყან ზეამბაიას ბიოგრაფიას რომანის დასაწყის-შივე. იგი დაბადებულია და აღზრდილი კაც ზეამბაიას პატრიარქალურ-ტრადიციულ აფხაზურ ოჯახში. კაც ზეამბაია საშუალო გლეხის პირობაზე ცხოვრობდა და არზაყანსა და ჭამსულ ემჩვარის ერთადერთ ვაჟიშვილს — პატარა თარაშს ერთი სულისკვეთებით ზრდიდა. ღესპოტ კაც ზეამბაია: პედაგოგიკური ნორმები აფხაზურ ტრადიციებს არა სცილდებოდა. აღზრდის მთელი სიბრძნე იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვს პატარაობიდანვე შეესწავლა გლეხის სამეურნეო საქმიანობა, კარგად შეეთვისებინა ცხენოსნობა და ხმალ-ხანჯლის გამოყენება საჭირო შემთხვევაში. მათი გეოგრაფია ოქუშით მთავრდებოდა, ბავშვური მსოფლგაგება კირიკვა და აღქაქებზე წარმოდგენით იყო დამძიმებული, ხოლო საუკუნეობით განმტკიცებული სოციალური უკუღმართობის მთელი სიმწვევე შორდულობის ტრადიციით იყო შერბილებული. მაგრამ, მიუხედავად არზაყანისა და თარაშის ძუნძუმტეობისა, ემხვარების ყოფილი ყმის — კაც ზეამბაიას ეაჟიშვილს მათი ნაბატონარის ოქუშის სასახლეში სუფრასთან არაინ მიიწვევდა. ეს ამბავი კი მამის მტკიცე ორწმენით და მისივე შეგონებით არზაყანს ნორმალურ და საეაღდებულო საზოგადოებრივ ნორმად უნდა მიეღო. ეს აფხაზი გლეხი თავის ვაჟიშვილს იმასაც მტკიცედ უნერგავდა, რომ არზაყანი თარაშს ისევე უნდა გაფრთხილებოდა, როგორც თავის ორივე თვალს, და მისკენ გამოსროლილ ტყუილისთვის წინ-წინ მას შეეშვირა მკერდი.

მაშ როგორ მოხდა, რომ ნაწევრად გეაროენული, ნახევრად ფეოდალური ტრადიციების დამცველი, ამ ჩვევების ღესპოტურად გამტარებელი კაც ზეამბაიას აღზრდილი, რეკოლუციურ გარემოს საეხებით ჰოკლებული არზაყან ზეამბაიას სულში ისეთი ვალატრიალეა მოხდა, როდესაც იგი წითელ არმიამში საეაღდებულო სამსახურიდან დაბრუნდა, რომ მან ზურგი შეაქცია ცხოვრებაში ყოველივე ძველს, დრომოქმულს, რეაქციულს და ახალი, სოციალისტური ვარდაქმნების თაოსნად და ამ საქმის განხორციელებისათვის თავდადებულ მებრძოლად მოგვევლინა სოფლად. ვაშადის ისე, რომ კაც ზეამბაიას მიერ მრავალი წლის განმავლობაში ნაგები არზაყანის სულიერი ღესლაბი ერთი შეხებით დაინგრა და ვიღაცამ თუ რაღაცამ ახალი სული შთაბერა მას და ასე დაუბრუნა მშობლიურ სოფელსა და ოჯახს.

რამდენად არის გამართლებული და მხატვრულად დამაქრებელი არზაყან ზეამბაიას სულიერი წყობის ეს უეცარი ტრანსფორმაცია? ვაჟინია თუ არა ამ მოვლენას ავტორისეული მხატვრულ-ლოგიკური დასაბუთება და ფსიქოლოგიური მოტივირება? ვფიქრობთ, რომ ვაჟინია და აი რატომ.

არზაყანს ასეთი ვარდაქმნისთვის, რასაკვირველია, ხელი შეუწყო მის მიერ საშუალო სკოლის დამთავრებამ და წითელ არმიამში სამსახურმა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი იმ ფსიქოლოგიური ძვრებისთვის, რამაც მისი მსოფლმხედველობის მთლიანი შეცვლა გამოიწვია. მთავარი მანკ ის უცხო თვალსაზრის შეუმჩნეველი შინაგანი კლასობრივი ინსტინქტის ვალვიძება იყო, რასაც საუკუნეების განმავლობაში ემხვარებისა და შერეაშიძეებისადმი ყმა გლეხის სიძულვილი კვებავდა, რათა, როცა დადგებოდა დრო, ამ სიძულვილს კულკანი-

ვით ამოეხეტა და სოციალური უსამართლობისა და ძალმომრეობის ეს ინსტიტუტი თავისი საძირკვლიანად დაენგრია და წაელევა.

ამ კლასობრივ ინსტინქტს ა. ბლოკი თავის პოემა „თორმეტნი“ „СНЯТИИ ЭПИДЕМИИ“-ს უწოდებს, რომელმაც გაიღვიძა საბოლოოდ ჩაგრულთა გულში და მილიონები დარაზმა ძველი სამყაროს შესამუსრად. ამავე კლასობრივი ინსტინქტის ძახლს გაჰყენენ ი. ბაბელინის „ცხენოსანი არმიის“ პერსონაჟები, აფონკა ბიდასა და ხლებნიკოვის მსვავსი უბრალო აღამიანები, რომელთაც მიატოვეს ხენა და თესვა, საკუთარი ქოხები და რევოლუციის ქარიშხალს მიანდეს საკუთარი ბელი ბედნიერი მომავლისა და თავისუფლების მოსაპოვებლად.

აი, ასეთი ღრმად სოციალურ-ფსიქოლოგიური ხსიანთის საფუძველი უდევს არზაყან ზეამბაიას ახლად ჩამოყალიბებულ სულელ სამყაროს.

„მოთარის მოტყევაში“ არზაყანი „მამუხერიანი კომკავშირელის“ სქემატურ სახეს კი არ წარმოადგენს, არამედ რთულ, სისხლსაგსე რეალისტურ ხსიანთს, რომელიც რომანტიკული აღტყინებით ებრძვის ყოველსავე ძველსა და რეაქციულს ახალი, რევოლუციური თაობის სახელით.

არზაყან ზეამბაიასთვის უცხოა კომპრომისი როგორც მეგრძოლისათვის, ისე პიროვნებისათვის. როდესაც სოფლად კოლექტივიზაცია დაიწყო, კაც ზეამბაიამ შორს დაიჭირა თავი ამ საქმისაგან. მასში მძლავრად იყო გამჭდარი ევროპო მესაკუთრის ჩვევები და, როცა არენბა არლანის გამოგზავნილმა ხალხმა ძალდატანებით მოინდომა მისი საკუთრების კოლმეურნეობაში გაერთიანება, წონასწორობადაკარგულმა და გაბოროტებულმა კაც ზეამბაიამ თავისი საქონელი თვითონვე დახოცა. არზაყანი კი, როცა თხოვნით ევრა გააწყო რა მამამისთან, გამოეყო თავის მშობლებს და თავისი წილი მამული კოლმეურნეობაში შეიტანა. შვილის ასეთმა უჩირობამ დესპოტი მამა კიდევ უფრო გააღიზიანა და გააეცეცხლა და მოემღურა კიდევ შვილს.

მამასა და შვილს შორის წარმოშობილი ეს კონფლიქტი თვალსაჩინო მავალითია იმისა, თუ ერთი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები, როცა მათი მსოფლმხედველობა, ცხოვრებისეული მიზნები და აღამიანური იდეალები განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორ შეიძლება აღმოჩნდნენ მოწინააღმდეგე ბანაკში და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ ერთმანეთს, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების სფეროში, ასევე ზნეობრივ-ეთიკურშიაც. როგორც ყოველივე ახალი და პროგრესული ებრძვის დრომოქმულსა და რეაქციულს, ასევე ახალი თაობის წარმომადგენელი არზაყან ზეამბაია კრიკაში უღდას და ებრძვის ძველი, ისტორიულად განწირული თაობის წარმომადგენელს — კაც ზეამბაიას. აკი სწორედ არზაყანის გამო მოჰკლეს ტარებებმა კაც ზეამბაია. მართალია, ავტორმა ახალ გამოცემაში კაც ზეამბაიას მოკვლის სცენა არსებითად გადააკეთა, მაგრამ ლოგიკურად მამის მკვლელად მაინც შვილა გამოდის, რითაც განვითარებული ამბები ავტორის იდეურ ჩანაფიქრთან დიალექტიკურ კავშირში აღმოჩნდება.

პარტიის რაიკომის მდივანი არენბა არლანი არა მარტო სიძე ხდება ბნელი პიროვნებისა და ავანტიურისტისა, ნათავადარი გვანჯი აფაქიძისა, არამედ მისი გავლენის ქვეშაც კი ექცევა. არლანმა რიგი უხეში დარღვევები დაუშვა სოფლად კოლექტივიზაციის გტარების პროცესში და პარტიული დემოკრატიის ნორმებიც დაარღვია — პირადული ინტერესების გამო დაუწყო პარტიის ერთგულ ხალხს შევიწროება. არენბა არლანი თავისი ამ საქმიანობით ფაქტიურად ეთიშება ახალ თაობას და უპირისპირდება იმ პროგრესულ ბანაკს, რომელსაც

ჭერ კიდევ ცოტა ხნის წინ თვითონ ეკუთვნოდა. ამიტომაც, რომ არზაყანმა, ლიჩელმა და ჩაღმაზმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ამ გადაგვარებულ პარტიულ მუშაკს და მის გადაყენებას მიაღწიეს კიდევ.

არზაყან ზემბაბია რომანში ებრძვის კულაკ ტარბებს, რომლებიც ცდილობენ თავიანთი გაცენის ქვეშ მოაქციონ მერყევი საშუალო ფენის გლეხობა და ამით საძირკველი გამოუთხარონ ახლად ფეხადგმულ საკოლმეურნეო ცხოვრებას სოფლად.

არზაყანი არა მარტო კულაკობასა და პოლიტიკურ ბანდიტებს ებრძვის, არამედ ხალხის რელიგიური ცრურწმენისა და პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების ადათ-წესთა გადმონაშთების წინააღმდეგაც ილაშქრებს. კერძოდ, როცა იგი ტარბების ღვეთის გამო სვანეთში იყო გახიზნული, სვანი კომკავშირელის — საურ ლაფარიანის ხელშეწყობით მოსიხსნე გვარებს შეარჩევს და ბოლოს, ხიფათსაც კი არ მოერიდება და ლაფარიანების ოჯახის ევრეთ წოდებულ მფარველ გველსაც კი მოჰკლავს მაუზერის ტყვიით, როგორც ჩამორჩენილი ხალხის ცრურწმენის სიმბოლოს.

არზაყან ზემბაბიას თავდავიწყებით უყვარს შერვაშიძის ასული თამარი. იგი, ერთი მხრივ, ჯაღონურ სიამოვნებას განიცდის ამ ტრფიალების გამო, ხოლო, მეორე მხრივ, თავს უბედურად გრძნობს, რომ მას, კომუნისტსა და პროგრესულ თაობის კაცს, უყვარს ნათავადარისა და ნახუცარის — ტარიელ შერვაშიძის ქალი: „მეო, განგებამ დამსაჯაო, — სწერდა არზაყან, — რომ სწორედ შენი კლასის, შენი წოდების სისხლის ნაშიერი შემიყვარდაო, აბა რა მაქვსო მე საერთო თავადის ქალთან, ისეთ ქალთან, მეოცე საუკუნეში ჯვარის მადლი და ხატის ძალი რომა სჯერაო, მაგრამ სიყვარული მართლაც ბრმა ყოფილაო, და შენმა სიყვარულმა დამამბრმავაო. და ჯერაც არ მცოდნიაო, მტრის სიყვარული თუ შესაძლებელი ყოფილაო, არც ის გამიგონიაო, სიყვარული თუ სიმშაგე აღმინდებოდაო...“.

არც კაც ზემბაბიას მოსწონდა შეილის თამარისადმი გამიჯნურება, რადგან მას, როგორც ძველ კაცს, არამტუთ ვერ წარმოედგინა, არამედ შეუძლებლადაც კი მიაჩნდა ბრწყინვალე თავადის, ტარიელ შერვაშიძის ასულისა და „ვიღაც გლეხი“ ზემბაბიას ვაჟიშვილის დაქორწინება. ამ შემთხვევაშიაც კაც ზემბაბიასთვის, მართალია, ხელისუფლება კი გამოიცვალა, მაგრამ ღრობა, მისი აზრით, ისევ ძველი დარჩა თავისი ადათ-წესებითა და ეთიკური ნორმებით. იგი ზეციდან ვარსკვლავის ხელით მოწყვეტას უფრო დაიჭერებს, ვიდრე იმას, რომ ტარიელ შერვაშიძის მძახალი გახდება. აქი, მართლაც, არ ეწერა არზაყან ზემბაბიას ნათავადარის ქალისადმი სიყვარულის ბედნიერად დამთავრება და რომანის ბოლოს იგი თავისივე კლასისა და თაობის წარმომადგენელს — ძაბულის ირთეს ცოლად. არზაყანის თამარისადმი სიყვარულში საბედისწერო როლი თამაშა მისმავე ძუძუმტემ — თარაშ ემხვარმა.

„მთვარის მოტაცების“ მეორე მთავარი პერსონაჟია თარაშ ემხვარი. რომანში წარმოდგენილ თაბათა ურთიერთობის რელიეფურად წარმოსახვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პიროვნებას, რომელიც, მართალია, ძველი, რეაქციული თაობის სულისკვეთების გამოხატულება, მაგრამ იგი, თამარ შერვაშიძის გარდა, ამ თაობის ყველა წარმომადგენლისაგან მკვეთრად განსხვავდება. ეს განსხვავება უფრო ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიურ სფეროში იჭრნობა, ვიდრე საზოგადოებრივ მდგომარეობაში. თარაშ ემხვარი თავისებურად გაორებული სულის მქონე ადამიანის ტრავმედიასაც განიცდის. თუ რო-

გორ მივიდა იგი ამ გაორებამდე, ამას მისი საკმაოდ რთული ბიოგრაფია გვაძინობს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მომენტში მეფის გენერალმა, აფხაზმა თავადმა ქაშულ ემხვარმა თავისი მამულები მიყიდ-მოყიდა, ვაჟიშვილი — თარაში სკოლიდან გამოიყვანა და ევროპას მიაშურა, სადაც ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი და უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა საბოლოოდ.

თარაშ ემხვარმა ევროპაში სწავლა-განათლებასთან ერთად იქაური ზნე-ჩვეულებაც ფართოდ შეითვისა, თუმცა არც აფხაზი ფეოდალის ტრადიციებზე უთქვამს საბოლოოდ უარი. პალოს სამშობლოში დაბრუნდა ისევე თარაში და აი, რა მდგომარეობაში დაუხვდა სახლ-კარი და დედა: „ოქუშის სასახლე იაფარქმნილი იყო სავსებით. ჩუქურთმიანი სვეტები შექანებული ეჩვენა თარაშ ემხვარს, თავიღებები ფრინველებს წაებნილწათ სკორატი. ურთხმელის რიკულები დაეძროთ, კიბის ტერასზე გადმოსული სახურავის ყავარი დაეღო წყამას. კირი შემოსკლოდა თეთრ სასახლეს ამაყად გადმომდგარს ბეჭობზე.“

პაპისეული დიდი ცაცხვი მართლაც მოუქრათ, ჰადრისა და მუხის ხეებს წნობა შეზარვოდათ... ხელას, მარანს, სამზარეულოს, საბაზიეროს ისლი გადსკლოდა, განზე მოგღრიჭა ეამთა სიაცეს ძველთაძველი წაბლის სახლები.

ქვრივის ძაძებით მოსილი დედა აივანზე იჯდა, სათვალე შუბლზე აეკენს. ჭვალის კაბას აკერებდა წელში უზომოდ მოხრილი. მოხუცებულ ცირუნის იატაკზე მოერთხა, ლობიოს ცეხვავდა ხელტუკით...

სახლში შესვლისას შენიშნა თარაშმა: აბლაბუდები მოსდებოდა ფანჯრებს. ბუხრის თავები თქვეს ჩამოერეცხა, ცირუნისა უქანასქელი სამი კბილიც აღაშერჩენოდა“.

მიუხედავად სახლ-კარის ასეთი გაპარტახებისა და ყოველგვარი წოდებრვი და საზოგადოებრივი პრეკილეგიების დაქარგვისა, რვი შაინც შეეცადა ცხოვრებაში ახალი საქუთარი გზის მონახვას, რომ თავის ხალხსაც გამაოსდგომოდ და დასაღუპად განწირულ მისი წოდების ხვედრიც აეცილებინა. მან გადაწყვიტა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და საბჭოთა მეცნიერების სარბიელზე მოესინჯა თავისი ბედი. ამ მიზნით მან დაწერა მეცნიერული გონოკლევა „კოლხეთის ფეტიშზომისათვის“ და სარეცენზიოდ თბილისის უნივერსიტეტში გაგზავნა, რომელიც მას მალე უკან დაუბრუნეს, როგორც საბჭოთა მეცნიერებისთვის უცხო მეჭოდოლოგიით შესრულებული ნამუშევარ ასე პირველ ცდაზევე ხელი მოეცარა თარაშ ემხვარს, რამაც წარუბოციელი კული დატოვა მის სულში. ამის შემდეგ მას აღარ უცდია თანამედროვე ცხოვრებაში ჩაბმულიყო და მისი პიროვნება გაორდა, რადგან მას აღარც თავისი წოდების ცხოვრება იზიდავდა, რადგან მათ ახალ დროში რეალური საფუძველ მოშლოდათ და ახლა მხოლოდ ნაკაცარებლდა დამსგავსებოდნენ და ლანდებვითლა დაფარტატებდნენ. აი, როგორი სურათი დახვდა თბილისში თავისი მამადის, ერთ დროს ბრწყინვალე თავად ნოშრევან ფარქანიანის მეუღლის, სახლთარაშს: „ნამდვილი ბაბილონური აღრევა სუფევდა ირკელივ. ჩალეწილი მიზბის ნაცვლად ბროკპაუზის ენციკლოპედიის და გეოგრაფიული ატლასის ყდნიყო გახირული ფანჯრებში... დარბაზი სამგზის გაეტობრათ ფარკინიანი ნიჭბით და ჭეჭიმებით. ამ ხელგანური კედლების გაყოლებით ფაშვებგამოყროტომანები და სავარძლები იყო მიყრილი; ზოგ მათგანს ბამბა გამოსცენოლ: ზოგსაც მოშლილი ზამბარები...“.

ასევე უიღბლო განაოღდა მისი და თამარის სიყვარული. პროინციელი ნათავადარის ქალს სილაშხის გარდა სხვა ისეთი არაფერი რამ არ გააჩნდა, რომ გზარეული და დაბნეული ემხვარი ეხსნა და გამოეყვანა იმ ჩიხიდან, რომელმაც მთელი მათი წოდება შეამწყყვდია ახალმა დრომ.

ვეროპიდან გარღვეული სულით დაბრუნებული თარაშ ემხვარი თავის უბედობასა და ხელის მოცარებას არა სოციალურ-კლასობრივი საფუძვლებით ხსნის, არამედ ცივილიზაციის მისი თანამედროვე დონით და მისდამი მტრულად განწყობილი ცდილობს თავი სუანეთს შეაფაროს, რათა გვაროვნულ-პატრიარქალურ ცხოვრებაში პოვოს საკუთარი თავის დახსნა. მაგრამ ამ ცდამაც აზოლ ჩაუარა, რადგან ახალმა ცხოვრებამ შორეულ მთიან სუანეთშიაც ლაღუმების აფეთქების ხმით ამცნო თავისი ძლევაშისილი შემოსვლა. ვერც ლაფარიანების მრავალსაუკუნოვანმა კოშკმა დაიფარა იგი საბჭოთა სინამდელიისაგან და როდესაც თავისი ფიზიკური განადგურების აუცილებლობას შეიგნებდა, ასეთ აღსარებას წარმოთქვამს მეგობრისადმი მიწერილი წერილში: „...ორი გზაა მეთქი ამეამად მსოფლიოში, ორად-ორი გზა კომუნისტებისა და ფაშისტებისა... მე დღემდის უგზოდ ვიხეტიალე და როგორც ხედავ ვერც ერთს დავადექი... ორივე დახშული აღმოჩნდა, რადგან დაერწმუნდი: ის სამყარო, რომელიც მე განუზომლად მიყვარდა, ველარასოდეს აღსდგება აწი. ხუნდებიან ჩემი საყვარელი ფერები, კედებიან ჩემი სანატრელი სიმღერები, და ეს ლოფორთქინასაგით სახეცკლილი ქვეყანა მე მეჩვენება როგორც უფერული ტრამალი...“

ეს ბარათი უჩვენებ ყველას, ვინც ყოყმანობს, ყველას უჩვენებ, თანაც უთავარი ყველას, ჩემს ნატერფალზე არაეინ შესდგას ფეხი, რადგან საშინელი წყევლით დადალულია ვარდანიძე-ემხვარების ეტლი და სარბიელი. ჩვენი გზა აწი იქითეენ მიდის, საიდანაც ხმაც ვეღარ ბრუნდება“.

მართალია, თარაშ ემხვარი ამ აღსარებაში თავის ხეღდრს ნაწილობრავ ფატლისტურად ხსნის, მაგრამ ეს სიტყვები ახალი თაობის მიერ წარმოთქმულ განაჩენივით ისმის არა პატრო მის, არამედ მთელი მისი თაობის მიმართ.

ისტორიულად დასაღუშავად განწირულ ამ თაობას მიეკუთვნება რომანში პროინციელი „ოქროპირი“ და ლოველასი შარდინ აღშობაია, რომელიც ადამიანებთან ურთიერთობაში ქამელეონის საოცარ თვისებებს ამქლავნებს. დროთა განმავლობაში შარდინ აღშობაიას გზას შეუღდება ჭვარელი ცხენის დალალი ჭოკიაც, რომელმაც თავისი ცხოვრებისეული ფილოსოფია ასე გამოხატა: „საქმეც ის არის პატონისქეა, ისეთი ცხენი გაჰყიდო, რომელიც არ არსებობს. თორემ ნამდვილს ყოველი შლეგიც იოლად გაჰყიდის“.

ამ განწირულთა თაობის წარმომადგენლები არიან ნოშრევეან ფაოქანიანი და ტარიელ შერეაშიძე, რომელთაგან პირველმა ყელი გამოიჭრა, ხოლო მეორემ თავისავე ხელით დაახმო და დაღეწა ის ხატი, რომელსაც ნახევარი საუკუნე სანთელს უნთებდა და ეთავყვანებოდა.

პატრიარქალური ცხოვრების აპოლოგეტებს — ქორა მახვსა და ლომკაც ესუანჩიას, როდესაც თავიანთი დამარცხება იხილეს საკუთარი თვალით, სისხლი ჩაექცათ და ისე დაიხონენ. კულაკთა თავკაცები კი, ტარბები და ჭოტო გვასალია, კლასობრივად იქნან განადგურებულნი.

ძველი თაობიდან ყველაზე აქტიურად საბჭოთა ხელისუფლებას გვანჩი აფაქიძე ებრძოდა. ეს ავანტიურისტი და „რისიეს კაცი“ არზაყან ზეამბაიასთან პირისპირ თავს იკატუნებდა და ესაწყლებდა: „... ყოველ დღე დიდი და პატარა პირში მიფურთხებთ, ბიძი, მარა ვითმენ, ვითმენ შეილო, რადგან ეს გაძალე-

ბულო სული ტკბილი ყოფილა, ტკბილი“. ზურგს უკან კი ისეთ ქსელებს აბავდა, რომ პარტიის რაიკომის მდივანი არენბა არლანიც კი ხელზე ჰყავდა დახვეულო. გვანჯი აფაქიძე ცდილობდა ახალი დროც თავისი ბნელი საქმიანობისთვის გამოეყენებინა, მაგრამ საბოლოოდ მასაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

მკითხველის თანაგრძნობას იწვევს ტარიელ შერვაშიძის ასული თამარი, რომელიც ნახუცარმა ისეთ დესპოტურ პირობებში აღზარდა, რომ ყოველგვარი საზოგადოებრივი ინტერესები ჩაუკლა ამ მშვენიერსა და სათნო ქალიშვილს. თამარ შერვაშიძე ღვთისმოსავი და პროვინციელი ქალია, რომელსაც ახალი ცხოვრების არა გაეგება რა. მას ხომ ცხოვრება სულ ნაყაცარებს შორის უხდებოდა და, როგორც კი გაუბედავად გადადგა პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი, იგი მისთვის საბედისწეროდ გადაიქცა. თამარიც ვაორებული პიროვნების ხასიათს ატარებს, რომელსაც არც ძველი თაობის ცხოვრება მოსწონს და ვერც ახალ თაობასთან მისულა გაბედულად, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მაინც წოდებრივმა ქედმაღლობამ გადასძლია და არზაყანს თარაში ამჭობინა. ამ არჩევანმა დაღუპა კიდევ იგი.

კონსტანტინე გამსახურდიამ ლუკია ლაბახუას სახით დაგვიხატა კოლორიტული და ძლიერი მხატვრული ზემოქმედების მქონე ხასიათი უკუღმართი სოციალური პირობების გამო დაბეჩავებული, მონური ფსიქოლოგიის მქონე, სულიერად დამახინჯებული და რელიგიური ცრურწმენებით დაბნელებული გონების ადამიანი. მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი მაინც ზნეობრივად სპეტაკი ადამიანია და მკითხველში მხოლოდ და მხოლოდ თანაგრძნობას იწვევს. ლუკია ლაბახუა იმ თაობასთან ერთად აღუშება, რომელმაც მოახდინა მისი სულიერი ცხოვრების დეგენერაცია.

კონსტანტინე გამსახურდიამ რომანში „მთვარის მოტაცება“ დაგვიხატა ახალი, პროგრესული საზოგადოებრივი იდეალების მქონე თაობა და დაუპირისპირა ძველ, რეაქციული მსოფლმხედველობის მქონე თაობას, რომელიც ისტორიულად იყო განწირული დასაღუპავად. ამით მან რეალისტური მხატვრული ხერხებით წარმოსახა 20-იანი წლების დასასრულისა და 30-იანი წლების დასაწყისის ქართული სინამდვილე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
მ. ჯუსთაეელის სახელობის ქართულ ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტმა)

თ ა მ უ რ ჰ ა გ ო ლ ი ნ ი ვ ი ლ ი

რ ა შ ი ე ლ ე რ ის თ ა ვ ის ლ ი რ ი კ ის ხ ა ლ ხ უ რ ი ბ უ ნ ე ბ ა

პოეზიის ხალხურობის საკითხი სხვადასხვაგვარადაა გააზრებული ლიტერატურათმცოდნეობასა და ესთეტიკაში. ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედების ხალხურობას მკვლევართა ერთი ნაწილი ეროვნული ყოფის გარეგნულ აღწერაში ხედავს. მეორენი ხალხურობის ცნების ქვეშ შემოქმედის მიერ საყოფაო ხალხის ბუნების, ფსიქიკური წყობისა და იდეალების განსახიერებას გულისხმობენ. ამ დახასიათებიდან გამომდინარე მწერლის შემოქმედების ხალხურობის პირობად მაინც ისაა ჩათვლილი, თუ ხელოვანის ქმნილებებში რა სიღრმითაა წარმოჩენილი მისი ხალხის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალი. ასე რომ, ცალკეული მწერლის შემოქმედების ინდივიდუალური ხასიათი ხშირად იძლევა საფუძველს ხალხურობის ცნების ნაირნაირი ინტერპრეტაციისათვის. ეს კი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ აუცილებელია კონკრეტული მასალის საფუძვლადად ანალიზი, იმგვარი კვლევა, რომელიც სწორედ ანგარიშს გაუწევს მწერლის შემოქმედების უფარესად თვითმყოფად ბუნებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით რთულდება კვლევა-ძიება. როცა საკითხი ლირიკის სფეროს ეხება. აქ უკვე ჰქირს კონკრეტული ფოლკლორული სიუჟეტური წყაროს თუ თემის დაძებნა, რადგან ლირიკელის თემა ხომ პირველ ყოვლისა განწყობილებაა! ამიტომაც ინდივიდუალური შემოქმედის ლირიკულ თხზულებათა ხალხურობის ძიება უპირატესად გულისხმობს იმ ხატთა სისტემის, პოეტური ინტონაციებისა თუ მელიოდირობის პოვნას, რაშიც ასე მკაფიოდაა გამოხატული ამა თუ იმ ხალხის სული, მისი სასიმღერო მხატვრული ენერჯია. ამ უფალსაზრისით ინდივიდუალური შემოქმედის ლირიკის ხალხურ წყაროდ შეიძლება გამოვიდეს თავისი ფორმით უფარესად სადა, მაგრამ მღერადი, მელიოდირი ხალხური „სიმღერა“, რადგან ხალხურ პოეზიაში „სიმღერა“ ლირიკელის უმაღლესი ფორმაა.

რაფიელ ერისთავის პოეზიის ხალხურობის ნიშნად უკიდურესი სისადავე და ბუნებრიობაა აღიარებული. მისი შემოქმედების ხალხურობა იმავითაა დანახული, რომ პოეტმა ჩაგახედა ქართული გლეხის სულსა და გულში. ამასთან ამ პოეტის ხალხურობის ერთ გამოვლენად ისიცაა მიჩნეული, რომ წარმოდგენას იძლევა ცალკეული ფოლკლორული ჟანრის ფუნქციასა და შესრულების წესებზე¹. თვით რ. ერისთავის თანამედროვეებმა მისი პოეზიის ერთ სპეციფიკურ ნიშნად საყოველთაო, საერო ხასიათი აღიარეს. მათ სწორად შენიშნეს რ. ერისთავის: მიერ სინამდვილის აღქმა-განსახიერების ის თავისებურება, როცა რეალობა ხალხის თვალითაა დანახული.

პოეტის მიერ ასეთნაირად მოწოდებული მხატვრულ სინამდვილეში უშუალოდა, სისადავე და ბუნებრიობა ქმნის უფარესი ხალხურობის შთაბეჭდილებ-

ზას. ანგვარად მოცემული სურათი, ესა თუ ის პოეტური განწყობილება გამოდის სწორედ რ. ერისთავის პოეზიის ხალხური ბუნების განმსაზღვრელად. ასეთია რ. ერისთავის ლირიკული შედევრი „სამშობლო ხეესურისა“ (1881). სამშობლოს სიყვარულის გრძნობა აქ უშუალოდ იპყრობს მკითხველის გულს. პოეტურ სენტენციებს მოკლებულ ლექსში მშობლიურ გარემოსთან, მამა-პაპათა სამყოფელთან თანშეზრდის, მიჩვევის გრძნობა გამოდის პატრიოტიზმის დედაძარღვად:

სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულის, იმათი კუბოს ფიციარი,
სადაც სიყრმითვე ვმობილვარ, ჩემი სამშობლო ის არისმ.

ლექსის სხვა სტროფებში არაა მოკლებული ასეთსავე სიძლიერეს. სამშობლოს სიყვარულის გრძნობის ფაქიზი, ქეშმარიტად ხალხური განცდა განსაკუთრებით ძლიერადაა წარმოსახული ლექსის რეფრენში:

არ გაეცლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გაეცლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სპოთხეზედა.

აქ ხალხურია პოეტური აზროვნების პროცესი მთლიანად. მხატვრული გამომსახველობითი ხერხები და საშუალებანი ხალხური ხედვის, განცდებისა და მისწრაფებების ნიადაგზეა ამოზრდილი: (სამშობლოს სალი კლდეები — უკვდავების ხე; სამშობლო — სხვა ქვეყნის სამოთხე).

ხალხური შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი თხრობის მანერითაა გამოხატული პატრიოტული გრძნობა ლექსში „კაცი ის არის“ (1896). ხალხურ პოეზიაში სიმტკიცე, ამტანობა, ალტრუისტული მისწრაფებები არის ხოტბის სავნად ქცეული. აქ ადამიანის არსებობის გამართლება საქმობლოს, მშობელი ხალხისადმი უანგარო სამსახურშია დანახული. ამგვარი თვისებები ქართველი ხალხის ეთიკურ იდეალადაა წარმოსახული რ. ერისთავის მიერ:

კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შეილადა,
ვისაც სამშობლო ტარად აქვს,
თავი — სამშობლოს წილადა,
ქვეყნის ცრემლი ჭირად უჩნს,
მისი ღობილი — ღვინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შამოალებს ფოილადა!

ასეთნაირადაა დანახული პოეტის მიერ ადამიანის სიცოცხლის აზრის საკითხი. ეს ერის გულის ამოძახილია და ამითაა განპირობებული ამ გრძნობის გავრცელების უაღრესად ფართო დიაპაზონი, მისი ხალხური ხასიათი. სადა და ბუნებრივი მხატვრული სახეებით იშვიათი ოსტატობით ხატავს რ. ერისთავი ეაქაყურ თვისებებს, ადამიანის ამქვეყნიური არსებობის ამ დამამშვენიებელ ნიშნებს:

კაცი ის არის, ვინც მამულს
ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,
ვერც მისი მკაცრი ბრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხერისთვის
ლომ-გულა მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს
მოწამეს დემეგანება!“

გრძობათა გადმოცემის ეს სადა, ხალხური ბუნებაე სძენს ამ ლექსს გამ-
ღლობას და ღირებულებას თაობათა თელში.

ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან პოეტურ ინტონაციათა ნათესაობა
ქმნის ხალხურობის განცდას ლექსში „თანდილას დარდი“ (1891). მარჩენალი
სარის სიკვდილით გამოწვეული სედა და თანდილას ყოფის უნუგეშობა ქარ-
თელი გლეხობის უნუგეშო ცხოვრების ზოგად ხატად წარმოდგება. ამიტომ
თანდილას დარდი მშრომელი კაცის გულისნადების უშუალო გადმოცემით
ხალხურ უღერადობას იძენს და ასეთნაირადვე განცდება მკითხველის მი-
ერაც:

ჩაფიქრებულა თანდილა,
დაუკრეფა გულს ხელი,
ჩასკერის ვეღა-მიწასა,
ჩუმაღ ბუღბუტებს გულ-ხელი:
მომიკედა ხარი გიშერა,
მოკედა, გამიწერა ღმერთთა...
რალათი მოეხნა ნაწრეთი,
რით ავიტლო შიშშილი,
რით გაუძღვე ქვეყანას,
რით ვარჩინო ცოლ-შვილი?

მსგავსი განწყობილება და აზრი კარგადაა გამოხატული ლექსში „სესიას
ფიქრები“ (1883). აქ ცხოვრების მკაცრ სინამდვილესთან შეჯახებულია გლეხ-
კაცის სულიერი მდგომარეობითაა ასახული:

მიწა ვარ ნიადაგ მენა,
ბეჩაეი, გლეხად შობილი,
მიწა ჩემი დედ-მამა,
ჩემი და, ჩემი ძმობილი...
ეხნავ, ვთავავ, ვებრძვი მიწასა,
ე შრომა მაინც ფუჭია...

ამავე იემატურ რკალში ერთიანდება „ტეტეიას მოთქმა“ (1883). „ბერუას
ჩივილი“ (1883), „ბერუას ჩაფიქრება“ (1883), „დედაბრის მოთქმა“ (1882)
და რ. ერისთავის სხვა სოციალური შინაარსით დატვირთული ლექსები.

რ. ერისთავის ლირიკული პერსონაჟები მოთქვამენ, ჩივიან, ტირიან, წუ-
წუნებენ ცხოვრებაზე მწარედ ჩაფიქრებულნი, ებრძვიან მიწას. ისინი არსე-
ბობის შენარჩუნების პრინციპს უმორჩილებენ ყველა სრახვას, რადვან უკუ-
ღმართი სოციალური ვითარების გამო იძულებულნი არიან ფრთა შეაკვეციონ
თავიანთ ლალ ოცნებებს. ამიტომაცაა, რომ მოსაველით სავსე ყანა, ნაყოფით
დატვირთული ხეხილი და საერთოდ გლეხური საარგებლიანობის მომენტს და-
ქემდებარებული ბუნების სურათები იტაცებს მათ თვალს. ამ თვალსაზრო-
ით ბუნების ძალეზე დამოკიდებული მიწის მუშის სურათთა დახატული
ლექსში „ტეტეიას მოთქმა“ (1883).

ყანა წამიხდა, რა ყანა
ავ თვალს არ ენახებოდა,
თავ-თავს ქვეშ იზნიქებოდა,
სიმძიჟისაგან წებოდა!..
ნეტა რა წყალში ჩავარდე,
რით გამოკვებო ცოლ-შვილი?
ი დასაქცევა სეტყვამა
კარს მომყენა შიშშილი!..

ლექსებში „პურას მოსავალი“ (1881) და „ყანა“ (1891) თავთავდახუნძული, მოშრიალე ყანის შთამბეჭდავ სურათებში მიწის მუშის გულისტყმა, ნატვრა და ოცნებაა განსახიერებული. ამ გრძნობის საყოველთაოაპარობებს ლექსების ხალხურობას. ამასთან ერთად გამოსახვის მანერა, ლექსის უაღრესი სისადავე, ენისა და კილოს ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებაა იმის მიზეზი, რომ რ. ერისთავის ლექსები ადვილად დადიან მკითხველამდე. ამიტომ მისი ამგვარი ხასიათის ლექსები ადვილად გახალხურდა და ამჟამად ნაირნაირი ვარიაციებით გვხვდება. აქ იქცა ჩვენი ხალხის საკუთრებად ლექსი „პურის მოსავალი“, „სამშობლო ხევსურისა“ და სხვ. თითქმის ასეთივე ზედი ეწია „თინას მამითადს“ (1882). ამ ლექსში ხალხური ყოფის სურათი ქმნის უშუალობას და ბუნებრიობას, ყველასთვის მისაწვდომობას, რაც უკვე ხალხურობის პირობად იქცევა. ხალხურია ამ ლექსის პოეტური აქსენტური და მელოდიური დინამიკა:

მამითად ქყავს თინას,
დღეს არის ამის ღზინია,

დღლა-ადრთან მოადგენ
ქარზე რჩელი ბიჭები,
„ქობეჯათი“, კვინით
მოედგენ ქერივის ყანასა...

რ. ერისთავის პოეზიის ხალხურობის მანიშნებელი ისიცაა, რომ პოეტი უკიდურეს სისადავეს იჩენს პოეტური სამკაულების ხმარებაში. ამა თუ იმ მხატვრული სურათის ხატებისას მთელი ყურადღება გადატანილია ამის, როგორც ასეთის, მდინარებაზე. მხატვრული ქსოვილის ყოველი ნაწილი ამ უკანასკნელს ემორჩილება და მის უკეთ წარმოჩინებას უწყობს ხელს. ამიტომაც ნაკლებია მოვლენის არსის შესახებ განყენებული მსჯელობანი.

ლექსში „გაზაფხული“ (1881) ბუნებას გამოვლიძების სურათია მოცემული. მისი სილამაზე ორიოდ შტროხითაა მიტანილი მკითხველამდე. პოეტის ხედვის არეში არსებითი მომენტებია მოქცეული. ქვეცნობიერის ან რეალურ სამყაროს მიღმა არსებულის მხატვრული წარმოსახვა არ შეადგენს ამ შემთხვევაში პოეტის შემოქმედებითი გატაცების საგანს. რ. ერისთავს ყოველდღიური, ყოფითი დეტალები იტაცებს, რეალური ცხოვრება ხიბლავს თავისაღ-ქარგით. ამიტომაცაა, რომ ჭანსალი, ძარღვიანი განედებით შემოაქვს მსმკითხველის წარმოდგენაში ქართული გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი! ეს ბუნებრიობა აპირობებს სწორედ მისი ლექსის ხალხურობასაც:

თოელი ატირდა ლანქარად,
ადიდა ჩვენი წყლებია,
ბაღებს უხარის, დარბიან,
პაპას გაუთბა ძელებია,
მიმჯღარა ბერი ყულროზე,
ყვარკენს მისჩერებია,
ქვეყანამ გამოიღვია,
სიცოცხლე მოსწყურებია...

სინამდვილის აღქმის ასეთი სურათები გამოდის რ. ერისთავის, როგორც ხალხურ მასალაზე დაყრდნობილი შემოქმედის, თავიანთებურების განმსაზღვრელად. ყოველდღიურის, „არაპოეტურის“ პოეტური შინაარსით ავსებთ: ქმნის

რ. ერისთავი ახალ მხატვრულ სინამდვილეს. ამ შემთხვევაშიც ყველასათვის მისაწვდომობაა ხალხურობის ნიშანი. ასე მაგალითად, ლექსში „ზაფხული“ (1881) ამგვარი სურათია:

... გაითონა სიმინდები,
თოვ დაღვეს, ანეულსა
დასდგომია ამინდები.
აგერ, აგერ ყანებშია
„კოოპემას“ იმახიან...

რიგ შემთხვევაში რ. ერისთავი ამა თუ იმ ხალხური ლექსის დაბეჭდილ, მთლიანობად ქცეულ სტროფებიდან ამოზიდავს (ხალხური ლექსის სისადავის გამო მიჩქმალულ) სტრიქონებს მიღმა არსებულ სინამდვილეს და მისეულ ანტიკონტრასტუალურ სთავაზობს მკითხველს. აქ იქმნება საშიშროება ცნობილი ხალხური მოტივის ვარიანტისა და ამგვარად შექმნილი მხატვრული ტილოს უღიბლანობისა. მაგრამ რ. ერისთავი არ ერიდება ამას და ხალხური ყოფის უტყუარი ცოდნის მოშველიებით ქმნის ახალ მხატვრულ სამყაროს. ფოლკლორულ მოტივზე ხალხური ბუნების ლექსი აღმოცენდება ზეპირსიტყვიერ მასალაში არსებული მოტივების, განცდების დიფერენცირებისა და რაფინირების გზით. ლექსი „ალზევანს წასვლა“ (1883) ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. რ. ერისთავი თვითვე მიგვანიშნებს ხალხურ მასალასთან სიახლოვეზე, როცა ნაწარმოებში საგანგებოდ, შეუცვლელად შეაქვს ხალხური სტროფები:

ალზევანს წავალ მარლზედ,
ზარის მოვიტან ბროლსაო,
ჭერ ღვდას ვაღავეხვევი,
მერე შეილსა და ცოლსაო!..

ფოლკლორული სტროფი ამ შემთხვევაში არაა ნაწარმოების საერთო ქსოვილიდან ამოვარდნილი. იგი განუყოფელ მოლაინობაში რჩება ლექსში, რადგან პოეტისეული ამგვარ ნაწარმოებებში აფორისტულობამდე მისული ხალხური მოტივის პერიფრაზის მნიშვნელობამდე დასული. რ. ერისთავის ლირიკაში ამნაირად მოწოდებული ხალხური მასალა მუდმივ ხატთა სისტემის სახესაც კი ღებულობს. ასეთია, მაგალითად, პოეტის ფანტაზიით გაცოცხლებული სურათი, როცა მკითხველს აწვდის შორ გზაზე მიმავალ მეურმეთა ბუნებრივ განცდებს. ამგვარად მოწოდებული ხატები ლექსის ხალხურობის ერთ პირობას ქმნის. ხალხურ ხატთა მიწოდებისას კიდევ უფრო მძაფრი განცდა ჩნდება, როცა რ. ერისთავი ლექსში მუშა საქონლის, ურმისა და მისი შემადგენელი ნაწილების დახასიათებას ტრადიციული შრომის სიმღერებით ახდენს. აქ უკვე ხალხურობის მანიშნებელ უტყუარ სიტუაციებთან ვეაქვს საქმე.

ასეთივე ხასიათისაა ლექსი „გუთანნი“ (1882). ნაწარმოები ხალხური პოეტური სტრიქონების („გადი-გამოდი გუთანო/ღირღიტაე, ბანი უთხარო“) გაშლილი მხატვრული ქსოვილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ლექსის ხალხურ ბუნებას აპირობებს მისი მელოდიურობა, სასიმღეროდ გამიზნულობაც.

ლექსის სასიმღერო ხასიათზე ზოგიერთ შემთხვევაში საგანგებოდ მიგვანიშნებს ოთხ პოეტიკი, როცა სათაურშივე აღნიშნავს მის მიზანდასახულობას. ასეთია „ფერხულის ხმაზედ“ (1868), „მევენახის სიმღერა“ (1886), „ღამის მებრის სიმღერა“ (1886), „მორიგი ჯარის სიმღერა“ (1887), „გოგოს კირიმე“ (1885) და სხვ.

ცნობილია, რომ სასიძღვრო ბუნება, რიტმულობა, მელოდიურობა უკვე თავის თავში პოტენციურად შეიცავს ლექსის სასიძღვრო გამაზნულობას, რაც უკვე თავისთავად ხალხურობის მაუწყებელია. და პოეტის სწრაფვა მელოდიურობისაკენ მისი ზრთოვნების ბუნების ხალხურობისაკენ მიდრეკილებაზე მეტყველებს. აღნიშნულს გარდა რ. ერისთავი ლექსს ხალხურ სულს შთაბერავს სასიძღვრო ფოლკლორული სტროფის გამოყენებითაც. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს წარმოგიდგენს ლექსი „ფერხულის ნმაზედ“ (1868). ეპიგრაფად ამ ლექსს ცნობილი ხალხური სიმღერის „შალვა-შაღლეგოს“ სტროფი აქვს წამძღვარებული. აქ ხალხურობაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა თვით ლექსის კომპოზიცია. განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს ლექსის დასაწყისში:

არალო, არი-არალო!
 არალო, ვარხი-ვარალო!
 აუარ-ჩამოუარეთ, ბრკებო!
 ვადამეხეიეთ და, გერიტებო!

ლექსს უაღრესად ხალხურ ელფერს სძენს თხრობის ხალხური მანერაც. წინა პლანზე აქ ამბავია. ხოლო ტყვედქმნილი მოთარეშის (ლექის) სულიერი მღელვარება პოეტის ყურადღების მიღმა დარჩენილი. ხალხურობის მანიშნებელია ლექსის დაბოლოებაც. — „თქვენი გამარჯვებისა ყოს!“

რიგ შემთხვევებში რ. ერისთავი ამა თუ იმ ფოლკლორული სიუჟეტის პოეტრიზაციას ახდენს. მაგრამ ცალკეული ხალხური მოტივის დამუშავება არ ტოვებს ლექსში მასალის ნედლად შეტანის შთაბეჭდილებას. თუმცა ამ შემთხვევაში რ. ერისთავი არ სცილდება ხალხური ლექსის მდინარების ტრადიციულ ფარგლებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლექსი „ხინჩლას გალაშქრება ქისტებზედ“ (1886). აქ ტომთა ურთიერთდღალაშქერის მოარული სიუჟეტი ქმნის კომპოზიციურ მთლიანობას. ქისტ ჭოყოლას მიერ შეურაცხყოფილი ხევსურები თავს ესხმიან ქისტებს და ანადგურებენ მათ. ფშავ-ხევსურულ პოეზიაში მრავლადაა ასეთი სიუჟეტურ ქარგაზე აგებული ლექსი. რ. ერისთავი ხევსურთა ყოფის, მათი მკაცრი მორალის ჩვენებას ხალხური ლექსის ფარგლებში იძლევა და განცდითი პლანის, ფსიქოლოგიური პომენტის წინწამოწევით ახერხებს ხალხურ ამბიდან თვისობრივად ახალი ეპიკური ელფერის მატარებელი მხატვრული სინამდვილის შექმნას. ამითვე განპირობებული მისი, როგორც ხელოვანის, ორიგინალობაც. თვით ლექსის ხალხურობა განპირობებულია აზროვნების, ამბის გადმოცემის ფორმითაც:

ხევსურნი სხედან ხინჩლასას,
 იმის სუფრაზე მღერაან,
 ქალთაზე კაზიხი ლუდს აწვდის,
 ვაჟნი მას შემოსცქერაან.
 ხინჩლა კი წეოს ეწევა,
 მისდა მიმჭდარა ბერია,
 ქისტნი ჭოყოლას იგლოვენ,
 ხინჩლას მოუკლავს მტერიალ..

ასეთივე ხასიათისაა ლექსი „ნაამბობი მოხუცისა“ (1861). კომპოზიციური აგებულების თავისებური ხასიათისა და კონკრეტულად ეპიკური მდინარებას გამო ამ ლექსს პოემასაც უწოდებენ. თვით პოეტის შინაწერი „მიბაძვა ძველ მღელქესთა“ მიგვანიშნებს ლექსის ხალხურ წარმომავლობაზედ. რ. ერისთავი აქაც მოარული ფოლკლორული სიუჟეტის, ამბის მხატვრულ სურათს წარ-

მოგვიდგენს. ლექსში ცალკეულ თემთა ურთიერთდღაშეკერის ტრადიციას გაცოცხლებული პოეტის მიერ. აქ, ერთი შეხედვით, რ. ერისთავი თითქოს ხალხური ნაამბობის გალექსევას ახდენს, მაგრამ იგი, როგორც ინდივიდუალური ხელოვანი, გრძობათა, შინაგან განცდათა წინ წამოწევით ახერხებს ხალხური მასალიდან თვისობრივად ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნას. ფსიქოლოგიზაცია თავიდანვე ჩანს ლექსში, ხოლო უფრო თვალსაჩინო ხდება იკამოხუცის დაქრილი მეზობლისადმი დამოკიდებულებაში:

იქ ყოფნას ახლაც ვინანი,
მაშინაც შენანებოდა,
მისთვის რომ ვნახე ვაჟაკი,
ტყუარა ვულს დამძვრებოდა.
უცხო რამ გმირი, მამაკი
სანთელიეთა ქვებოდა.
მიველ და ზრუნვა დაეწევ,
თუ კი რამ ეწამლებოდა.

რ. ერისთავი სიყვარულის, სიცოცხლის მომლოდინე დაქრილი ვაჟაკის ბედს ჩვენებით თავის გმირს ჩააფიქრებს ძველი სისხლიანი ადათების უაზრობაზე. აღუძრავს მას სიბრაულისა და სინდისის ქენჭის გრძობას:

მის მნახავსა მას აქეთ
თვალსა დამაკლდა ჩინია.
ვინდა რომ ვიყო ქორწილში
არ მელხინებდეს ლხინია,
ომისა, ვაჟაკობისა
ვაკრილდა ჩემში ეთნია...

აქ სწორედ განცდილი მომენტის შეტანა, ფსიქოლოგიზაცია ქმნის ფოლკლორულ და ლიტერატურულ ქმნილებათა განმასხვავებელ ნიშანს. ამ მომენტის წინა პლანზე წამოწევა აპირობებს „ძველ მელექსეთა მიზანული“ ამბიდან ახალი მხატვრული სამყაროს შექმნას. იგი აჩვენებს რ. ერისთავის, როგორც ხელოვანის, პოეტურ ძალასაც. ასეთ მიმართებას იჩენს რ. ერისთავი ზოგ შემთხვევაში ხალხური მასალისადმი და მასში განცდათა მძაფრი კიდობის წინ წამოწევით ახერხებს მთარული ფოლკლორული ამის ახალი შინაარსით ავსებას.

ქართული ხალხური წარმოდევების, მითოლოგიური პერსონაჟებისა თუ ლეგენდების მხატვრული განსახიერებისადმი გარკვეული მიდრეკილება ჩანს ისეთ ნაწარმოებებში, როგორცაა „ალეზი“ (1883), „მაჭლაჭუნა“ (1887), „ქობოლი“ (1882), „ქალი — აყვანა“ (1881), „ბაზალეთის ტა“ და სხვ. რასაკვირველია, ამ ნაწარმოებების მხატვრული ზემოქმედების ძალა შედარებით უფრო ნაკლებია, ვიდრე რ. ერისთავის წმინდა ხალხურ კლოზე შექმნილი ლექსებისა: მაგრამ, როდესაც რ. ერისთავის ხალხურ მასალასთან ლიტერატურული მიმართების საკითხს ეხებით, ყოველგვარ ნიშნულს, რასაც კი პოეტი შეხებია, ეს მისი შემოქმედებითი გამარჯვების დადასტურება იქნება თუ მარცხისა, აქვს გარკვეული მნიშვნელობა, რათა სრულად გაეაზროს რ. ერისთავის პოეზიის ხალხური ბუნება თუ წარმომავლობა.

რ. ერისთავის ლირიკის ხალხურობის ძიებისას ცალკეა გამოსაყოფი ავრეთვე პოეტის მიერ გადმოკეთებული ლექსები.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ერის პოეზიის სხვა ენაზე თარგმნა გარკვეულ სიმწვანეებთანაა დაკავშირებული. ძველთაგანვე მიჩნეული იყო, რომ თარგ-

ზანში პოეზიას ეყარება დედნისეული მომხიბვლელობა, მგრძნობელობა, მუსიკალობა და ემოციურობა. თუმცა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებულია, რომ, მხატვრული თარგმანის ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული კრიტერიუმის არარსებობის მიუხედავად, პოეზიის თარგმანში ნიჟინც შესაძლებელია. მიუთითებენ, რომ ნიჟინც და დასვეწილი გემოვნების ნიჟინც მთარგმნელს ძალეუის სრულყოფილად იგრძნოს უცხო პოეზია და შეითხველს გრძნობათა ახალი სამყარო გადაუშალოს, აღაფრთოვანოს იგი უჩვეულო, შორეული იდეალებითა და მხატვრული სახეებით, მიაწოდოს ლექსის დედნისეული მგრძნობელობა და ემოციურობა. მაგრამ იქვე იმ ვარაუდებზეც აღნიშნავენ, რომ ამასთან ერთად მთარგმნელმა უნდა შეინარჩუნოს თავისთავადობა. ეს გულისხმობს, რომ მთარგმნელმა არ უნდა დაკარგოს ორიგინალი და პირადი მეობა, ე. ი. თარგმანში შემოქმედებით პროცესად უნდა აქციოს და ამით თვითონაც შემოქმედებად დარჩეს.

რ. ერისთავის გადმოკეთებულ ლექსებზე დაკვირვება გვიჩვენებს. რომ პოეტი დედნისადმი თავისუფალ დამოკიდებულებას აჩენს. იგი ლექსში ქართული ხასიათის შეტანით ახალ მხატვრულ სინამდვილეს ქმნის და ინარჩუნებს შემოქმედებით თავისთავადობას. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსი „ყანა“ (1981). ცნობილია, რომ რ. ერისთავმა ეს ლექსი გადმოაკეთა რუსი პოეტი ქალის ი. ჟადოვსკიას ლექსიდან „Лилия“. შინაარსობლივი თვალსაზრისით რ. ერისთავის ლექსი ახლის დგას დედანთან. თარგმანში უსუსტადაა ასახული ლექსის დედნისეული ინტონაციები და მიმსგავსებულია მელოდიურობაც. მაგრამ ქართული ეროვნული თვალთახედვისათვის ნიშანდობლივი რიტმობლივი ჩართვა აპირობებს ლექსის ორიგინალურად აღქმას. ლექსს უაღრესად ქართულ ბუნებას სძენს გადმოცემის ქართული მანერა. ასე, მაგალითად, რუსული „ოქროს ყანა“ ქართულში „ოქროს ქოჩრიახად, ტურფად და ლერწამ-ტანად“ დანახული. შევადაროთ:

ყანა, შენ ჩემო ყანაო,
ნაში გიამა განაო!
ვიხდება ოქროს ქოჩორი,
რამ შეგქმნა მაგისთანაო!...

ყანა, შენ ჩემო ყანაო,
ტურფად და ლერწამ-ტანაო
მარცვალს ამზადებ მსხვილ-მსხვილსა
უფალმა ასე ბრძანაო!

Лилия моя, шшда,
Лилия золотая!
Зрешь ты на солнце,
Колос наливая.

ზოგჯერ რ. ერისთავი ხალხურ მეტყველებასთან დააბლოებული. სადა მარტივი ენით ერთისა და იმავე სტროფის ფარგლებში უფრო უსუსტად გადმოგვცემს ცალკეულ პოეტურ ინტონაციას. ასე მაგალითად:

გეთანამება ნიაი,
ზღვასავით ღელავ, სვიანი,
შენი შრალი მახარებს,
ღმერთმა გაშოროს ზიანი!

По тебе от ветру,
Слошно в шшшш море,
Волны так и ходят,
Ходят на просторе.

დედნში მობიბინე ყანის ზღვასთან შედარებას მთელი სტროფი უკავია მანინ როცა რ. ერისთავი ამავე მოცულობის ფარგლებში აზრის ახალ ემოციურ დატვირთვას ახერხებს. თვით შინაარსის გადმოცემაში შეინიშნება ნიჟინცობრივი სხვაობა. დედნში უფრო პოეტისეული განცდაა წინ წამ აწეულა თარგმანში ყანის ბარაქიანობით გამოწვეული სისარული უფრო მიწის მუშ

ფალთახედვითაა დანახული. ასევეა ლექსის სხვა სტროფებშიც. რ. ერისთავი თავის გადმოკეთებულ ქმნილებებში ქართული ხალხური ლექსისათვის ტრადიციული ინტონაციების შეტანით ქმნის ეროვნული კოლორიტის განცდას.

ამგვარსავე სურათს ვხედავთ ლექსში „მიპატიება სასწავლებელში“ (1883), ამ შემთხვევაშიც ნაწარმოებში მოხმობილი განცდები და გრძნობები უაღრესად ქართულ, ეროვნულ სამოსელს იძენს. რ. ერისთავი ამას ახერხებს ცალკეული სურათ-ხატის ახალი აზრობრივი ნიუანსებით დატვირთვის გზით. რუსული ლექსის „Приглашение в школу“ პოეტურ ინტონაციებს ქართული ყოფისათვის ნიშანდობლივ სურათ-ხატებს უსადაგებს რ. ერისთავი და ამით აღწევს კიდევ ახალ მხატვრულ ეფექტს. ეს განსაკუთრებით კარგად შეინიშნება ლექსის პირველ სტროფში:

წამოდქეი, ემწეილებო,
ტანო ჩაუცუთ საქაჩარხო,
აბა თავი მოიყარეთ
სწავლისათვის თავის დროზე..

Дети в школу собирайтесь
Пстухок пролет давно,
Гонровершей одевайтесь!
Смотрят солнышко в окно.

ლექსის სტროფების შედარება ნათელყოფს მთარგმნელის თავისუფალ დამოკიდებულებას სათარგმნი მასალისადმი. თითოეული სტრიქონი რ. ერისთავთან ახალი შინაარსითაა ავსებული, მეტი ემოციურობა აქვს მინაქებული ასეა სხვა სტროფებშიც:

აგერ ტყემაი გაიღვიძა,
შრიალებს და რაცხას ხარობს,
კოლა ხეს უკაუნებს,
და მწყერ-ჩიტა ციში გლობს!
მინდორი და ველი ჰუავის,
ნაში ბზინავს ათას-ფერად,
მზემაც თვალი გააქუიბა,
ამოვიდა მათ სამზერად...
ქაჩველები ველს მოედენ,
თოქოს რაღაც ჭოგიაო,
მოლაღერაც გაიძახის
მალა: „ბიჭო-გოგიაო!...“

Ясно поле, весел луг;
Лес проснулся и шумит;
Дятел носом: тук да тук!
Звонко иволга кричит.

რუსულ „Звонок иволга кричит“ რ. ერისთავი ქართული ხალხური ხედვისათვის ნიშანდობლივ გამოთქმას უსადაგებს: „მოლაღერაც გაიძახის/მალა: „ბიჭო-გოგიაო!“ აქ ქართული ლეგენდის გამოძახილს გრძნობს მკითხველი. ფრინველად გადაქცეული შვილის მძებბარი ადამიანის შარადიული ტანჯვაა ჩაქსოვილი ამ გამოთქმაში. „ბიჭო გოგიაო“ მოლაღერად ქცეული ადამიანის ძახილად მხოლოდ ქართველი აღიქვამს. ასეთივე ხასიათისაა ლექსი „ჩიტა“ (1884), რაც რ. ერისთავს რუსი პოეტის ტუმანსკის „Птвичка“-დან გადმოუქართულებია. ცნობილია, რომ ეს ლექსი უფრო ადრე მ. ფაულენიშვილის მიერ იყო გადმოთარგმნილი (იხ. „ესკარი“, 1865, № 7). მაგრამ თუ მ. ფაულენიშვილი სიტყუასიტყუით თარგმანს იძლევა, რ. ერისთავი თავისუფლად ეპყრობა დედანს. აქაც სისადავე ქმნის ლექსის ხალხურობის შთაბეჭდილებას. ლექსი „ყავილეთის სიმღერა“ (1890) რუსი პოეტის პრენიკოვის „Песенки адетов“-ის თავისუფალი თარგმანია. რ. ერისთავს გაუყრცია თარგმანს სოსანის „სიმღერის“ შეტანით. სხვა თვალსაზრისით ლექსი არ ტოვებს ღრმა შთაბეჭდილებას.

როგორც რ. ერისთავის გადმოკეთებული ლექსების გაცნობა გვიჩვენებს, პოეტი რივ შემთხვევაში ახერხებს დედნისეული ლექსის ემოციურ სამყაროში

ჩაწვდომას, მის სრულყოფილად გააზრებას. ტოლფასი ვრცობათა სამყაროს დაძვებითა და მისი აზრობრივ-ნიუანსობრივი დეტირით, ხალხური სადა ენათა და გამომსახველობითი საშუალებებით ახლენს ლექსისათვის ქართული ბუნების მინიჭებას. ყოველივე ამის გამო ასეთი თარგმანი უაღრესად ქართული ხალხური ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ტოვებს მკითხველზე.

რ. ერისთავის პოეზიას, კერძოდ მის ხალხურ ბუნებას, არა მარტო დიდი გავლენის ძალა ჰქონდა შემდგომი ხანის პოეტთათვის, არამედ გარკვეულად შთაბეჭდილებელი მნიშვნელობა შეიძინა მან პოეტურ თაობათა თვალში.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში რ. ერისთავის პოეზიის „მთის კილოს“ იმთავითვე დაუკავშირეს მაღალნიჭიერ ხელოვანთა მთელი პლადატ. ტაბიძე აღნიშნავდა: „როგორც ინგლისში არსებობს „ტბის სკოლის“ პოეტები, ისე საქართველოშიც არის ეგრეთ წოდებული „მთის სკოლა“... ეს სკოლა არის... რაფიელ ერისთავის, სანდრო ყაზბეგის, ვეჯა-ფშაველასი და (ყველა რაზიკაშვილის), ნაწილობრივ შიო არაგვისპირელისა... მარტო „სამშობლო ჭეხურისა“ გამოდგებოდა ამ სკოლის ბაიროდ“. ერისთავის პოეზიის დიდი ზემოქმედებითი ძალის შესახებ თვით ისეთი დიდი ხელოვანიც კი მიუთითებს, როგორც ვეჯა-ფშაველა. 1896 წელს ვეჯა აღნიშნავდა: „რა თქმა უნდა თ. რაფიელის ლექსებმა. როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურთა მთის კილოთი, სხეანაირად ააჩქაროლა ჩემი გული, სხეანაირად შესძრა იგი... ჩვენმა სახელოვანმა მხეოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამ“ გზა დაუთმო. მეც გაბელულება მომემატა“.

როგორც ვეჯას შემოქმედებითი მემკვიდრეობის ვაცნობა გვარწმუნებს, რ. ერისთავის პოეზიასთან შემოქმედებითი ნათესაობა არა მხოლოდ ვეჯას ყრობის დროინდელი ნაწარმოებებით იფარგლება, არამედ მხატვრული სიმწიფის ზენიტში მდგომი ვეჯას ნაწერებშიც არა ერთხელ იჩენს თავს რ. ერისთავის პოეტური რემინისცენციები. ამას მოწმობს 1902 წელს შექმნილი ვეჯას „ვინ არის კაცი“?, რომელიც თავის ლიტერატურულ სათავეს იღებს ჰერ კიდეც 1886 წელს შექმნილი რ. ერისთავის ლექსიდან „კაცი ის არის“. ამასვე მოწმობს ვეჯას სახელგანთქმული „კაცი ყმისა“ (1909) და უფრო ადრე რ. ერისთავის მიერ ერთგვარი მორალური კოდექსის სასიით შექმნილი ზემოთ აღნიშნული ლექსის „კაცი ის არის“ შეპირისპირება.

რ. ერისთავი

კაცი ის არის, ვინც მამულს
ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,
ვერც მისი ზაკარი ზრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხერიათვის
ლომ-გული მოეფხანება,
ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს,
მოწამს დაემგვანება!

ვეჯა-ფშაველა

კარგ ემად ვინა ვსთქვათ, ვეჯებო,
ნათქვამი არა გვრცხვენოდეს,
ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რახვას ეტყოდეს,
სახე — სისხლგადამდინარი
ტყვივლს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიყვარულსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაპხეოს,
დაათბოს, როცა ჰკინავდეს.
პირველად ომის დამწყებო,
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს...!

ამ თსზულებათა შეპირისპირება ცხადყოფს, რომ ვეჯას სიტყვებით რაფიელს, რ. ერისთავმა „რაკი საერო კილო დაუმკვიდრა“ ლექსებს, შემდგომ

ღვივ ამან მეტი სიზამძემ და შემოქმედებითი ზოძგი მისცა მასზე ბევრად უფრო ზალალი ნიჭით ცხებულ მწერლებსაც კი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩ. ერისთავის არა მხოლოდ შემოქმედებით გამბედაობას, არაქედ მის ცხოველ-წყოფელ ძალას შემდგომი თაობებისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ქს. ს ი ხ ა რ ლ ი ძ ე, ქართული მწერლები და ხალხური შემოქმედება, I, თბილისი, 1955, გვ. 102.
2. ლექსების ციტირებას ეახდნენ წიგნიდან: რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ე ი, თხზულებათა კრებული ოთა ტომად, შალვა რადიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით ტ. I, თბილისი, 1935.
3. ამ გარემოებას ჭერ კიდევ ჰერდერი მიუთითებდა. ხალხური სიმღერის არსებით ნიშნად ჰერდერი მელოდურობას, რიტმულობას მიიჩნევდა. მისი აზრით, თუ სიმღერას გააჩნია ზემოთ დასახელებული ნიშნები, მაშინ უმნიშვნელო შინაარსის შემთხვევაშიც კი მას შეინარჩუნებს ხალხი და ემღერებს. იხ.: Г е р д е р. Избранные сочинения. М. -Л., 1959, გვ. 81.
4. Э т к и н დ Е. К., Поэзия и перевод. М.-Л., 1963, გვ. 414.
5. Сборник статей „Вопросы художественного перевода“, 1955, გვ. 24.
6. ტ. ტ ა ბ ი ძ ე, თხზულებანი სამ ტომად, ტ. 2, თბილისი, 1966, გვ. 29, 90.
7. „ვერია“, 1896 წელი, № 43.
8. ვ ა ჭ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბილისი, 1964, გვ. 129.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიჯურმა)

თ ა მ ა რ ნ უ ს უ ბ ი ა

ა მ ე რ ი კ ე ლ ი კ ლ ა ს ი კ ო ს მ ა გ ის ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

(მ ე - 10 სა უ ე უ ნ ის მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ი)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურული ცხოვრების აღმავლობამ თავისი გამოხატულება პოვა ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროშიც. ამ დროს ქართულ-უცხოურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი საყურადღებო სფეროა ამერიკელ მწერალთა ქართული თარგმანები და მათ ავტორთა შესახებ ცალკეული გამონათქვამები კრიტიკულ ლიტერატურაში.

ამერიკელ მწერალთა ნაწარმოებები თარგმნილია რუსულიდან, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც თვალსაჩინოა. „ივერიის“, „თეატრის“, „იმედის“, „მოამბის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ამერიკული რომანტიზმისა და კრიტიკული რეალიზმის პირველხარისხოვან და ყველაზე რელიეფურ წარმომადგენელთა ნაწარმოებები, რომელთა იდეურ-მხატვრული თავისებურებების გათვალისწინების ვარაუდით ნაკლები იქნებოდა ჩვენი წარმოდგენა იმ პერიოდის ქართულ წარმოდგენლობითი ლიტერატურისა და ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

ამერიკის ყოფაცხოვრებისადმი ქართული კრიტიკული აზრის ყურადღების ერთ-ერთი პირველ ნიშნულთაგანია ნ. ბერძნიშვილის წერილი „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ“ („კავკაზი“, № 4, 1857). ეხება რუსულ-ამერიკული სიტყვისა და ლიტერატურის უახლოესი ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტორი ასახელებს გამოჩენილ ამერიკელ მწერლებს: ირვინგი, კუმპერ, ბიჩერ სტოუ, პოტორნი — აი, სახელები, რომლებიც ახალ ქვეყანას თამამად შეუძლია დააყენოს ევროპის ლიტერატურის მრავალ პირველხარისხოვან სახელთა გვერდით“¹.

ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი მამამთავრის ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ი ზ ე ი ნ გ ი ს (1783—1859) სახელი ფართოდ იყო პოპულარული. მას დიდად აფასებდნენ პუშკინი და გოგოლი, ბაირონი და ვალტერ სკოტი, ჰაინე და დეკესი. ქართულად 1889 წელს ეურნალ „თეატრში“ (№ 6—7) გამოქვეყნდა ირვინგის მოთხრობა „მგზავრობა“ (მთარგმნელი დ. აწყურელი). თარგმანი შესრულებულია ქართული სალიტერატურო ენის მოთხოვნილებათა შესაბამისად. იგი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ქდერს: „ჩაფიქრებული და მწარედ დაღონებული იჭდა ყმაწვილი ქალი, როდესაც შემოვიდნენ მამა და ყმაწვილი კაცი. ქალს მეტის სიხარულით მოუვიდა გულის წუხილი, მაგრამ ისე ვალე გამობრუნდა“. თარგმანში გვხვდება სპეციფიკური ქართული იდიომები, რომლებიც ამდღარებენ პერსონაჟთა მეტყველებას. ეს იდიომები არ წარმო-

¹ ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის, ს. ხეიშვილის რედაქცია: 1955, გვ. 64.

ადგენს დიალექტიკებს და სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულია. ორიოდ მაგალითი: „იქნება გზაში შეგცივდა, გენაცვალოს მამა“; „დაწევი, შენი ქირი-მე, და ხვალ სრულებით მრთელი ადგები“. რუსული წყაროს გაელენით გაჩნდა ქართულ თარგმანში ჩვენს ენაში რუსულიდან დამკვიდრებული ფორმები „გრაფინა“, „პრინცესა“, „გრაფი“, რომლებიც დედანში, ცხადია, არ შეიძლება იყოს.

ირენისგის ნოველისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებათაგანი „ზანგის სამკვიდრო“ ლ. წულაძემ თარგმნა 1891 წელს („ივერია“, № 66—70). ეს მოხსრობა ესპანურ ლეგენდას ემყარება. ნაწარმოების ენა ხალხური და უბრა-ლაა, რაც შენარჩუნებულია თარგმანშიც: „... თბილს ქვეყნებში შადრეანი და წყარო ძველის-ძველ დროიდან ხალხის თავ-მოსაყრელ ადგილად ითვლებოდა, სადაც რასაკვირველია, იმიტომ გროვდებოდნენ, რომ სხედასხეავარ ჭორის შეთხვეასა და გავრცელებაში გაეტარებინათ დრო“. ისეთი ფრაზები, როგო-რიცა: „ჩვენ ცარიელ-ტარიელი დავრჩებით“, „მწიანწალა ხალხი“, „რამდენი-მე გრომი უქყაროდა ჯიბეში“, „რამდენის აწაბენა შეიძლება“ და სხვ., თავიან-თი სასაუბრო, ხალხური მეტყველების უბრალოებით შეესაბამება ირენისგის ნოხრობის სტილს.

ჰენრი უორდსვორთ ლონგფელოს (1807—1882) პოპულა-რობას მოწინავე ქართული საზოგადოების წრეებში მოწმობს ის ფაქტი, რომ კირილე ლორთქიფანიძის წინასიტყვაობით და კომენტარებით აღჭურვილ რუ-სულიდან თარგმნილ წერილს „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყეობა“ („საქართველოს მოამბე“, 1863, № 11) ეპიგრაფად აქვს წამდგარიებული ლონგფელოს ლექსის რუსული თარგმანის ერთი სტროფა. ეპიგრაფს ახლავს კ. ლორთქიფანიძის შემდეგი განმარტება: „ეს ლექსია ამე-რიკელის პოეტის ლონგფელოს დანაწერი და რუსულს ენაზედ გადმოიღო ერთ-მა რუსეთელმა მწერალმა. აი რას ამბობს ლონგფელო თავის სამშობლოზედ: „ჩვენშიაო არის დატყვევებული და დაბრმავებული სამსონი. მისთვის ღონე მი-უხდიათ, ბორკილიც შეუყრიათ. მაგრამ — ვაი! როცა ის ხელეხს გაიქნევეს მწუ-ხარებისაგან გაცოფებული“».

„საქართველოს მოამბეში“ ლონგფელოს სახელის დამოწმება არაა შემ-ახვევითი. უკვე 60-იან წლებში რუსეთის დემოკრატიულ წრეებში, რომლებ-თანაც მკვიდრო კავშირში ვითარდებოდა ქართული მოწინავე აზრი, დიდად პო-პულარული იყო ლონგფელოს „ლექსები მონობაზე“ (1842), რომლებიც რუ-სულად თარგმნა გერცენის თანამებრძოლმა მ. ლ. მიხაილოვმა. ლონგფელოს მიხაილოვისეული თარგმანები 1851 წელს „სოვერემენიკში“ დაიბეჭდა და წარ-მოადგენდა შენიღბულ გამოსმაურებას გლეხთა „განთავისუფლებაზე“. ყოვე-ლივე ამით აიხსნება ქართული საზოგადოების დანტერესება ლონგფელოს შემოქმედებით. ლონგფელოსადმი ქართული საზოგადოების ინტერესის ერთ-ერთ ნაკვირანვე გამოხატულებას წარმოადგენს „ივერიის“ ფურცლებზე 1900 წელს დაბეჭდილი თარგმანი ლექსისა „წყარო და ზეირთი“ („ივერია“, 1900, № 236). თარგმანი ეკუთვნის პოეტსა და ბაირონის, ჰაინესა და სხვა ევროპელ პოეტთა მთარგმნელს ი. ბაქრაძეს.

ბიჩუ რასტოლსკი (!811—1896) რომანის „ბიძია თომას ქრისის“ ხსენება ქართულ არქსაში საკმაოდ ადრე გვხვდება. მოწინავე ქართული ინტელიგენ-ცია რუსული თარგმანის საშუალებით უთუოდ იცნობდა ბიჩურ-სტოლს ამ ნა-წარმოებს. იგი რუსულად 1857 წელს თარგმნა და მრავალჯგის იბეჭდებოდა.

ამ ნაწარმოებს ხშირად იხსენებენ ეპოქის საუკეთესო რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები. რუსეთის იმპერიაში, სადაც ამ დროს მთელი სიმწვავეთ იდგა: „გლუნთა ვანთავისუფლების საკითხი“, „ბიძია თომას ქოხი“ იკითხებოდა, როგორც მოწოდება თეთრი ზანგების განთავისუფლებისათვის². ამ რომანის თემა — უფუფლებო ადამიანის უმოწყალო ჩაგვრა ექსპლოატატორი პლანტატორისაგან ახლობელი და ორგანულია იმ დროის ქართული ლიტერატურისთვისაც. აქ შევეძლია გავიხსენოთ ამ თემის თავისებური ქართული ანალოგია: დ. ქონქაძის „სურამის ციხე“, ი. ქავეჯავაძის „აკაო ყაზლი“ და სხვ.

ქართველ მწერალთა შორის ბიჩერ-სტოუს პოპულარობაზე თავისებურად მეტყველებს ის შენიშვნები, რომლებიც „ცისკრის“ რედაქციამ დაურთო ი. ქავეჯავაძის წერილი „პასუხი“ (1861). აქ ნახსენებია ბიჩერ-სტოუს სახელიც: „... მამე ვინ არის მაღამ სტალი, ყორე ზანდი, ბიჩერ-სტოუ, აეტორი „ქენი ვირსი“ და სხვანი მწერალნი ქალთაგან, რომელნიცა ევროპისა და ამერიკის სიტყვიერებაში ბრწყინავენ როგორც უპირველესნი პლანეტნი“³.

ქართველმა თერგდალეულებმა საჭიროდ მიიჩნიეს ქართველი მკითხველისათვისაც გაეცნოთ „ბიძია თომას ქოხი“, რომელშიც ხედავდნენ პროტესტს ყოველგვარი მონობისა და უსამართლობისადმი. თერგდალეულები ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას ქადაგებდნენ და მათ კარგად იცოდნენ რა ძალა ექნებოდა ბიჩერ-სტოუს უაღრესად სოციალური რომანის გამოქვეყნებას. „საქართველოს მოამბე“ (№ 11) თავის მკითხველებს ამცნობდა: „ღროების დახედვით საჭიროდ ენახეთ წაეკითხოთ „საქართველოს მოამბის“ მკითხველებს ბიჩერ-სტოუს რომანი „ბიძია თომას ქოხი“ ანუ „ტყვეობა ჩრდილოეთის შტატებში“, მაგრამ ეიცო ამასთანავე, რომ რომელიმე ნაწილისათვის მკითხველებში სჭირია წინათვე გაეცნოთ რამდენადმე ჩრდილოეთის ამერიკის შტატები, მოვახსენოთ იმათი გარეგანი და შინაგანი ისტორია“. 1863 წლის დასასრულისათვის „საქართველოს მოამბე“ დაიხურა და „ბიძია თომას ქოხის“ თარგმანი არ დაბეჭდილა.

1887 წელს „ივერია“ ორჯერ იტყობინებოდა „ბიძია თომას ქოხის“ მოზნადებული ქართული თარგმანის შესახებ. ერთ-ერთ ცნობაში ვკითხულობთ: „ვინც იცის სიღარიბე ჩვენი საყმაწვილო წიგნებისა, დიდად ესიამოვნება ამბავი, რომ ბ-ნ მაქავარიანს ვადაუთარგმნია ქართულს ენაზედ მშვენიერი თხზულება ქალის ბიჩერ-სტოუსი: „ბიძია თომას ქოხი“, რომლის დაბეჭდვაც უკისრნია ბ-ნ ჩარკვიანს. ეს წიგნი ისეთი განძია მთელის ევროპის საყმაწვილო ლიტერატურისა, რომ ბევრი არ მოიპოვება მისი ცალი და ბადალი. ამიტომ საჭიროა, რაკ ეს განძი მალე ქართველ ბავშვებსაც ექნებათ ხელში, ჭეროვანი ყურადღებით დაიბეჭდოს ხსენებული წიგნი, მეტადრე შესახებ ენისა. არცერთი მკოდნე ქართველი ბ-ნს გამოძეგმელს არ ეტყვის უარს — დახმარება გაუწიოს ამ კეთილ განზრახვაში. კარგი იქნება, რომ სურათებიც ჩაურთონ წიგნში“ („ივერია“, 1887, № 218). ეს ცნობა ბიჩერ-სტოუს რომანის თავისებურ შეფასებასაც შეიცავს. მეორე ცნობის მიხედვით, აღნიშნული რომანი უთარგმნიათ ერისთავის ქალებს: „თავად გიორგი დიმიტრის ძე ერისთავის ქალები შეუდგნენ სხვა და სხვა სასარგებლო წიგნების თარგმნას ქართულს ენაზედ. ჭერ ხანოთი გადმოთარგმნეს ორი წიგნი: „ემილი მე-19-ე საუკუნისა“ — ესკიროსა-

² P. Орлова, Гарриет Бишер-Стоу. М., 1971, გვ. 117.

³ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ს. ხუციშვილის რედაქციით, 1955, გვ. 211.

სა და „ბიძია თომას ქოხი“ ბიჩერ-სტოუსი. ამას წინათ „ივერიაში“ იყო მოტსენებული, რომ ბიჩერ-სტოუს წიგნი გადათარგმნესო. ძალიან კარგს იზამდნენ, რომ ორივე თარგმანი შეადარონ და რომელიც უკეთესად იყოს ნათარგმნი. ის გამოსცეს „წერა-კითხვის საზოგადოებაში“. როგორც დაგვარწმუნეს სანდო კაცებმა ორივე თარგმანი ერისთავის ქალებისა საუცხოოაო“ („ივერია“, 1887, № 263).

არც ერთი ხსენებული თარგმანი არ დაბეჭდილა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ — 1899 წელს დაიბეჭდა „ბიძია თომას ქოხის“ ა. წინამძღვრიშვილ-სეული თარგმანი. ქართულ თარგმანს საფუძვლად უდევს რუსული თარგმანი (1893). ორტომიანი რომანი ქართველ მთარგმნელს მოთხრობის მოცულობაზე დაუყვანია. თარგმანში გადმოცემულია რომანის ძირითადი სიუჟეტური ხაზი. ზოგი თავის შინაარსი, ამერიკის ყოფითი ცხოვრების დახასიათება-აღწერა რომანის, ავტორისეული მსჯელობანი ამა თუ იმ სოციალურ და მორალურ საკითხებზე თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია. არ არის ასახული თარგმანში რომანის უკანასკნელი თავი, რომელშიც ბიჩერ-სტოუ ვრცლად მსჯელობს იმ დროის მსოფლიოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე. რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ელიზას ქმარი ჯორჯი ქართულში ფიგურირებს როგორც გიორგი, ხოლო ელიზა, როგორც ლიზა. დიალოგები ზოგჯერ ზედმეტად გაქართულებულია: „შენ გენაცვალე, გიორგი, რათა ხარ აგრე დაღერემილი?“ — ასეთი გამოთქმები ხშირია თარგმანში.

თარგმანში ვრცლად არის გადმოცემული მთავარი გმირის ტომის, ქართული თარგმანის მიხედვით თომას, რელიგიური რწმენის სიღრმე. მთარგმნელს უურადლება გაუმახვილებია ტომის რელიგიური სტოიციზმის ამსახველი პასაჟებისადმი. ბიჩერ-სტოუს გადმოქართულებული ვარიანტი შეიძლება მივიჩნიოთ თავისებური ტენდენციური თარგმანის ნიმუშად. მთარგმნელის ძირითადი ამოცანა იყო მკითხველისათვის მიეწოდებინა რომანის ძირითადი სიუჟეტი. მწუხრდავად ამისა, ეს თარგმანი გამოვლინებაა ქართლის საზოგადოების ინტერესისა ბიჩერ-სტოუს ნაწარმოებისადმი. ამ თარგმანმა საშუალება მისცა მრავალ მკითხველს ნაწილობრივ მაინც ვაცნობოდა ამ ნაწარმოებს. „ბიძია თომას ქოხი“ წიგნად ქართულად პირველად 1913 წელს დაიბეჭდა „ნაკადლის“ უფასო დამატების სახით თარგმან მ. კლიმიაშვილმა.

მარკ ტვენის (1835—1910) მოთხრობების რეალისტური სიციხადე. სატირული მახვილი, სოციალურ უკუღმართობათა და ეროვნული ჩაგვრის მხილება ეხმაურებოდა იმ ეპოქის ქართული პროზის ძირითად მიმართულებას, რამაც განაპირობა მზარდი ინტერესი ამ დიდი ამერიკელი პროზაიკოსისადმი ქართული საზოგადოების მხრივ.

1874 წლიდან მარკ ტვენის პოპულარობა რუსეთში სწრაფი ტემპით ვითარდება. 90-იან წლებში მისი მოთხრობების თარგმანები ხშირად გვხვდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში. 1895 წელს „ივერიაში“ (№ 67) ტვენის მოთხრობის „ნემი კანდიდატურის“ სქოლიოში ქართველი მთარგმნელი ნიკიტინი იძლევა მოკლე ცნობებს ავტორის შესახებ: „ამერიკის მწერლობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილა საოხუნჯო ლიტერატურას; ამის მიზეზი შტატების ცხოვრებაა. ამერიკელი მთელი კვირა შრომაობს და არა აქვს გასართობთ წასვლის თავი. ამიტომ ის კითხულობს ბევრს. გასხეით და ჟურნალი კი აწეღის გასართობ მასალას ამ სახით. მარკ ტვენიც გაზეთის რეპორტიორი იყო. მას განათლება არსად მიუღია. ათასნაირი ხელობა გამოიცვალა; მოიარა ქვეყ-

ნები: იგი განთქმულია თავისი დაუდგრომელი ხასიათითა და ოხუნჯობის ნიჭით. ამერიკაში იგი ძალიან უყვარათ. მისი თხზულებანი ასიათასობით ვრცელდება. ამით იგი არ ჩამოუვარდება გამოჩენილ მწერლებს — იგინვს და ბრეტ-ჰარტს“. 1898 წელს „ივერიაში“ (№ 197) დაიბეჭდა ხელმოუწერელი მცირე ინფორმაცია მარკ ტვენის შესახებ: „ამერიკელები ძალიან ამაყობენ თავიანთი შესანიშნავი იუმორისტით მარკ ტვენით. ბევრი იბეჭდება მის შესახებ, მაგრამ არ იციან დღემდე როგორ დაწერა მან პირველი მოთხრობა და საერთოდ როგორ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. თვითონ არაფერს ამბობს. დღეს გენერალ ბ. ბლანკერის წყალობით ის ცნობილი გახდა. ის ყველა, რომ ერთხელ შორს გაგზავნეს და თან წაიყვანა სამუელ კლემენსი (მარკ ტვენის ნამდვილი სახელი), როცა დაბრუნდნით რაღაც რეუელი მომაჩნია და მითხრა წაიხსენებო. ძალიან მომეწონა, ეურჩიე დაბეჭდვა. ჩემს გვარს არ მოვაწერო, მითხრა და მოაწერა „მარკ ტვენი“. მოთხრობები დაბეჭდეს და სთხოვეს ვანვკრძო წერა“. ინფორმაცია არ ისასჯეს მიზნად ტვენის შემოქმედების მეტ-ნაკლებად ღრმა ანალიზს, მაგრამ მასში მითითებულია ტვენის შემოქმედების ისეთი დამახასიათებელი ნიშანი. როგორცაა იუმორი.

ქართულ საზოგადოებაში მარკ ტვენის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დროდადრო იბეჭდებოდა ნაკევსები მის შესახებ. 1897 წელს „ივერიაში“ (№ 150) დაბეჭდილია ასეთი ნაკვეთი: „გეთიხართ, მისტერ ტვენ, შეეკითხა ერთი ყმაწვილი ქალი, — თქვენ რა აზრისა ხართ სამოთხისა და ჭოჯობის შესახებ. — უკაცრავად მისს, უპასუხა მწერალმა, ვერცას ვეტყვით, რადგან ორივე ალაგას დიდძალი ნაცნობები და მეგობრები მყავს“.

მარკ ტვენის პირველი ქართული თარგმანი „შესახებ უმაღლეს ქველმოქმედებაზე“ (მთარგმნელი არაა მითითებული) დაიბეჭდა 1886 წელს ტურნალ „თეატრში“ (№ 11), სადაც ავტორის სახელი არასწორად არის მითითებული: „მარკონ ტვინი“. შესაძლოა, მწერლის გვარის ეს მცდარი ფორმა მომდინარეობს რამელინე რუსული წყაროდან. გარდა იმისა, რომ სტილისტურად გაუმართავია სათაური, თარგმანში გვხვდება არალიტერატურული გრამატიკული ფორმები (მაგალითად „მოექცივნა“) და რუსიციზმები: „სტოლი“, „კანიკული“ და სხვ. რუსული თარგმანის ვაგლენით „ჩიმის“ ნაცულად წერია „დვიმი“.

განსაკუთრებით ხშირად იბეჭდება ტვენის თარგმანები 90-იან წლებში. თარგმანების უმრავლესობა შესრულებულია ნიკიტინის მიერ. „კაცოპამია მგზავრი“ („ივერია“, 1897, № 110) იუმორისტული მოთხრობაა, დაწერილია პირველ პირში. მოთხრობელი ამბავს ყველა უბრალოდ და ძალდაუტანებლად, რასაც მთარგმნელიც ინარჩუნებს. ამას ხელს უწყობდა იმ დროს ქართული ლიტერატურის მდიდარი გამოცდილებაც იუმორისტულ პროზაში. ისევე როგორც ამერიკელ მწერალთა სხვა იმდროინდელ თარგმანთა უმეტესობა, ეს თარგმანი ხასიათდება იმ თავისებურებით, რომ, როგორც წესი, „მისტერ“ ან საერთოდ გამოტოვებულია, ან გამოყენებულია ქართული ადეკვატი „ბატონი“. მაგალითად, „ბატონი უილიამსი“, „ბატონი ადამსი“ და სხვ. თანამედროვე ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში უარყოფილია „მისტერის“ გადმოქართულების ტრადიცია. აღბათ რუსული წყაროს გავლენის შედეგად მთარგმნელი ზოგჯერ იძლევა საკუთარი სახელების არასწორ ფორმებს, მაგალითად „გალიდვი“, უნდა იყოს „პოლიდვი“.

მარკ ტვენის ნიკიტინისეული თარგმანები გამოირჩევა საკმაოდ მაღალი დონით. მთარგმნელი ხშირად იყენებს მდიდარ ქართულ იდიომატიკას და ხალ-

ხური მეტყველების ცალკეულ დამახასიათებელ გამოთქმებს „წანდაბას შენი თავი, რაწი მენაღვლება“, „დალიე, გენაცვალე“, რომელნიც თავიანთი ხასიათით კარგად შეესაბამებიან ტვენის მოთხრობების იუმორსა და ხალხურობას. თარგმანში არ გვხვდება რუსიციზმები, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას, როცა იგი ხმარობს რუსულ სიტყვას „ბოჩკა“, რაც აისახა სათაურშიც მოთხრობისა „20 ბოჩკა ხორცის ამბავი“ („ივერია“, 1898, № 272). ნიკიტინი კარგად ერკვეოდა ტვენის შემოქმედებაში და ამა თუ იმ მოთხრობის სათარგმნელად შერჩევისას გარკვეული პრინციპითაც ხელმძღვანელობდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ის შენიშვნა, რომელსაც იგი უყეთებს ტვენის ამ მოთხრობის თარგმანს: „ეს მოთხრობა მარც ტვენისა მხოლოდ იმიტომ ვთარგმნეთ, რომ, ჩვენი აზრით, აქ დახატულია სულ ახალი და ჩვენი მკითხველისათვის სრულიად უცნობი წესწყობილება ამერიკის კანცელარიისა“. ამ მოთხრობის თარგმანის ინა საერთოდ გამართული და ბუნებრივია.

1895 წელს „ივერიაში“ (№ 67) დაიბეჭდა ტვენის მოთხრობა სათაურით „ჩემი კანდიდატურა“ (მთარგმნელი ნიკიტინი), ხოლო 1899 წელს იმავე გაზეთში (№ 91) გამოქვეყნდა იმავე მოთხრობის ვოლსკისეული თარგმანი, სათაურით „კანდიდატობის სი.მე და სიხაიული“. ნიკიტინის თარგმანი შემოკლებულია, ალბათ ამ შეკოვლების გამო ითარგმნა ეს მოთხრობა ხელშეორედ.

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ნიკიტინს „პირდაპირ სანიმუშოდ აუფლერებია ქართულად მარც ტვენის რამდენიმე ნაწარმოები. ყველა მათგანი დაიბეჭდა ილიას „ივერიაში“ სხვადასხვა ფსევდონიმით (ნ-ნი, ა. ნ., ნ-ი, ა. ნიკიტინი). იგი წარმოშობით რუსი ყოფილა, მაგრამ შესანიშნავად ცოდნია ქართული ენა და მთარგმნელობითი ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული“⁴. ესემა რა ნიკიტინის: თარგმანებს, კრიტიკოსი კიტა აბაშიძე აღნიშნავდა „ასეთ ქართულ ენას ჩვენ ძვირად შევხვედრივართ არა თუ თარგმანებში, ორიგინალშიც კი...“ („ივერია“, 1895, № 189). მართალია, ნიკიტინის თარგმანები საკმაოდ სრულყოფილია, მაგრამ ლიტერატურული ენის დახვეწილობის თვალსაზრისით მარც ტვენის მოთხრობათა ყველაზე უფრო სრულყოფილი ქართული თარგმანთაგანი ეკუთვნის არა ნიკიტინს, არამედ თედო სახოკიას. მან თარგმნა ტვენის ერთ-ერთი მოთხრობა „დაუსრულებელი რომანი“ („მოამბე“, 1898, № 9). თარგმანის სტილი უაღრესად გამართულია, ხასიათდება იშვიათი ბუნებრიობით, თავისუფალია დიალექტიზმებისაგან და რუსიციზმებისაგან. მოგვყავს სანიმუშოდ მოთხრობის პირველი აბზაცი: „ღამე იყო. ბარონ კლეგენშტეინის ძველებურს კოშკში იდუმალემა გამეფებულყო. მაღალის კოშკის თავზე სინათლე ბეჭეტავდა. შიგნით საიდუმლო თათბირი ჰქონდათ. მკაცრი და მოხუცებული ბარონი დაჟიქრებული იქდა ძვირფას სავარძელში. ცოტა ხნის დუმლის შემდეგ ნაზის ხმით სთქვა: -- ჩემო ასულო! მის წინ იდგა მშვენიერი ახალგაზრდა კაცი, თავით-ფეხამდე რაინდულ თოფ-იარაღში ასხმული“. ამბავი შორეულ წარსულში ღდება და მას რომანტიკული ელფერი დაჰკრავს, რომლის შენარჩუნებას თარგმანში ხელს უწყობს ისეთი ლექსიკა, რომელიც გარკვეული რომანტიკულობით არის გარემოცული ქართულ ლიტერატურულ ენაში: „საწუთრო“, „მორკმული“, „განკითხვის ეამი“ და სხვ. ერთგან რომანტიკული პასაჟის მეტად ექსპრესიული ადგილის ტონალობის გადმოსაცემად მთარგმნელი მი-

⁴ მ. ტვენის, იუმორისტული მოთხრობები და პამფლეტები, 1965, გვ. 238.

მართავს შედარებით არქაულ სტილს, რაც გამართლებულია მხატვრულად: „განახმო ბაგენი სალაპარაკოდ“.

ამერიკულ ლიტერატურაში ტვენის მხატვრული ენა ხატოვანი ფრაზეოლოგიისა და იდიომატიკის სიმდიდრის ერთ-ერთ იშვიათ ნიმუშად ითვლება. ასეთივეა ამ მოთხრობის ქართული თარგმანიც, რომელიც მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით: „ვაგლახ მე“, „ვულზე ლოდი მაწეა“, „აოფ-იარაღით ასხმული“, „ქრუანტელმა დაუარა“, „ენა ჩაუვარდა“ და სხვ. ერთადერთი, რაშიც დღევანდელი ლიტერატურული ენის ნორმების თვალსაზრისით შეიძლება შევედაროთ თ. სახოკიასეულ თარგმანს, ეს მიცემით ბრუნვაში მსახლერულის შემდეგ „ს“-ს ხმარებაა: „ძველებურს კოშქში“ და ა. შ. ამ თარგმანს საფუძვლად უდევს ა. ნ. ლანდგერენის რუსული თარგმანი³.

ქართულ კრიტიკაში ფ რ ე ნ ს ი ს ბ რ ე ძ მ ა რ ტ ი ს (1836—1902) სახელი პირველად ჩახსენება 1857 წელს ნ. ბერძნიშვილის ზემოთ დამოწმებულ რუსულად გამოქვეყნებულ წერილში. ქართულად 1887 წელს ითარგმნა ბრეტპარტის მოთხრობა: „როლის მოვა გემი“ („თეატრი“. 1887, № 1). თარგმანი ეკუთვნის ველისციხელს. თარგმანის დიდი ნაელია დიალექტური გრამატიკული ფორმები („შეახედნა“, „ყოველთვისინ“, „ცამდისინ“ და სხვ.).

იმ ცროის ქართულ-სახლევარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთ-ერთ თვალსაჩინო ფაქტს წარმოადგენს ინტერესი ე დ უ ა რ დ ბ ე ლ ა მ ი ს (1850—1898) შემოქმედებისადმი. ბელამის ვრცელი მოთხრობა „საოცარი სიზმარი“ ქურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა 1894 წელს (№ 8—9). თარგმანი ეკუთვნის დ. გიორგობიანს. მოთხრობა გვიამბობს ქალ-ვაყის უბედური სიყვარულის შესახებ. ამასთანავე მასში ლაპარაკია მეცნიერული ექსპერიმენტის შესახებ, რომლის წყალობით, ავტორის აზრით, მომავალში შესაძლებელი უნდა გახდეს ადამიანის მიერ უსიამოვნო მოგონებათა სრული დავიწყება. თარგმანის დონე უაღრესად მაღალია, თუ არ ჩავუვლით რამდენიმე ისეთ ნაკლს, რაც საერთოდ ხშირად იჩენს თავს იმ დროის თარგმანებში: ინგლისური სახელების რუსული ფორმების ხმარება — გენრი, გარეარდი, ემილია და სხვ. „მისტერიისა“ და „მისისის“ ნაცულად გვაქვს — ქ-ნი ბრანდი, ბ-ნი ბერო და სხვ. კიტი აბაშიძემ მაღალი შეფასება მისცა ამ თარგმანს, მაგრამ აღნიშნა, რომ „თუკი გადათარგმნიდნენ და დაბეჭდადნენ რასმე ბელამისა, რატომ არ უნდა გადაეთარგმნათ ყველაზე პირველად მისი „ასი წლის შემდეგ“, რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და რომელიც ყველა ევროპულ ენაზე არის თარგმნილი“ (ივერია“, 1895, № 189). მართლაც, 1896 წელს გამოიცა ე. ბელამის სოციალ-უტოპიური რომანი „ასი წლის შემდეგ“.

ამ რომანის თარგმნა განაპირობა ქართული საზოგადოების წიაღში სოციალისტური იდეებისადმი ინტერესის გაღვივებამ და უკეთეს მერმისზე ფიქრმა. სათაურის შემდეგ ქართულ თარგმანში აღნიშნულია რომანის ეანრული სახეობაც: „სოციალოგიური რომანი“. ბელამის ეს რომანი 1889 წელს ითარგმნა სათაურით „В 2000 году“. ქართველ მთარგმნელს — დ. კალანდარიშვილს რუსული თარგმანის ქვესათაური აურჩევია სათაურად და უწოდებია რომანისათვის „ასი წლის შემდეგ“. რომანი უტოპიური ხასიათისაა: 2000 წელს მცხოვრები ადამიანი ანალიზებს მე-19 საუკუნის სოციალურ სინამდვილეს და გაოცრებასა და გულისწყრომას გამოთქვამს ამ საუკუნისათვის დამახასიათებელი ჩაგვრის, უსამართლობისა და ეკონომიური კონტრასტების გამო. მთავა-

³ М. Твен. Собр. соч., т. 1, 1896.

რი გმირი აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნეში ადამიანები იყოფოდნენ ორ კატეგორიად: „მდიდარნი და ღარიბნი, განათლებულნი და უმეცარნი“.

ი. ჰაევჰაჰის „აჩრდილსა“ და „კაკო ყაჩაღის“ იდეალებზე გავრდილი ქართველი მკითხველისათვის უთუოდ ორგანული იყო ბელამის იდეური პოზიცია. რომანში კლასთა ურთიერთობა შემდეგნაირად არის დახასიათებული: საზოგადოების უმცირესობა ზის ეტლში, „რომელშიც შებმულია ურიცხვი ხალხი, ეს ხალხი ვალდებულია ის ატაროს ოღრო-ჩოღრო და ქვიშიან გვებზე...“⁶

მთარგმნელს საკმაოდ შეუღისხლბორცებია ახალი ქართული სალიტერატურო ენის საუკეთესო წარმომადგენელთა მოთხოვნილებანი მხატვრული ენისა და სტილის საკითხში. თარგმანში ხშირად გვხვდება ხატოვანი სიტყვა-თქმანი, როგორცაა, მაგალითად, „მტკნარი სიცრუე“, „აუარება ხალხი“, „სახტად დაერჩი“ და სხვ. ამასთანავე იგრძნობა იმ დროს ზოგი ცნებისა და სიტყვის უქონლობა ან საერთო ნორმების დაუდგენლობა თუ ძერკეობა. მაგალითად, მთარგმნელი ხშირად ამა თუ იმ ქართული ცნების პარალელურად იქვე ფრჩხილებში იძლევა მის რუსულ ექვივალენტს: „მწარმოებელი ძალა“ (производительная сила), „მომხმარებელი“ (потребитель) და სხვა.

თარგმანის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ გვხვდება ხალხური მეტყველების ზოგიერთი ფორმით ქარბი გატაცება, მაგალითად, „რომლებზედაც“, „რომელშიდაც“ და ა. შ. გვხვდება არასწორად გამოცემული საკუთარი სახელები: „იუდიტის“ ნაცულად გვაქვს „იუდიფი“. არასწორად არის ნახსენები დეფოსი, ირენიგისა და პოტორნის სახელები: დეფოე, გაუტორნი, ჰირენიგი.

გამოჩენილი ამერიკელი რომანტიკოსი პოეტისა და ნოველისტის ედგარ ალან პოს (1809—1849) შემოქმედებისაღმი დიდმა ინტერესმა ქართულ მწერლობაში თავი იჩინა მე-20 საუკუნის ათიან წლებში, მაგრამ საუკუნის დამლევსაც დაიბეჭდა ედგარ პოს ერთი თარგმანი — მოთხრობა „შავი ჰირის მასკა“ („თეატრი“, 1886, № 29), თარგმანი ეკუთვნის ი. რევიშვილს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საზოგადოებრიობას საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ამერიკულ ლიტერატურაზე. თარგმანთა რაოდენობა არაა დიდი, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელი ერის ლიტერატურას ქართველი მკითხველი ეცნობოდა არა მეორეხარისხიანი მწერლების, არამედ კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმანებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ ლიტერატურას ქართველი მწერლები ეცნობოდნენ არა მხოლოდ თარგმანებით, არამედ ორიგინალშიც და რუსული თარგმანებითაც. აღსანიშნავია, რომ ი. ჰაევჰაჰის პირად ბიბლიოთეკაში შემორჩენილია მის მიერ შესრულებული რუსული თარგმანები ამერიკელი ავტორებისა: ბრეტ-ჰარტის თხზულებების გამოცემა (1899), ედგარ პოს „არაჩვეულებრივი მოთხრობები“ (1885), ა. ტოკილის „დემოკრატია ამერიკაში“ (1860) და სხვ. ილია ჰაევჰაჰეს ეკუთვნის პოლიტიკური ნარკვევი „ევროპის მილიტარიზმი და ამერიკის მომავალი“ (1899). რაც მოწმობს, რომ ამერიკის როგორც ლიტერატურული, ასევე პოლიტიკური ცხოვრება ქართული საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევდა.

⁶ ე. ბელამი, ასი წლის შედეგ, 1895, გვ. 9

პირობები შემოქმედების

მეტაფორის მხატვრულ-მეცნიერული ფუნქციონირების

(ხალხური პოეზიის მახასიათებლების მიხედვით)

მეტაფორა ტროპის ისეთი სახეა, რომლის საშუალებითაც ერთი საგნის ან მოვლენის თვისება მეორე საგანზე ან მოვლენაზე არის გადატანილი. ამრიგად, იგი მსგავსების პრინციპს ემყარება. თვით მეტაფორიზაციის მეთოდი, რომელიც ხალხურ ლექსებში ინტენსიურადაა გამოყენებული, რეალიზაციის სხვადასხვა ფორმით ხასიათდება. მისი ეს რეალიზაციის სხვადასხვა ფორმა იმაში მდგომარეობს, რომ „ჩვენი მეტყველების მეტაფორიზაცია ეფუძნება საგნებისა და მოვლენების სხვადასხვა თვისებათა შედარებას, მათს სანთეზირებას. შეპირისპირებასა და ასოციაციებს“¹.

როგორც აღვნიშნეთ, მეტაფორას საფუძვლად უძევს მსგავსება. მსგავსება უძევს საფუძვლად შედარებასაც. მაგრამ ამ ორ მხატვრულ კომპონენტს შორის ის განსხვავებაა, რომ მეტაფორა წარმოადგენს შემოკლებულ შედარებას სოლო შედარება გაშლილ მეტაფორას. მაშინ, როდესაც მარტივი შედარება ორი წევრისაგან შედგება, მეტაფორაში მხოლოდ ერთი წევრია, სახელდობრ მეორე წევრი. ამასთან ის წევრი, რომლის შესახებაც ლაპარაკია, მასში მხოლოდ იკვლიანობს.

მეტაფორა ანტიკური ხანის მთავრობენათა შორის სტილისტური გამოსახების თავისებურ ფორმად არის აღიარებული. არისტოტელე ხაზს უსვამს მეტაფორის გადატანის მნიშვნელობას, რომელიც მსგავსებას ითვლისწინებს. აქვე იგი პარალელს ავლებს მეტაფორასა და შედარებას შორის და მხატვრული ფუნქციის მიხედვით მათ შორის გარკვეულ წათესაობას აჩვენებს. მას მეტაფორის სირთულე აქვს მხედველობაში, როდესაც ამბობს: „მეტაფორები თავის თავში შეიცავენ გამოცანას, ამიტომაც გასაგებია, რომ გამოცანები კარგად შედგენილი მეტაფორებია“².

ელინისტურ-რომაული რიტორიკული სისტემიდან მეტაფორის მხატვრული სტილის სპეციფიკურ ნიშნებს ეხებიან იცირონი, კინტილიანე, დემეტრე. მათს დებულებებში მეტაფორის შესახებ უმთავრესად არისტოტელის ძირითადი დებულებებია გამოვლენილი და განვითარებულია.

„მეტაფორა არის შედარება, რომელიც ერთ სიტყვამდეა შემოკლებული“³, — აღნიშნავს ციცირონი: მეტაფორას მაღალ მნიშვნელობას ანიჭებს კინტილიანე. მისი აზრით, შედარებასა და მეტაფორას შორის უდიდეს

¹ Ф. М. Головинченко. Введение в литературоведение. М., 1964. стр. 167.

² Античные теории языка и стиля. М. Л., 1936, стр. 178.

³ იქვე, стр. 216.

მსგავსებაა, მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ შედარების დროს „სა-განთან, რომელიც ჩვენ უნდა აღეწერათ. რაღაცაა შედარებული, მეტაფორა კი ცვლის თვით საგნის სახელს. როცა ჩვენ ვამბობთ ადამიანზე, რომ მან გააყეთა რაღაც როგორც ლომმა, მაშინ ეს შედარებაა, როცა ჩვენ მასზე ვამბობთ „ის ლომია“, მაშინ ეს მეტაფორაა“⁴. აქვე კვინტილიანე ჩამოთვლის მეტაფორის გამოყენების ოთხ შემთხვევას და ყურადღებას ამახვილებს გაპიროვნებაზე, როგორც მეტაფორის სახეობაზე⁵. დემეტრე მოითხოვს, რომ „მეტაფორები... მოხმობილ იქნეს... ახლობელი და მსგავსების სფეროდან“⁶.

მეტაფორა „ორეული წარსულიდანვე გამოიყენებოდა და მასი მხარების ხასიათიც სხვადასხვა მნიშვნელობას იძენდა. აქედან გამომდინარე, იგი უნდა განხილულ იქნეს ქრონოლოგიური თვალსაზრისით მისი ევოლუციის სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით. „თვით მეტაფორიზაციის პროცესი ეს ისტორიულად განვითარებადი და ცვალებადი კატეგორიაა, — წერს ლ. ი. ეფიმოვი. — თუ ვნის განვითარების ერთ ეტაპზე ქარბოვენ მეტაფორული სიტყვათმხარების ერთი დანახასიათებელი სამეტყველო საშუალებები და ზერხები, სანაგევროდ დროთა განმავლობაში შესაძლებელია ახალ საშუალებათა მოხმობა და მეტაფორიზაციის სხვა ზერხების განვითარება“⁷. ამიტომაც, მკვლევრის შეხედულებით, „მეტაფორიზაციის პროცესის შესწავლა დაყენებულ უნდა იქნეს მკაცრ ისტორიულ ნიადაგზე, რადგანაც მხოლოდ სიტყვის ისტორიული განვითარებისათვის თვალის გადევნებით შეიძლება გაეხსნათ მისი მხატვრული ხმარების კანონზომიერება“⁸.

ცხადია, როდესაც ხალხური პოეზიის ნიმუშებში რეალიზებული ანა თუ იმ მეტაფორის ანალიზს ვაწარმოებთ, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული სწორედ ზემოთ აღნიშნული მომენტები, მეტაფორის შინაგანი განვითარების ისტორიული გზები. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად ჩავწვდეთ მეტაფორის იმანენტურ ბუნებას, მის როლს და რეალურ საფუძველს საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. აგრეთვე ეს ჩვენ დაგვხმარება მეტაფორიზაციის უძველეს პროცესებთან დაკავშირებულ ხალხის რწმენებისა და წარმოდგენების ცალკეული საკითხების შესწავლისას და სხვ.

რაც შეეხება საყოფიერ მეტაფორის, როგორც მხატვრული ზერხის, სტრუქტურასა და დუნქციას, როგორც აღნიშნეთ, მეტაფორაში ორი მნიშვნელობაა შეერთებული. პირველი გადატანითი მნიშვნელობაა და კონტექსტით განისაზღვრება; მეორე პირდაპირი მნიშვნელობაა და თვით სიტყვის ჩვეულებრივი ხმარებით განისაზღვრება⁹. მაგალითად, ერთ-ერთი ქართული ხალხური ლექსიდან მოვიტანოთ სტროფი, რომელიც მეტაფორას შეიცავს:

მე ვიცი, შევარდენი ხარ,
მაგრამ რომელი ბუღისა?
ნეტა რა დედამ გაგზარდა
ვგრე ფოლადის გულისა¹⁰.

⁴ იქვე, გვ. 219.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ Л. И. Ефимов. Стилистика художественной речи. М., 1961, гл. 128.

⁸ იქვე, გვ. 122.

⁹ Б. В. Томашевский. Стилистика и стихосложение, Л., 1959, гл. 221.

¹⁰ ვ. კობეტაშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 234.

აქაა მოცემული მეტაფორა „შევარდენი“. მას გადატანითი მნიშვნელობა კონტექსტით აქვს მიანიჭებული და ამ კონტექსტით შევარდნის თვისება ლექსის ადრესატს — ჰაბუქს მიეწერება. ამავე სიტყვას „შევარდენს“ აქვს პირდაპირი მნიშვნელობა და ჩვეულებრივ კონტექსტის გარეშე იგულისხმება.

ბ. ტომასშევსკის განმარტებით: „მეტაფორა შედარების მიმართ შემოკლებულია არა მარტო იმ აზრით, რომ ერთ სიტყვაში შეერთებულია საგანი და სახე, არამედ კიდევ იმითაც, რომ მეტაფორაში არასოდეს არაა დასახელებული ნიშანი, რომლის მიხედვითაც ეს დაახლოება წარმოებს და მას უნდა მივხედეთ. და ის ფაქტი, რომ უნდა მივხედეთ, ე. ი. გამოვალდინოთ აღქმის გარკვეული აქტიუობა, აქცევს მეტაფორას უფრო ძლიერ სტილიზტიკურ საშუალებად, ვიდრე შედარებას. რომ გამოვიცნოთ, რა ნიშნის საფუძველზე შინაგანად მეტაფორაში ჩამარბული შედარება, აუცილებელია გავარკვიოთ, რაა საერთო საგანსა, რომელიც გამოხატულია გადატანითი მნიშვნელობით. და სახეს შორის, რომელიც გამოხატულია მეტაფორული სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ რაც იგივეა, რა მსგავსება უნდა ვიპოვოთ საგანსა და სახეს შორის... მეტაფორაში სახე და საგანი შერწყმულია ერთ სიტყვად იმგვარად, რომ სიტყვა ამჟღავნებს ერთბაშად ორ მნიშვნელობას: პირდაპირსა და გადატანითს. პირდაპირი მნიშვნელობა არის სახე, გადატანითი მნიშვნელობა არის საგანი. ამ ორ მნიშვნელობას შორის უნდა ნაპოვნი იქნეს მსგავსება“¹¹.

ბ. ტომასშევსკი საგანს უწოდებს შესადარებელ ობიექტს, სახეს — პრედკატს. თუ ტომასშევსკის ფორმულირებას ჩვენს ზემოთ დამოწმებულ ნიმუშს ბოეუყენებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ ერთ სიტყვაში — მეტაფორაში „შევარდენი“ შეერთებულია საგანი და სახე. საგანია ჰაბუქი, რომელსაც გადატანითი მნიშვნელობა აქვს, ხოლო სახეა შევარდენი, რომელსაც მეტაფორული სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა განეკუთვნება. ის ნიშანი, რომლის საფუძველზეც მათ შორის მსგავსება წარმოებს, საბუნს, მისახვედრს, ამოსაცნობს წარმოადგენს. ეს ნიშანი კი იქნება სისწრაფე, რომელსაც შევარდენი ამჟღავნებს და რომლის მიხედვითაც ჰაბუქი შევარდენადაა წოდებული.

მეტაფორად მეტყველების სხვადასხვა ნაწილია გამოყენებული. უველაზე სწორად მეტაფორის როლს არსებითი სახელი ასრულებს. მეტაფორას, რომელიც არსებითი სახელითაა გამოხატული, შეიძლება თან ახლდეს ზედსართავი სახელი და, ამრიგად, მისი ხატოვანება და ექსპრესიულობა გაიზარდოს. შედგენილობის მიხედვით გვხვდება როგორც მარტივი, ისე რთული მეტაფორა. ანა-იქ მეტაფორისათვის დამახასიათებელია მიმართვის ფორმა.

მეტაფორის ფართოდ გავრცელებულ სახეობას გაპიროვნება შეადგენს. იგი განსაკუთრებით ხშირად იხმარება გაბასების ჟანრის ხალხურ პოეტურ ნაწარმოებებში. ფოლკლორულ წყობილსიტყვიერ ტექსტებში საკმაოდ უხვად მოიპოვება ე. წ. განმარტებული მეტაფორები, როდესაც მეტაფორასთან ერთად იქვე მოცემულია ის საგანიც, რომლის მეტაფორიზაციაა წარმოებს. ხალხური პოეზიის ნიმუშებში რეალიზებული მეტაფორების შესწავლის დროს ანგარიში უნდა ვაეწიოს როგორც მეტაფორების თემატიკურ კლასიფიკაციას, ისე მათს მხატვრულ-ემოციურ ფუნქციას. ამის მიხედვით ერთი მხრივ ჩვენ გვაქვს ცხოველების, ფრინველების, მცენარეების, ასტრალური სხეულების და სხვა მეტაფორები, ხოლო მეორე მხრივ ლირიკული, ჰაბერბოლური, პეიზა-

ენრი და სხვა მეტაფორები. სათანადო მნიშვნელობა ენიჭება თითოეული თემატიკისა და მხატვრულ-გმოციური ფუნქციის მეტაფორათა სხვადასხვა თემაციის ხალხურ პოეტურ ნიმუშებში გამოყენებას. ზოგიერთი მეტაფორის ისტორიულ წარმომავლობასა და განვითარების ხასიათს და სხვ.

ცხოველთა მეტაფორები. შორეული წარსულიდან მეტაფორულ მნიშვნელობათა სისტემაში საპატიო ადგილს იკავებს ცხოველთა მეტაფორები. მეტაფორული ენის ფორმირებაში მათ ჰქონდათ როგორც მხატვრული, ისე ესთეტიკური და შემეცნებითი დანიშნულება. საერთოდ, როდესაც მეტაფორებზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა გავამაჩვილოთ იმ გარემოებაზე, რომ მეტაფორები, ღშირად იხმარება არა მარტო ზეპირ პოეტურ ნაწარმოებში, არამედ ყოველდღიურ ცოცხალ მეტყველებაშიც. რომ მათში რელიეფურად იკვეთება ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი ძირითადი სტილისტური ტენდენციები. მეტაფორულ-სიმბოლისტურ ენას უძველესი ტრადიციები გააჩნია. საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ პერიოდში თავისი თავდაპირველი ფუნქციით ცხოველთა მეტაფორები აღმინათა ანიმისტურ-ტოტემისტურ შეხედულებებს გამოხატავდა. შემდგომ მათ თანდათან მხატვრული ფუნქცია შეიძინეს. ცხოველური მეტაფორები მრავლად იკვებება ბიბლიური შინაარსის ტექსტებში. ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში, სერო სსსათვის თსხელეებში. ისინი ქარბადაა გაფანტული ინდივიდუალურ პოეზიაში. აქ მათ ალაგ-ალაგ სიმბოლისტურ-ალეგორიული მნიშვნელობა აქვთ.

ფოლკლორული მეტაფორების შექმნაში ზეპირსიტყვიერი და მწიგნობრული ტრადიციების უზთიერთგავლენის კეალიც შეინიშნება. ამ ტიპის მეტაფორების შექმნაში თავისი გადატანით-ფიგურალური ვარიაციებით სერიოზული როლი შეასრულა საერთო-ხალხურმა ანუ საერთო-ინობრივმა მეტაფორიზაციამ.

ცხოველთა მეტაფორები, რომლებიც ქართულ ხალხურ პოეზიაშია გავრცელებული, უმეტესწილად გარეულ ცხოველებს მოიცავს. ჟაუნის ბინადართაგან აქ მშირალაა მოხმობილი ლომი.

ლომი ნადირთა მეფედაა შერაცხილი, უძლიერეს ცხოველდა: ცნობილი და ხალხური პოეზიის მიხედვით ვაეკაცობის, შეუპოვრობის სიმბოლოს განასახიერებს. ამიტომაცაა, რომ ერთ-ერთი საგმირო ლექსი ლომის თვისებას ვაეკაცის აუცილებელ ატრიბუტად თვლის:

მე მინდა ვაეკაცო-ვაეკაცი,
არ მზისა დასარიდია,
მხნეთა მხნე იყვეს შინ. გარეთ,
მოუეარე. არა ფლიდია,
ლომი ლომობდეს ფრანგელით,
მტრსა დაქმართოს რილია¹².

ვაეკაცურად დაღუპული ჰაბუეი ლომდაა წოდებელი საგმირო-სამგლოზიარო ლექსშიც:

ლომი, შე ლომის მოყლეო,
ბუნნი-ჰალის ძირსაო,
ენ შეგირება წითლდა
მხარ-მევი პერანვისაო¹³.

¹² ე. კ. ტ. ე. ვ. ი. ლ. ხალხური პოეზია, გვ. 52—53.

¹³ აქვე, გვ. 84.

უძლეველ ცსოველადა მიჩნეული ვეფხვიც. ისეც საგმირო ლექსებში გვხვდება და შტრებთან შეუღრეკელი ვაჟკაცის მეტაფორიზაციის ხერხს წარმოადგენს:

რო ნახა ქისტის ლაშქარი, ვეფხვიც კი ძაგარს შიასაა!¹⁴

ზოგჯერ მეტაფორა „ვეფხვს“ ეპითეტიც ახლავს. ეს კი მეტაფორის პათეტოკურ შინაარსს ამაღლებს, ზრდის კონტრასტის ემოციურ შემართებას:

ნისლაურისძე ქირჩლია კლდისა ვეფხვია მწყლიანი¹⁵.

აქ გვაქვს ე. წ. განმარტებული მეტაფორა. ასეთი ხასიათის მეტაფორები დიდი რაოდენობით გვხვდება ხალხური პოეზიის რეპერტუარში. კონკრეტულად ზემოთ ციტირებულ ნიმუშში, რომელშიც განმარტებული მეტაფორა ნახნარი, ჭერ მოცემულია რეალური პიროვნება — ადამიანი, შემდეგ კი ხდება მისი მეტაფორიზაცია. ამით თითქოს მეტაფორის შინაგანი სირთულის პრინციპი ირღვევა, რადგანაც იგი ამ შემთხვევაში ამ მხატვრულ ხერხთან დაკავშირებული მოსაზრების, ამოცნობის მომენტს გამოირიცხავს. მაგრამ სამაგიეროდ საგნისა და სახის ეროზიუმორის გვერდით გადმოცემით თვით მეტაფორის ემოციურობის ხარისხი მატულობს. ამგვარი ტიპის მეტაფორებს ცალკე გამოვლას გ. ი. სოროკინი და აღნიშნავს, რომ „ისინი დგანან მეტაფორასა და შედარებას შორის, ერთნაირად ახლოს არიან და მეორესთანაც“¹⁶. მათში „ორი წვევრია და ამით ისინი მოგვაგონებენ შედარებას, მაგრამ მათში არაა შედარებისათვის დამახასიათებელი შემაერთებელი კავშირი და ამიტომაც ისინი აღიქმება, როგორც მეტაფორა“¹⁷.

მეტაფორების „ლომისა“ და „ვეფხვის“, ისევე როგორც სხვა ხასიათის მეტაფორების, განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სახანალიზო ტიპის ტროპული ელემენტი შეგნებულ მხატვრულ ფაქტს წარმოადგენს, თუ იგი მითოლოკაური წარმოდგენებზეა დამყარებული. ჩვენ მიერ დამოწმებულ ნიმუშებში პირველ გარემოებას აქვს ადგილი. რაც მოცემული ლექსების გვიანდელ წარმომობაზე მიუთითებს. უკანასკნელი მომენტი, ე. ი. მითოლოგიურ წარმოდგენებზე დაფუძნებული ტროპული ელემენტების არსებობა, უფრო უძველესი ხანის პოეტურ ნაწარმოებებშია სავარაუდებელი.

მეტაფორებს „ლომისა“ და „ვეფხვს“ ერთი და იგივე იდეურ-მხატვრული დანიშნულება აქვს: მათი მიზანია მეომრის, „კაი ყმის“ საგმირო თვისებებს გადმოცემა, მათი ვაჟკაცური პორტრეტის ჩვენება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ თუ „ლომი“ იშვიათად იხმარება საგმირო ლექსებში, „ვეფხვი“ საკმაოდ ხშირ მოვლენას წარმოადგენს:

ჩაღიან, ჩაბოინობენ ვეფხვნი უშიშრად გზისასა¹⁸.

აისხეს ჩარალები ვეფხვთა დაშალნეს ჰყალღია¹⁹.

ბაბუა მგელაისშელი ვეფხვიც კანკებუ ღვებისა²⁰ და სხვ.

14 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხეცურული, ტფ., 1931, გვ. 219.

15 იქვე, გვ. 113.

16 В. И. Сорокин, Теория литературы. М., 1960, гв. 135.

17 იქვე, გვ. 136.

18 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 65.

19 იქვე, გვ. 111.

20 იქვე, გვ. 114.

ზოგჯერ მეტაფორა სპეციფიკური ტრადიციული ფორმულით არის გადმოცემული და არტულ იშვიათად ამა თუ იმ კუთხის მხატვრულ წარმოდგენებს ისე ეხისხებოდა, რომ მასში ამ კუთხის კოლორიტი ჰქაყრადალი-ბეჭდება.

ცხოველთა მეტაფორების შექმნაში ტოტემისტურ, ანთროპომორფულ საწყისებთან ერთად დიდი როლი ენიჭება სამონადირეო რიტუალსაც, რასაც საქართველოშიც პქონდა ფართო გავრცელება. ამ საკითხს დაწვრილებით მიმოიხილავს ე. ვირსალაძე თავის წიგნში, რომელიც ქართული სამონადირეო ეპოსის პრობლემებს ეძღვნება. აქ იგი საკუთრივ ვეფხვის მხატვრულ საბეჭებზეც ჩერდება და მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მოკლული ვეფხვი ჰატივისცემისა და მოკრძალების საგანს წარმოადგენდა²¹.

გარეული ცხოველებიდან ვაქციის გმირულ თვისებებს განასახიერებს ეპითეტი „ირემი“, რომელიც საგმირო ლექსებში საკმაოდ ხშირადაა რეალიზებული. ირემი ოდითგანვეა ცნობილი არა მარტო როგორც დიდსულოვანი, კეთილშობილი, არამედ რაგორც მარჯვე, მკვირცხლა, დაუქანცავი ცხოველი. სწორედ ეს თვისებები იგულისხმება, როდესაც ვაქციით ამა თუ იმ ლექსში ირმადაა წარმოდგენილი:

მაუვა საქანისტელი ირემა რქაქანგვიან²².
საქოსა ქუშანათასა ირემს დაღნაყნს რქანო²³.
მათაჲ საქანისტელი ირემ მშაიღნა რქანო²⁴.

რასაკვირველია, ეპითეტი „ირემი“ ეპითეტების „ლომისა“ და „ვეფხვისაგან“ განსხვავებით საგმირო ფუნქციის მხოლოდ ზოგჯერ ასრულებს. ირემთან სამონადირეო ეპიზოდებია დაკავშირებული. იგი ამ ასპექტით ზალხურ ზღაპრებშიცაა შესული. ფოლკლორულ ლექსებში კი ირემი ზოგჯერ სამონადირეო ღლანშია მოცემული და ხდება მისი გაპიროვნება. ამ დროს ირემი უცოდველ, გულჩვილ ცხოველად დახატული და ადამიანური ენით მეტყველებს.

ლექსში „გაზაფხულ იყო მაშინა“ პერსონიფიცირებული ირემი მონადირისაგან შებრალბას მოითხოვს:

რას ჩადი, კაცო, რადა მკლავ,
შენთვის რა მაქნავ ზიანე?²⁵

ეკითხება თავის მკვლელს. დილაგური ფორმის ლექსში კი მონადირის ხელით სიციცხლეს გამოსალმებულ მეუღლის სიკვდილს ჩივის:

— მთაში მავლო ირემო,
რად იარები ბარადა?
— მეუღლე ვინამ მაიყლა,
დაუიარები ცალადა!²⁶

ასევე დილაგურ პრინციპზე აგებულ ლექსში მოცემულია ცხენისა და ირმის გასაუბრება. აქაც ადამიანის მიერ ირმის ღვენაზეა ლაპარაკი²⁷.

21 ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, იბ., 1964, გვ. 156.

22 ა. შანშიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 75.

23 იქვე, გვ. 38.

24 ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრ. აღ. ოჩიაურის მიერ, თბ., 1970, გვ. 31.

25 ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 155.

26 ფშავური ლექსები, შეკრ. დ. ხიზანაშვილის მიერ, ტფ., 1987, გვ. 187.

27 ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 218.

როგორც ვთქვით, გაპიროვნება მეტაფორის თავისებური სახეობაა. მის მხატვრულ-ემოციური ინტენსივობა მაღალია, რადგანაც მასში ცხოველურულ საგანი თუ განყენებული მოვლენა ადამიანური თვისებებითაა შემოსილი. იგი გენეზისით შორეული წარსულიდან მომდინარეობს. როდესაც პირველყოფილ საზოგადოებაში ჭერ კიდევ ანიმისტური მსოფლმხედველობა იყო გავრცელებული.

მგელი მეტაფორის მნიშვნელობით ჩვენ ჭერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ გვხვდება. აქ მგელი ამ თხზულების ავტორის მიერ ეარსქენის მიმართ იმპრესიაა: „და შეძღვომად ორი დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად“²⁸.

ლომის, ეფხების. ირმის მსგავსად მგელი საგმირო ლექსებში ვაჟკაცს შეუღრკეველ ხასიათზე. მის მტკიცე ფიზიკურ მონაცემებზე მიანიშნებს. ამ დროს მგელთან მიმსგავსებით უმთავრესად ადამიანის სხეულის ნაწილები მეტაფორიზებული:

დოღათა გაიდაურსა მქარი მასტეხეს მგლისაო²⁹.
 აბეჩაუ. ხანიაშვილო! პირს გაიბრუნებს მგლისააა³⁰.

რამდენიმე იუმორისტული ლექსი მგლის პერსონიფიკაციასაც შეიცავს:

მგელმა სთქვა: ქორწილს ვაპირებ,
 ლენო ჩავასხი ნასეტაეი.
 წავალ, მეტხვარეს ცხვარსა ვთხოვ.
 ციკანს მომეცემს თუ კრავს მტყუანს,
 არ მომეცემს. ძალად წავართმევი.
 თუ იტრებს და ბანს ვეტყვი³¹.

ჭიხვის თემაზე შექმნილი ხალხური ლექსების ცოლი უპირატესად სანადირო მოტივებს აღძრავს. ჭიხვი აქ პერსონიფიცირებულია და ლექსის ავტორი მას როგორც მოაზროვნე და მეტყველ არსებას წიშნობს. უნდა ითქვას რომ მიმართვის ფორმა ჭიხვის ლექსების უმრავლესობასათვის დამახასიათებელ ნიშნად გვეკლინება.

გაიძარ, ჭიხვო, გაიძარ, გაიძარ — გაგიოთენდება³².

სხვა ლექსში ჭიხვი ადამიანთან დიალოგშიცაა ჩაბმული:

— ჭიხვო. გუნება მძიძო.
 რან გადმოგადო კლდიდამა?
 — ეილო წითელმა ისარმა
 და მშვილდმა ჩემის რქისა³³.

გარეული ცხოველებიდან გვხვდება დათვის, მკლის, კურდღლის და სხვათა სახელწოდებათა მეტაფორიზებაც. მაგრამ ეს ცხოველები ხალხურ ლექსებში მეტწილად მაინც პერსონიფიცირებული არიან. ზოგიერთი გარეული ცხოველის სახელი დაედო საფუძვლად ადამიანთა საკუთარ სახელებსა თუ გვარებს. შეიძლება მსგავსი ფაქტები ერთი მხრივ მეტაფორული, ხოლო მეორე მხრივ ტოტემისტური მოვლენებითაც იქნეს ახსნილი.

²⁸ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგ. ეუბანიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 37.

²⁹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 62.

³⁰ იქვე, გვ. 248.

³¹ ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 173.

³² თუშური პოეზია, შედგ. კ. ჭრელაშვილის მიერ, თბ., 1962, კვ. 53.

³³ თუშური ლექსები, გვ. 143.

შინაური ცხოველებიდან ადამიანის მეტაფორად ყველაზე ხშირად ხარი არის გამოყენებული. ხარის კულტი შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაში — ეგვიპტეში ხარი ღვთაებადაც კი იყო წარმოსახული. ოზირისი ხარის სახით იყო წარმოდგენილი და ეგვიპტელები მას, როგორც ხარს, ვედრებით მიმართავდნენ „დიონისეუ ხარის სახეს იღებდა“³⁴.

ხარი ადამიანის საყოფაცხოვრებო მეურნეობის, განსაკუთრებით კი მკვლევარების მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. ანიტომაცია, რომ იგი საქართველოშიც თაყვანისცემის ობიექტად იყო ქცეული და მასთან გუთნური პოლის საუკეთესო ნიმუშებია დაკავშირებული. ამ ლექსებში ხარი, რომელიც დღენიადგ ადამიანის სამსახურშია ჩაყენებული, კეთილშობილ, გონიერ პირტყვად ასენიება სწორედ ეს მიზეზი განაპირობებს იმას, რომ, როგორც თ. ოქროშიძე მიუთითებს, ხარის კულტი ლოცვის ფორმულებშიც კი იყო შეტანილი³⁵.

„ხარი“. ისევე როგორც მეტაფორები — „ლომი“, „ვევხვი“ და „ირემი“, ქართულ საგმირო ლექსებში ფიგურირებს და ვაჟკაცის შეუპოვარ თვისებებს აღმოსცემს.

„ხარი“ მეტაფორად გვხვდება თილისძის ლექსში. აქ იგი თილისძის გმირულ ფსიქოლოგიურ პორტრეტს განადიდებს:

ღამას მოვიდა თილისძე,
 ეულ-დიად დაქლა ხარიო:
 შევოხეხენენ ფშაელები
 როგორც ბატონსა ყმანიოპ³⁶.

ეს მეტაფორა ანალოგიურ მხატვრულ ამოცანას ასრულებს სხვა ლექსშიც:

როსტომი მგელურიძე, ხარი გადმოღვა მთასაო³⁷.

აქ გვაქვს განმარტებული მეტაფორები, რომლებიც არსებითი სახელის დორმით არიან გადმოცემული. ზოგჯერ მეტაფორა ხარს თან ერთვის ეპითეტი „მანძილა“:

ალაღა ფშავის შეილები, რო ნაგუბარი წყალია,
 წინ მოიგარი გაუძღვა ღალი მანძილა ხარიამ³⁸.

არტულ იშვიათად საგმირო ლექსებში ეპითეტი „მანძილა“ უმეტაფოროდ იმარტება, მაგრამ კონტექსტით მასთან მეტაფორა „ხარი“ იგულისხმება:

დახკეს თოო სულხანაურსა,
 დასცეს მანძილა ძირსაო³⁹.

მეტაფორა „ხართან“ იხმარება აგრეთვე ეპითეტები: მყვირალი, ყვირალის, ბუბუნა და სხვ.

³⁴ კონტრეშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 371-372. აგრეთვე: Фредер, Золотая книга, т. III, гл. 103, 188.

³⁵ თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, იბ., 1963, გვ. 45.

³⁶ ფშავური ლექსები, გვ. 33.

³⁷ თეშური პოეზია, გვ. 49.

³⁸ ფშავ-ხევსურული პოეზია, 1970, გვ. 211.

³⁹ სახალხო მთქმელები, წიგნი I, ე. ვირსალაძის რედ., თბ., 1956, გვ. 195.

ბერ ხალხურ ლექსში წარმოებს ხარის პერსონიფიკაცია, მას ადამიანური თვისებები აქვს მიწერილი. ლექსში „ორშაბათობით აშენდა“ ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანის შენახვა თავზე ვერაინ იღო, მაშინ ---

ხარბა თქვა პირნათლიერმა,
მე დამაწერეთ რქაზედა⁴⁰.

სხვა ლექსში ნიკორა ლაღას ადამიანური ენით ესაუბრება⁴¹ და სხვ.

შინაური ცხოველი ცხენი პერსონიფიცირებულადაა წარმოდგენილი სალაშქრო ხასიათის პოეტურ ნაწარმოებებში. ერთ-ერთ ასეთ ლექსში ცხენი პატრონს თხოვნის სიტყვებით მიმართავს:

ცხენი ეტყოდა პატრონსა:
ცხენთ წინ სუ დამაყენებო⁴².

ზოგჯერ პატრონი ცხენს როგორც მოაზრუნე არიებას — ადამიანს მამართავს:

ჩაელის, ჩაუბნება
ტუნკით ივანე საღარსა:
— ცხენავ, გეტყობა. გეშინის
აულს შე ჩაგიღებ მაგარსა⁴³.

საინტერესოა ცხენისა და ირმის დიალოგი, რომელსაც ერთ-ერთი ხალხური ლექსი შეიცავს:

საქართველოში ძველად ცხენის კულტის არსებობაზე მიუთითებს ე. კოტეტიშვილი⁴⁴.

ხალხურ ლექსებში გაპიროვნებულია ზოგიერთი სხვა შინაური ცხოველი — კამეჩა, ცხვარი და ა. შ.

ფრინველთა მეტაფორები. ფრინველთა მეტაფორიზაცია საკმაოდ ხშირად მოვლენაა პოეტური ფოლკლორის ძეგლებში. კერძოდ, ფრინველთა მეტაფორიზაცია ხალხურ ხატოვან-მეტაფორულ სიტყვათმპარებაშიც თვალსაჩინოდ გიღის იკავებს.

როგორც ცხოველთა მეტაფორების დროს აღვნიშნეთ, იმავე დებულებას აქაც გავიმეორებთ: თუ ისტორიული ასპექტით განვიხილავთ, შეიძლება ამ თუ იმ ხალხურ პოეტურ ნიმუშში ფრინველის სახელის მეტაფორიზება ტრემისტურ წარმოდგენებთანაც იყოს გადანასკეული.

ფრინველებიდან მეტაფორულ მნიშვნელობათა ორბიტაში თითქმის მთლანად გარეული ფრინველების სახელებია ჩართული. ვარეული ფრინველებიდან კი არწივი მეტაფორის სახით საგმირო ლექსებში ქარბადაა მომარჯვებული.

მთიულეთში ჩაწერილი ლექსის მიხედვით ვაქაკა დაბადებდანვე არწივად სახელდებული:

ბოსოში დაბადებულა არწივი ცოტა ხნისაო,
ფოლადის გული სდებია, მკლავები სპილოს ძელისაო⁴⁵.

⁴⁰ ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 150.

⁴¹ ფშაური ლექსები, გვ. 128.

⁴² ხალხური სიტყვიერება, I, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ. 1918, გვ. 53.

⁴³ ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 181—182.

⁴⁴ იქვე, გვ. 373.

⁴⁵ ქართულ მთელთა ზემიხსიტყვიერება, ე. ვირსალაძის რედ., თბ., 1958, გვ. 142.

„გიგაის ძოდში“ არწივი უშუალოდ მტრებთან მებრძოლ კაბუკს ეწოდება:

ზაგას ღერანა მისდია არწივმა კივილითაო⁴⁶.

სხვაგან არწივს თოფს დაჰკრავენ და იგი ფრთებს კეცავენ:

თოფ დაჯრეს, მთისა არწივო, შამაიკუ ჰუკაე მქართაო⁴⁷.

ეს ვეაკაის გამირული სიკვდილის მაღალპოეტური მეტაფორიზებაა, რომელიც თავისებური ემოციური ნიუანსით ხმით ნატირალის ფინალშიც მონაწილეობს. საკუთრივ ხმით ნატირალის ეს ფინალური სტრაქონები მაღლიანად მეტაფორულ პრინციპზეა შექმნილი და არწივის გარდა აქ საგმირო ფუნქციის მქონე გარეული ცხოველებიცაა მოცემული. ყველანი ისინი სპეციფიკური სიტყვიერ-ფიგურალური ფრაზებით გმირის ტრაგიკულ დასასრულს უსვამენ ხას:

ეეფხვო, დახეარ იარაღო,
არწივმა დაიჰუკენ მხარნიო,
ჩიხვო, საწოლთი გადმალეარღო,
ირემო, დაინაყენ რქანიო⁴⁸.

ტრადიციული ფორმულა: არწივმა დაიჰუკენ მხარნიო, როგორც გარკვეულ კუთხეში წარმოშობილი ფიგურალური სახე, ლოკალური მხატვრული წარმოსახვის კოლორიტითაა აღბეჭდილი და საგანგებო ახსნას საჭიროებს. ეს მომენტი საერთოდ ფოლკლორული ნაწარმოების ერთ-ერთ თავისებურ ნიუანს წარმოადგენს.

ზოგჯერ მეტაფორა არწივს თან ახლავს ეპითეტი მხარკეციანი:

თათართ თათარა ომობდა არწივი მხარკეციანი⁴⁹.

ხანაც მეტაფორას „არწივს“ თან ერთვის ეპითეტი „მადლის მთისაო“ (ან „მადლის მთისანო“, თუ მეტაფორა მრავლობით რიცხვშია):

ელუმო თულუმივილო, არწიო მადლის მთისაო⁵⁰.

სტუმარმასპინძლურ ლექსში მეტაფორა არწივთან გამოყენებულია ეპითეტი ლაღნო მთისანო:

თქვენ ჩვენად რამ ჩამოგყარნათ. არწიენო ლაღნო მთისანო⁵¹

სამონადირეო ტიპის ლექსში „შილდის თავს“ არწივის გაპიროვნებას აქვს ადგილი:

შილდის თავს ქორი ნადირობს, შილდის ბოლოზე არწივი,
— ჩამოვალ! ქორი უბარებს, — არ ჩამოგიშვებ — არწივი⁵².

საგმირო თუ სამონადირეო ლექსებში აგრეთვე ხშირადაა ნახმარი ეპითეტი „შევარდენი“. შევარდნადაა წოდებული კაბუკი, რომელსაც შევარდნის შეუპოვრობა და სისწრაფე აქვს:

46 კ. უმეკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1964, გვ. 49.

47 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 87.

48 ხალხური სიბრძნე, IV, ქ. სიხარულიძის რედ., თბ., 1965, გვ. 320.

49 ფშა-ხევსურული პოეზია, 1970, გვ. 26.

50 ხალხური სიტყვიერება, III, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 37.

51 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 198.

52 ხალხური სიტყვიერება, III, გვ. 62.

ზე ვიცი შევარდენი ხარ,
მაგრამ რომელი ბუღისა?
ნეტა რა დედამ გაგზარდა
ეგრე ფოლადის გულისა?⁵³

მეტაფორა „შევარდენს“ არცთუ იშვიათად ერთეის ეპითეტი „მთისაო“. ამით შესატყვისი სახის ემოციურობა ძლიერდება.

გიორგი აფთიაშვილი,
შევარდენი ხარ მთისაო⁵⁴.

მეტაფორა „შევარდენი“ ხშირად გვხვდება სამამულლო ომის ამსახველ ლექსებში, რომლებიც მამაც საბჭოთა მფრინავებისადმი მიძღვნილი. აქ იგი უშიშარი მფრინავების ვაჟკაციურ ბუნებას განსახლვრავს.

ზოგჯერ ლექსებში მოცემულია კომპოზიტური წარმოშობის მეტაფორა „ქორშევა-რდენი“. იგი ქორისა და შევარდენის თვისებებს აერთიანებს და ამიტომაც მაღალი ექსპრესიულობით ხასიათდება. ერთ-ერთ ამ მეტაფორას თან ასლავს ეპითეტი „მკრიანი“:

ადგა და აიგი წაიდა ქორშევა-რდენი მკრიანი⁵⁵.

ეპითეტების „აოწივისა“ და „შევარდენის“ ფუნქციით ხალხურ პოეტურ ტექსტებში იხმარება აგრეთვე მეტაფორები „ორბი“ და „მიმინო“.

ისევე როგორც ცხოველური ეპითეტები: ლომი, ვეფხვი, ირემი, ხარი, ფრინველთა სახელებიც: არწივი, შევარდენი, ორბი, შიმინო -- ხოტბით ფუნქციისა და ვაჟკაცის დადებით თვისებებს გამოხატავს. როგორც ვთქვი, ისინი უხვად დასტურდება საგმირო, სამონადირეო, სამგლოვიარო და სხვა თემატიკის ხალხურ წყობილისტიყვიერ ქმნილებებში.

გარეული ფრინველებიდან უარყოფით თვისებებს განასახიერებენ ყორანი და ძერა, რომლებიც ფოლკლორულ პოეზიის ნიმუშებში გაპიროვნებულნი არიან და სხვადასხვა კონკრეტული ფუნქცია აქვთ დაკისრებული.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია საილუსტრაციო მასალად შოვიყვანოთ ლექსი, რომელიც შეიცავს როგორც ცხოველთა, ისე ფრინველთა სახელების მეტაფორიზებას. ეს ლექსი თითქმის მთლიანად მეტაფორულ სისტემას ემყარება:

თელ უზ-ს თვალაჭაძეს ჟურკასა შევარდნისაო,
ქმასა გავიტეხს ქვესურეთს, მუქსა შიბამს მგლისაო. —
წინაე გუდანით მოვალის ძალი გუდანის ჭვრისაო;
იმას ლერენამ მასღივა არწივმა სინსითთაო;
ბლოელ ბერდია მავიდა, ქორ მკარ-ბოლოსა შლისაო;
ქირჭამ საფერკე შახაშმა, ზე ორბი შაქდა მკრითაო,
... აქეხა ბასილის ძემა ომამა მშვილდი რქისაო,
თძიი ვადმაიბრუნა, მანძილა დასცა ძირსაო,
ჯერად ყორის წვალზედა ერთი დლოლელი ქმითაო:
დაგვხეივნა თურმანაულმა ჟურკამა ვეფხემა მწყლითაო⁵⁶.

მხატვრულ სიხოთა თვალსაზრისით ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტზე ყურადღებას ამახვილებს ე. ვირსალაძე⁵⁷.

53 ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 234.

54 ხალხური სიტყვიერება, I, 1918, გვ. 5.

55 ჭარბელ პოეზია ზეპირსიტყვიერება, გვ. 148.

56 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 75—76.

57 ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, გვ. 162.

მცენარეთა მეტაფორები. მცენარეული სამეფოს მეტაფორების შექმნა-ზეც დიდი როლი ითამაშა ბუნებასთან ადამიანის აქტიურმა დამოკიდებულებამ, პირველყოფილმა ანიმისტურმა წარმოდგენებმა, სხატერულ-ესთეტიკური გემოვნების ფორმირებამ, ადამიანებსა და მცენარეებს შორის პოეტური ანალოგიების დამყარებამ და სხვ.

მცენარეთა სახეობების მეტაფორიზაციაზე როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ მცენარეთა სიმბოლიკაზეც, რასაც ანტიკურ ქვეყნებში მდიდარი ტრადიციები მოეპოვება.

მცენარეთა სახეობების მეტაფორიზება თითქმის მთლიანად სატრფიალო ღირის ნიშნუშაზეა რეალიზებული. ამასთან ამ ტიპის მეტაფორების დიდზე უდიდესი უმრავლესობა ქალის ფიზიკური სილამაზის პოეტურ აღწერა-გამოსატყვას ეძღვნება. ამრიგად მათ ხოტბით-შეჭებითი ფუნქცია აქვთ მინიჭებული. ასეთი მეტაფორები შეტყილად აღქმით-მხედველობით ფაქტორებს ემყარება. ამასთან დაკავშირებით ინტერესს არაა მოკლებული გაკისხნით მეტაფორის ციტრონისეული დახასიათება: „... ყოველი მეტაფორა უკიდურეს შემთხვევაში, რომელიც სწორადაა გამოყენებული, — აღნიშნავს იგი, — მიმართულია უშუალოდ გარეგნული გრძნობებისადმი, განსაკუთრებით მხედველობისადმი, მეტისმეტად გამახვილებული გრძნობისადმი“⁵⁹.

მცენარეთა მეტაფორებიდან ქალის ფიზიკური სილამაზის ასახაველ ყველაზე ხშირად „ალვის ხეა“ მომარჩევებული:

საყვარელო ალვის ხე მარ,
მებრალეზი, რომ მარტვა ხარ⁶⁰.

ეს მეტაფორაც თავისი გენეზისით მხედველობით აღქმას ეფუძნება. ასევე ქარბადა ქალის მიმართ ვარდის მეტაფორიზება:

მიყვარხარ, ზემო ლამაზო,
შეკრულო ვარდის კონაო⁶¹.

იშვითად მცენარეული მეტაფორა მამაკაცის მიმართაც იხმარება. ეგრძოდ, ასეთი ფაქტი შეინიშნება საგმირო ლექსში „კობა ცისკარაული“:

ათამაშებდა ფრანგულსა, ტანად ლერწამი ზღურავა,
... იქნების ცისკარაული, ღალი არწივი მთისაო⁶².

გვხვდება მცენარეთა პერსონიფიკაციაც. მსგავს მოკლენას აქვს ადგილი ლენინის გარდაცვალების ამსახველ სამგლოვიარო შინაარსის პოეტურ ნაწარმოებში. აქ ნათქვამია, რომ ლენინის სიკედილის ამბავი

ტყეში ხეებმა გაიგეს,
ტოტები დაიხარაო⁶².

ცხოველებისა და ფრინველების მეტაფორების საპირისპიროდ ქართულ ხალხურ ლექსებში მცენარეების მეტაფორები ნაკლებად არის გავრცელებული. აქ მცენარეთა პოეტოზაციის დროს მეტაფორის ნაკლად უფრო შედარება არის გამოყენებული.

⁵⁹ Античные теории языка и стиля. М.—Л., 1936, стр. 217.

⁶⁰ ხალხური სიტყვიერება, I, 1918, გვ. 30.

⁶¹ ხალხური სიბრძნე, IV, გვ. 354.

⁶² ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 191—192.

⁶³ ხალხური სიტყვიერება, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 191.

მთის, კლდის, მდინარის და სხვ. მეტაფორიზაცია. ქართულ ხალხურ ლექსებში აქა-იქ ვაფანტულია მთის, კლდის, მდინარისა და სხვ. მეტაფორული მნიშვნელობები. აქედან საპიროა გამოეყოთ მთის მეტაფორიზაცია. მთა უდიდესად აღამიანებს შორის სიდიადის, შეუპოვრობისა და ქედუხრელობის სიმზოლოდ იყო მიჩნეული.

თანამედროვე თემაზე აგებულ ლექსში მთას პეროიკულ მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული. აქ გამოყენებულია ე. წ. გაამარტებული მეტაფორა:

მშვიდობა გრვეინავს შახტიდან
გალმა-გამოღმა ხეუბშიც,
მწეილობის ვახტზე დამღგარან
მთებიც — ლურჯთვალა დევები⁶³.

ვეაქვს მთის გაპიროვნებაც. საგმირო-სამგლოვიარო ლექსში „არხოტაე-ნეპარს სიკვილილი“ მთასთან ერთად პერსონიფიცირებულია ღრუბელი. ქარი და ნისლი:

რას ბოეირობენ ღრუბელნი, რას რა ბობოქრობს ქარცო,
იკრენლებიან ნისლები, თითქო ტირიან მთანიონ⁶⁴.

აქ გაპიროვნების დროს არსებითი სახელები — ღრუბელი, ქარი, ნისლი, მთა — პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი, ხოლო ზმნები — ბოეირობენ, ბობოქრობს, იკრემლებიან, ტირიან — გადატანითი მნიშვნელობით. „ჩვეულებრივ არსებითი სახელი — ქვემდებარის და ზმნა-შემასმენლის შერწყმამი მეტაფორულია ზმნები და იშვიათად ხდება პირიქით“⁶⁵.

კლდის მეტაფორიზება უმთავრესად საგმირო და სამგლოვიარო ლექსებშია მოცემული. აქედან ხშირია კლდის გაპიროვნება:

თათრთ თათარა ომობდა, არწივი მხარკვირიანი,
ლეი-ღუშინა შიბნეს, კლდე ჩამასტირის ტუიანი⁶⁶.

მდინარის გაპიროვნების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს საუკეთესო ხალხური პოეტური ნაწარმოები „ლიახვმა სთქვა“. აქ ლიახვი აღამიანური ენით მეტყველებს: იგი თავკადასავალს ამყურით ტონით გვიყვება, როდესაც აღიდებულმა გზად ყველაფერი ააქოთა და დაარბია:

აქებდენ ლიახვის ზიდსა,
ზედ გადაეხიე მკლავები,
ისე მოეხადე ქვევრები,
არ მოვანდომე ჩარები⁶⁷.

ამ ლექსზე საკანგებოდ ჩერდება ქ. სიხარულიძე და ხაზს უსვამს მის მალ მეტაფორულ ღირსებებს⁶⁸.

ასტრალური მეტაფორები. ასტრალური მეტაფორები პოეტური ენის ჯველაზე უფრო ხმარებულ ტროპებს განეკუთვნება. ასეთი კატეგორიის მეტაფორები თავისი ისტორიული საწყისებითა და განვითარებით შორეული ეპოქიდან მომდინარეობს. ჩვენ მიერ არაერთგზის აღნიშნული პიუოლოგიურ-

⁶³ სახალხო მთქმელები, წიგნი I, გვ. 138.

⁶⁴ ფშაე-ხევსურული პოეზია, 1970, გვ. 157.

⁶⁵ Б. В. Томашевский. Стилистика и стихосложение, გვ. 224.

⁶⁶ ფშაე-ხევსურული პოეზია, 1970, გვ. 26.

⁶⁷ ხალხური სიბრძნე, IV, გვ. 406.

⁶⁸ ქ. სიხარულიძე, ნარკვევები, I, თბ., 1958, გვ. 268—269.

ანიმისტური მსოფლმხედველობა პირველყოფილ ადამიანთა მიერ ასტრალურ სხეულთა გასულდგმულებამაც გელაენდება. ასტრალური მეტაფორები, როგორც ფიგურალური გამოსახვის საშუალებანი, შემდგომ უხვად იქნა გამოყენებული ბიბლიურ თხზულებებში, ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში, ანტიკური და შუა საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში. ამგვარა ხასიათის მეტაფორა ახალი დროის პოეტიკურ ელემენტებს შორისაც აქტური ხასიათით გამოირჩევა. იგი თანაბარი ძალით იზმარებოდა და იზმარება როგორც ლიტერატურულ, ისე ფოლკლორულ პოეზიაში.

ასტრალური მეტაფორებიდან ქართულ ხალხურ ლექსებში განსაკუთრებით მეტაფორა მზე არის პოპულარული. მასთან ხალხური მეტაფორის ტრადიციების მრავლფეროვანი სტილური ნიუანსებია შეხამებული. მაგრამ თვით მზე როგორც ციური მნათობი საინტერესოა ჩვენი ერის უძველესი რელიგიური რწმენების გათვალისწინების თვალსაზრისითაც. ი. ჭავჭავაძის ვარაუდით: „შესაძლებელი იყო ქართველებს მზე უმთავრეს ღვთაებად აღეარებინათ ქრისტიანობის წინათ...“⁶⁹. ამიტომაც, როცა მზეზე როგორც მხატვრულ ატრიბუტზე ვლაპარაკობთ, ლოგიკურად მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ მზის პერსონიფიკაცია თავისი წარმომობით უფრო არქაული ფაქტია, ვიდრე მეტაფორა „მზე“ მისი გვიანდელი მხატვრულ-ესთეტიკურა გაგებით.

მზის გაპიროვნება მეტწილად უძველესი ხანის ხალხურ ლექსებში დასტურდება. მზის გაპიროვნება გასდევს ერთ-ერთ ასეთ ლექსს რეფრენად:

მზე შინა და მზე გარეთა,
სხუე, შინ შემოდო⁷⁰.

მზის პერსონიფიკაციაა მოცემული საგაზაფხულო ლექსში:

მზო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს ყატი მოუვლავს,
საწყალი აგერ გორავსა⁷¹.

მზის გაპიროვნება მოგვიანებით შექმნილ ლექსებშიც გვხვდება. ოღონდ აქ მას წმინდა მხატვრული ფუნქცია აქვს განკუთვნილი. ასეთი ფუნქციით იკავს ხესიმისტური განწყობილების ერთ-ერთ პოეტურ ნიმუშშია გამოყენებული:

მზო, შენ მაინც ნუ ჩახვალ,
ლრუბლებ იყრება ცაზედა⁷².

მზის გაპიროვნება ყველაზე ტიპიურად სამგლოვარო ლექსებშია რეალიზებული შეიძლება აქ მას უშუალოდ მიმართვის ფორმა არც ჰქონდეს.

„მზე“ როგორც მეტაფორა უპირატესად ლირიკული პოეზიის ნაწარმოებებშია მომარჩვებული. მას ხოტბითი დანიშნულება აქვს და ჰიპერბოლიზაციის მომენტით ხასიათდება. ხოტბის ობიექტად აქ უმრავლეს შემთხვევაში ჯალია გამოყვანილი:

„ლმასის ფანჩარაშია
მზევ, დავინახე პირი მე⁷³.

⁶⁹ ი. ჭავჭავაძის მიერ, ქართული ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1960, გვ. 57.

⁷⁰ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 25.

⁷¹ ხალხური სიტყვიერების მასალები, I, შეკრებილი ქ. სონდუღაშვილის მიერ, ე. ვირსალაძის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 198.

⁷² თეატრული პოეზია, გვ. 56.

⁷³ ხალხური სიტყვიერება, I, 1918, გვ. 299.

ზინდერიამ მოხელ შენ ქალო.
ამოძეალი მზე ხარო⁷⁴.

ქალის მიმართ მეტაფორა „მზის“ სისტემატურ გამოყენებაში, როგორც ჩანს, ამ გარემოებასაც ჰქონდა მთავარი მნიშვნელობა. რომ მზე ქართველთა მითოლოგიური წარმოდგენებით ქალია.

ქართულ ხალხურ ლექსებში ასევე ხშირად ფიგურირებს მთვარის მეტაფორულ მნიშვნელობათა ნიმუშები. როგორც ი. ჭავჭავაძის მიუთითებს, მთვარე ქართველთა წარმართული სარწმუნოების მთავარი ღმერთებია და ივანე მამაკაცს წარმოადგენს⁷⁵. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა, კერძოდ, ასურელებისა და ქარანელების სარწმუნოებაში⁷⁶.

მთვარის გაპაროვნებაც ხალხურ პოეტურ ძეგლებში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული:

ნათელმა მთვარემა ბრძანა:
— ბევრით შე ეჭობივარ მხესა⁷⁷.

ცახე მზე დაბნელებულა,
მთვარე აყრიდა შაქარსა.

მთვარე ნუ აყრი შაქარსა,
არავინ მოგემს მაგ ქალსა⁷⁸.

მზესთან და მთვარესთან შედარებით ქართული ხალხური ლექსებისათვის ნაკლებადაა ნიშანდობლივი ვარსკვლავის მეტაფორიზაცია.

მეტაფორა „ვარსკვლავი“ უმეტესად ქალის მიმართ იხმარება. ზოგან მას ეპითეტი ემატება:

ბრწყინვალე შექურ-ვარსკვლავეო,
შენ ხმელეთისა მდარეო?⁷⁹

იშვიათად მეტაფორა „ვარსკვლავი“ მამაკაცის მიმართაც გამოიყენება:

— ეჯუო, დედის ერთო,
გაზრდილო მინდორ-ველთაო,
ნასკვლავო შარაენდელო,
მთვარის ნაჭერო ხელთაო⁸⁰.

ქართულ ხალხურ ლექსებში რელიზებულია მეტაფორიზაციის სხვა მოყვარულებიც. ამ მეტაფორებდად გამოიყენება აგრეთვე იშვიათი ლითონებისა და ე. წ. პატიოსანი ქვების სახელები (ოქრო, ვერცხლი, ლალი, იაგუნდი, ზურმუხტი და სხვ.). საბრძოლო იარაღთა სახელწოდებანი და ა. შ. მათ კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მხატვრულ-ემოციური ფუნქცია და აზრობრივი ნიუანსი განეკუთვნება.

ხალხური მეტაფორული მეტყველების უძველეს საწყისებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ როგორც ნაწილობრივ ზემოთაც მოიხსენიეთ, ცხოველთა, ფრინველთა თუ სხვა წარმოშობის ბევრი მეტაფორა ადამიანთა სახელად ან

74 „თეატრი“, 1885, № 3, გვ. 29.

75 ი. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 50.

76 იქვე.

77 ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 159.

78 იქვე, გვ. 20.

79 იქვე.

80 იქვე, გვ. 73.

მათი გვარის შემადგენელ ნაწილად იქცა. აქ ამ შემთხვევაში ვარკვეული როლი შეასრულა არქაულმა ანიმისტურ-ტოტემისტურმა წარმოდგენებამაც.

როგორც აღვნიშნეთ, მეტაფორები მეტ-ნაყლები რაოდენობით გვხვდება თითქმის ყველა თემატიკის ხალხურ ლექსებში. აქ მეტაფორის გამოყენება თვით მეტაფორის სემანტიკური მნიშვნელობით, მისი გამომსახველობითი და ნიშნულებით განისაზღვრება. მაგალითად, თუ საგმირო ლექსებში ზოგიერთი ცხოველური წარმომომის მეტაფორა — ლომი, კუხუვი, ირემი და სხვა იხმარება, სამაგიეროდ სატრფიალო პოეზიაში ეპითეტებზე იშვიათი ლითონები თუ ე. წ. პატიოსანი ქვებია მოხმობილი (ოქრო, ვერცხლი, ლალი, იაპუნჯი და სხვ.).

აქვე შევნიშნავთ, რომ ესა თუ ის მეტაფორა შეიძლება გენეტიკურად, პოპულარობის თვალსაზრისით ამა თუ იმ კუთხის, ჰარის ან მთის პოეზიისათვის იყოს დამახასიათებელი. ეს ყოველივე კი ადგილობრივი მხატვრული ტრადიციით, დიალექტოლოგიური თავისებურებებით, ლოკალური ვეოგრაფიულ-ლანდშაფტური ფაქტორით არის შეპირობებული.

როდესაც მეტაფორიზაციის ვარიანტებზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გაჩეზობას, რომ აქ შეიძლება საგნებსა და მოვლენებს შორის გვერდნის დამსგავსება ან თავისი მოქმედებით, ან თავისი თვისებით, ან თავისი კუთვნილებით¹¹. საერთოდ მეტაფორიზაციის დროს სხვადასხვა შემთხვევა აღინიშნება: ერთი სულიერი საგანი სხვა სულიერი საგნითაა შეცვლილი: 2. ერთი უსულო საგანი სხვა უსულოთაა შეცვლილი; 3. უსულო საგანი სულიერთაა შეცვლილი; 4. სულიერი საგანი უსულოთაა შეცვლილი.

მეტაფორის გამოყენების ასეთი სხვადასხვა შემთხვევა ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნეთათვის იყო ცნობილი¹².

ქართულ ხალხურ ლექსებში გამოყენებულა მეტაფორიზაციის ყველა შემთხვევითი მოვლენა. აქ ფართო ადგილი აქვს დაძმობილი გაპიროვნებას, როგორც მეტაფორის თავისებურ საკმაოდ გავრცელებულ სახეობას. როგორც აღვნიშნეთ, მეტაფორიზაციის წრეში ჩამოვლია თემატიკური ეპოქები ჯეროვანი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და თვით მეტაფორებს კი სხვადასხვა მხატვრულ-ემოციური ფუნქცია ეკისრება. ხალხურ ლექსებში ხმარებული ტროპული მეტყველების სხვა ელემენტების მსგავსად მეტაფორიზაციის დროსაც მკაფიოდ შეინიშნება მხატვრულ სახეთა ფოლკლორულ-პედაგოგიკობითი ფაქტორი. სწორედ ამ მიზეზით ხალხურ-პოეტურ ტექსტებში მეტაფორათა უმრავლესობა ტრადიციულ მეტაფორებს წარმოადგენს. უფრო იშვიათად გვხვდება ახალი, ორიგინალური მეტაფორებიც.

¹¹ Г. И. Поспелов, Теория Литературы. М., 1940. გვ. 44.

¹² Античные теории языка и стиля. М.—Л., 1936. გვ. 219.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტმა)

უჩა სინდლიანი

მეფეთა წიგნების შედგენილობა

მეფეთა წიგნების ლუკიანესაული დაყოფა

მონაკვეთი, რომელშიც მოთხრობილია სოლომონის გამეფებისა და დავითის სიკვდილის ამბავი, ტრადიციულად III მეფეთა წიგნის დასაწყისს წარმოადგენს და შესაბამისად = $\psi^1 2_{11}$ -ს. ლუკიანეს რეცენზიას ეს მონაკვეთი გადააქვს II მეფეთას ბოლოში და ამდენად ლუკიანეს რეცენზიის მიხედვით III მეფეთა იწყება $\psi^1 2_{12}$ მუხლით. ამგვარი დაყოფა გვხვდება ხელნაწერებში № 19, 82, 93¹, 108 და 127, რომლებიც ბიბლიოლოგიაში ლუკიანეს რეცენზიის ნუსხებადაა აღიარებული. ასეთი დაყოფა აგრეთვე ნაჩვენებია № 158, 245 და M ნუსხების აშეებზე². გარდა ამისა რალფი უთითებს აგრეთვე რაგ ავტორებს (დიოდორე ტარსუსელს, თეოდორიტეს, იაკობ ედესელს), რომლებიც აგრეთვე მეფეთა წიგნების ასეთსავე დაყოფას იძლევიან³. მისი აზრით, ასეთივე დაყოფა უნდა გვექონოდა ლუკიანეს პალიმფესტიკ⁴. რალფისავე აქმით, დიომანის მიერ M ლიტერით აღნიშნული ეთიოპური ხელნაწერი ბრიტანეთის მუზეუმიდან I—II მეფეთა წიგნებს სრულად შეიცავს, ხოლო „tertii nonnissi Cap. I—II₁₂ continentur“⁵.

მეფეთა წიგნების ლუკიანესეულმა დაყოფამ ბიბლიურ ლიტერატურაში კარგა ხანია ცხოველი ყურადღება მიიქცია. თავდაპირველად დაწერილებით ამ საკითხს შეეხო ჰ. თეკერეი თავის სტატიაში „The Greek Translators of the Four Books of Kings“⁶.

იმოწმებს რა № 243 ნუსხის სქოლიოს შენიშვნას⁷, თეკერეის მიაჩნია, რომ მეფეთა წიგნების ლუკიანესეული დაყოფა LXX არქაულ ვითარებას ასახავს⁸.

¹ 93 ნუსხა ამ დაყოფას არმოაზებ მიუთითებს: The Old Testament in Greek... edited by A. E. Brooke — N. Mclean — H. St. J. Thackeray; Cambridge, 1930, გვ. 208.

² იქვე, გვ. 208: $\psi^1 2_{12}$ και 1^o] εν τωι τωι αυτρηρωι εν τωι τωι τωι αρχηι εν τωι βασιλειωι M.

³ A. R a h l f s, Septuaginta-Studien: Lucians Rezension der Königsbücher, Göttingen, 1911, გვ. 186.

⁴ იქვე, გვ. 186, იხ. აგრეთვე გვ. 16.

⁵ იქვე, გვ. 187.

⁶ Journal of Theological Studies, 8, 1907, გვ. 262—278.

¹⁵ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

რეთა და ცოდვილთა თანა ქშეამთ და ჰსუამთ? (ლუკა 5,30). მეზუერ: მან აღიარნა ცოდვანი თესნი ქეშმარიტად, რამეთუ ცოდვილ იყო (მარტ. ქსთე... სინან. ლიტ. d. III, 293,33).

საზუერე „საბაჟა“: დაუტევა მათე საზუერე და აღილო საბაჟა: (იოე. ოქრობ. სწ. 87,4).

ძვ. ქართ. ზორვა „მსხვერპლის შეწირვა“: რამეთუ ორფეეს ნათესავით ფოთრაველი და მან პირველად ასწავა წარმართთა საიდუმლოდ ღმერთთა ზორვისა (ზღაპრ. ელან. I, იეს. 17). და დასთხიეს სისხლი უბრალოდ, სისხლძეთა და ასულთა მათთად, რომელ-იგი უზორეს კერპსა მას ქანანის... (ფსალმ. 105,38). უზორეს კერპთა და ქამეს ნაზორევი იგი (ნიციტ. მინაჰ. შესხმ.—ანდრ. A 35,20). უზორეიდეს საზორეელსა ღმერთთა უცბათა (იერემ. 19,13; იერუს.).

სევანურ ენაში შემონახულია უცვლელად ძველ ქართულთაჲ საერა: ზუერ/ზორ ფუძეები მათი ძირითადი მნიშვნელობით.

სევან. ლიზერ, ლიზერი (ბქვ.) „შეგროვება, მოგროვება, აკრეფა“. მუზერ „შემკრები“, გადასახადის, წყლის...). ლინზორე (ბზ.) შეგროვება (ხალხის; ფელის...). ლიზერი „თავმოყრა, შეკრება: ქვე ჩუ ინზორი „ხევის მოსახლეობის თვის იყრის“. კესარდ ხემა მარე ჩვად ნაზორე „კეისარმა ბევრი ხალხი (კაცები) შეკრება (შეყარა)“. ლუზერ (ბზ.) შეგროვილი. მუზერ/მუნზორე (ბქვ.) „შემკრები, შემგროვებელი“. ლინზორალ (უშგ. ბზ.), ლინზორალ (ბქვ.). ლინზორალ (ლშხ.) „(ხალხის) შეგროვება, შეკრება, თავმოყრა“. ლინზორალ (ლშხ.) „დღეობისათვის ხორბლის შეგროვება“.

მეგრულში დასტურდება ზორ- ფუძის ფონეტიკური შესატყვისი ზორმნაში ზირუა „შეგროვება“. შლრ. შესატყვისობა ო—ი: ქართ. ცოლი — მეფე ჩილი... ორი — ეირი, ზომავს — ზიმუნს.

ზორ/ზუერ ფუძეთა ირანული (პართული) წარმომავლობის შემთხვევაში მათი შეთვისება უნდა მივაკუთვნოთ საკმაოდ ადრეულ ხანას, შესაძლოა საერთო-ქართველური ენის დიფერენციაციამდელ პერიოდს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

ფიქრია მაკალათია

მრავლობითის -ებ, -ნ სუფიქსთა ტოპონიმიკური ფუნქციისათვის

სემანტიკური თვალსაზრისით მრავლობითის სუფიქსებით (-ებ, -ნ, -თა) გაფორმებულ ტოპონიმთა ანალიზისას გასათვალისწინებელია შემდეგი: ა) ტოპონიმში წარმოდგენილია აღსანიშნ გეოგრაფიულ ობიექტთა სიმრავლე (ეწერიები, წყაროები...), აღსანიშნ გეოგრ. ობიექტზე აღამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა და სხვათა სიმრავლე (ვაშლები, ზარნაძეები...), ან აღსანიშნ გეოგრ. ობიექტის მფლობელთა სიმრავლე (მოწამეთა, ცაბურთა...). ეს უკანასკნელი სახელები, როგორც აღნიშნულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში¹, წარმოწობით საზღვრულჩაყარდნილი მსაზღვრელი სახელებია; -თა აღნიშნავს მსაზღვრელის და არა საზღვრულის — აღსანიშნ გეოგრ. ობიექტის — მრავლობითობას. ბ) ტოპონიმში არ არის წარმოდგენილი აღსანიშნ გეოგრ. ობიექტის სიმრავლე. ნომინაციის პერიოდში ტოპონიმი აღსანიშნ ობიექტთა რეალურ სიმრავლეს ასახავდა, რაც მრავლობითის ფორმით წარმოდგენილმა საზღვრულჩაყარდნილმა ატრიბუტულმა მსაზღვრელმა იტვირთა (სასვილები — სასვილე ნაშულები...); რიც შემთხვევაში გაარსებითებული ზედსართავი სახელი თუ მიმღობა ინიათეთე საზღვრულის გარეშეა აღებული (მაღალაები, ნამბალი...).

აღსანიშნ გეოგრ. ობიექტთა მრავლობითობა ოდენ -ებ, -ნ სუფიქსებით გამოიხატება.

ფუნქციური თვალსაზრისით გასარკვევია: ა) მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი ტოპონიმი გამოხატავს რეალურ სიმრავლეს (მამულები — სახნავი ნაკეთები, წყაროები — წყაროები...), თუ ბ) მრავლობითის ფორმით წარმოდგენილ ტოპონიმს აღსანიშნ ობიექტთა რეალური სიმრავლე არ შეესაბამება (მორენი — მორევი, ხატნი — ხატი...).

-ებ, -ნ სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები, რომელთაც მრავლობითობის ფუნქცია არა აქვთ, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება². მაგ.: ფშ.: სადაონი — მთა, ჩიტუათ წყალი — წყარო, ქაონი — ქაონი... ხეეს: ბორღლის წყალი — წყარო, ნამპალი — სამფარი, კოლანი — ნანგრევები... გუღამაყ: ბატარა ვაყენი — ვაყე, გაღმანი — ფერდობი, ჭვარნი — ხატი... იმერ: წყაროები — წყარო, მამულები — მამული, მაღალაები — მამული...

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს: „ზოგიერთი სახელი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითის ფუნქცია აღარ აქვს; ასეთთა ეკლესიაში სახმარებელი წიგნები: ეამ-ნ-ი, დავით-ნ-ი... ვანსაკუთრებით ხში-

¹ ვ. თ. ფ. რ. ი. ა. გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 286—289.

² სანიშნულად აღებული გაქვს მხოლოდ რამდენიმე ეონიკურ-დიალექტურა ჭგუფის ტოპონიმიური მასალა, რომელიც დატულია მსუ ტოპონიმიის ლაბორატორიის არქივში.

რია ასეთი ფორმები გეოგრ. სახელებში: რკონ-ი, მსხლ-ებ-ი, კოშკ-ებ-ი, მოწამეთა, ჩხიკ-თა, ცაბურ-თა და სხვ.“³. ამ ტიპის სახელებთან ამოსავალში მრავლობითის შინაარსია დასაშვები. ზემოაღწერილ ტოპონიმთან (სადღე-ლოდ, ან ნომინაციის ეტაპისათვის) კანონიერ, რეალურ მრავლობითობასთან გვაქვს საქმე, თუ -ებ და -ნ სუფიქსებს სხვა ფუნქცია ეძებნება?

საყურადღებოა პ. ჭაჭანიძის შენიშვნა იმერული მიკროტოპონიმების მხარით: „-ებ, როგორც ტოპონიმთა მაწარმოებელი, ყოველთვის არ გამოხატავს მრავლობითობას და არც კრებითობაზე მიუთითებს, მხოველობაში გვაქვს ტოპონიმები: ჭალები, კოდილები, ნიკელები, ფონეები, ყაროულები, გვირგვინოულები... „წყარობებს“ რომ ეძახიან ადგილს, რე ერთი წყაროა; ამის ირგვლივ მდებარე დიდ ადგილს ეწოდა „წყაროები“. აქაც -ებ წყაროს მრავლობითობას კი არ აღნიშნავს. არამედ ამ წყაროს ირგვლივ არსებული ადგილის სიდიდეზე მიუთითებს“⁴.

ტოპონიმებთან მრავლობითის სუფიქსს მრავლობითის შინაარსი არ შეესაბამება შემდეგ შემთხვევებში.

1. ზოგ ტოპონიმთან პრაქტიკულად შეუძლებელია აღსანიშნი ობიექტის სიმრავლის დაშვება. მაგ.: ფშ.: გოგოქურნი — ხატი, ლეჯაის წყალნი — ნაკურთხი წყარო, ამოსაჩენნი || ნასოფლარამოსაჩენნი — გზა... ხეეს.: ხთიშო-ნელნი — ხატი, მარტუა ტყენი — „ხე დგა მარტო“...

2. ერთი გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელ ნებისმიერი წარმოების საზოგადო სახელს, რომელიც ტოპონიმად გამოიყენება, შეიძლება ახლდეს მრავლობითის სუფიქსით გაფორმებული ვარიანტი, მაგ.: ფშ.: მეედანი||მეიდანნი — სახნაეი, საქანელა||საქანელანი — გზა... ხეეს.: საგუბია||საგუბიანი — წყალი, კოლა||კოლანი — საძოვარი... მთიულ.: ნატუსი||ნატუსები — ფერდობი, წალკოტი||წალკოტები — მამული... იმერ.: ბოსლევი||ბოსლევები — სახნაეი, დაეცოლი||დაეცილები — საძოვარი... ქართლ.: ნადიკვარი||ნადიკვები — სახნაეი, ძირობა||ძირობები... რაჭ.: ნახიდვარი||ნახიდვრები, ნაფუძვარი||ნაფუძვრები...

3. მრავლობითის სუფიქსები შეიძლება დაერაოს:

ა) უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის (ან ოდენ უცნობი სემანტიკის) მიკროტოპონიმებს. მაგ.: ფშ.: აქრეშონი — მთა, მისეღურნი — ფერდობი... მთიულ.: აბერნი — სათიბი, ვაჭიშრელები — მთა... გულდამაყ.: ავაზნები — წყარო, კაკაშეშები — მამული... ქართლ.: თურქლებულები — ნაკვეთი, ჩაურმუბი — სათიბი... იმერ.: ჭერეხერთა||ჭერეხერთები — საყანე ადგილი, ქიშორლაქ||ქიშორლები — მთა, გულთები, მეჭერთები... გურ.: კამურნი||კამურები...

ბ) უცხო ენობრივი წარის მიკროტოპონიმებს. ეს ფაქტი შემჩნეულია მესხური ტოპონიმის მიმართ: „თურქული სახელწოდებანი ვანიცლიან ქართლის გავლენას... ხელშესახებია სუფიქსაცია. იგი ხშირ შემთხვევაში ქართულია და გამოხატულია -ებ-ით... ერთსიტყვიანია: ბაირები, თუმბები, ურლები, ჩაგოლები, საზლები, საზლულები, თანდურები... -ებ სუფიქსიანი კომპოზიტები: აქსიაღლები, თოფტაშები, აგრიოლები, ვერტაშები, ქეშბიჩანგები“⁵. -ებ სუ-

3 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 80.

4 პ. ჭაჭანიძე, წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები, ხელნაწერი (ინახება თსუ ტოპონიმის ლაბორატორიის არქივში).

5 მ. ბერიძე, ასპანძის რაიონის ტოპონიმთა ისტორიისათვის, სადიპლომო ნაშრომი, ხელნაწერი.

ფიქსით არის გაფორმებული თურქული ტოპონიმი ქართლშიც (დმანისის რაიონის ტოპონიმიკრა მასალის მიხედვით): აილები — სამოვარი, ალები — მინდორი, ობუთები — სათიბი, ულუზები — სამოვარი...

ამგვარად, მიკროტოპონიმებში მრავლობითის სუფიქსთა ხმარების ორი შემთხვევა დასტურდება: ა) რეალურ მრავლობითობას გამოხატავს, ბ) მრავლობითის ფორმას მრავლობითობის შინაარსი არ შეესაბამება.

მიკროტოპონიმიში -ებ, -ნ სუფიქსთა უნივერსალური ხმარების ფაქტი დღემდე საეტიმოლოგიური მსჯელობის საგანი არ ყოფილა.

ტოპონიმებთან, რომლებთანაც აღსანიშნავი ობიექტის რეალური მრავლობითობა არ ივარაუდება, -ებ და -ნ სუფიქსებს მატოპონიმებელი ფუნქცია უნდა, რასაც ადასტურებს შემდეგი:

ტოპონიმთა ფუნქციონირებაში გამოყენებულ მრავალრიცხოვან აფიქსთაგან (-ნ, -ებ, -თა, -ის, -ით, -ა, -იან, -ოვან, -ნარ და სხვ.), რომელიც ზიარია საზოგადო სახელებთან, მხოლოდ -ნ, -ებ და -ა სუფიქსებს აქვს განსაკუთრებული, გამორჩეული მდგომარეობა: იმ ფორმათა გვერდით, სადაც ეს აფიქსები თავისი ძირითადი ფუნქციით იხმარებიან, სხვა შემთხვევაში დაერთიან ტოპონიმად გამოყენებულ ნებისმიერი წარმოების საზოგადო სახელს (ან უცნობ ტოპონიმს). ამ ვითარების ენობრივ ფიქსაციას წარმოადგენს ორმაგი წარმოება, სადაც ისინი, როგორც წესი, მონაწილეობენ მეორეულ სიტყვაწარმოებით აფიქსებად.

3. ქაჯანიძე წერს: „წყალტუბოს რაიონის ტოპონიმების მთავარი თავისებურება ისაა, რომ აქ მეტად ფართოდ არის გავრცელებული კნაობითის -ა სუფიქსიანი წარმოება, -ა — როგორც დამოუკიდებელი მაწარმოებელი და -ა — როგორც ყველა სუფიქსის ჯანმსღებელი... მაწარმოებლად განხორციელებულია -ებ სუფიქსის გამოყენება“⁶. მსგავსი ვითარებაა დადასტურებული მესხურ ტოპონიმიშიც: „ორმაგი სუფიქსაციის შემთხვევაში სუფიქსების მეორე ნაწილად ძირითადად გვხვდება -ა და -ებ დაბოლოება. -ებ შვიძლება დაერთოს ა) როგორც თავსართ-ბოლოსართიან სახელებს, ისე ბ) მხოლოდ ბოლოსართით წარმოებულ ტოპონიმებს: ერკორტ-ულ-ა, სა-გუბარ-ი-ებ-ი“⁷.

ორმაგი სუფიქსაციისას ტოპონიმთა მიერ განვლილი გზა ორ სიტყვაწარმოებით საფუძვლად ეყრდნობა: პირველად (თხილ-იან-ი, ნარ-ოვან-ი, სა-ჩქეფ-ი...), რომელიც ზიარია საზოგადო სახელისა და ტოპონიმისთვის, თანაბრად გასაგებია როგორც საზოგადო სახელის, ისე ტოპონიმის დონეზე, და მეორეულს (თხილიან-ებ-ი, ნარ-ოვან-ებ-ი, სა-ჩქეფ-ენ-ი...), რომელიც მოცემულ შემთხვევაში ზემოთყვანილ ტოპონიმთა იდენტურია სემანტიკურადაც და ფუნქციურადაც, როგორც საზოგადო სახელი კი იმავე შინაარსის გადმოსაცემად მეორეულ სიტყვაწარმოებით მოდელს არ საჭიროებს. მსგავსადვე დადგება მართვით ტოპონიმთა საკითხიც: გ უ რ ა ბ ი ერთდროულად შეიძლება იყოს საზოგადო სახელი და ტოპონიმი, გ უ რ ა ბ ნ ი კი იმავე მნიშვნელობით მხოლოდ ტოპონიმის დონეზეა შესაძლებელი (გ უ რ ა ბ ი !! გ უ რ ა ბ ნ ი — ერთა ზორევი), მაშინ როცა, როგორც საზოგადო სახელი, გ უ რ ა ბ ნ ი მხოლოდ რამდენიმე მორევეზე ითქმის (ამ კუთხით მთის დიალექტები წარმოადგენენ განიხილვის, იხ. ქვემოთ).

⁶ ამ კუთხით -ა-ს ფუნქცია საკვლევი.

⁷ 3. ქაჯანიძე, დასახ. ნაშრომი.

⁸ 3. ბერიძე, დასახ. ნაშრომი.

-ებ, -ნ სუფიქსებს ოდენ მიკროტომონიმები საკიროებენ, არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება მაკროტომონიმებთან მათი ხმარებისა. ეს ფაქტი გასაგებია ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, ჭერ ერთი, მაკროტომონიმები თავისი სტაბილურობით გამოირჩევიან და ხშირი ხმარების წყალობით ყოველთვის საცნაურია მათი ტომონიმიური მნიშვნელობა, ამდენად, არც „გატომონიმებას“ საკიროებენ; მეორეც, მიკროტომონიმები ახლოს დგას საზოგადო სახელებთან და, ბუნებრივია, მხოლოდ მათ სკირდება საზოგადო სახელთაგან გამიჯნული ფორმის ძიება.

ტომონიმთა ზემოდასახელებულ ჯგუფებში აღსანიშნ ობიექტთა რეალური სიმრავლე, არც სადღისოდ და არც ნომინაციის ეტაპისათვის, არ ივარაუდება -ებ და -ნ სუფიქსთა მატომონიმებელი ფუნქციის ვლინდება შემდეგში: ერთი მხრივ, მართი ან ნებისმიერი წარმოების მიკროტომონიმებს გამოყოფენ საზოგადო სახელთაგან. მეორე მხრივ, უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის (ან უცხო ენობრივი წარმოშობის) მიკროტომონიმებს ქართულ ენობრაე გარსში წარმოვედგენენ, რითაც მათ ერთგვარად ათანაბრებენ ქართული წარმოების მიკროტომონიმებთან.

-ებ, -ნ სუფიქსთა ხმარება მატომონიმებელი ფუნქციით განაზღვრებული ეთნიკურ-დიალექტური ჯგუფების მიხედვით. -ებ-ის ხმარების მაქსიმალური სიხშირით იმერული ტომონიმთა გამოირჩევა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, ფშაურ-ხევსურულ მაკროტომონიმთაში მატომონიმებელი ფუნქციით -ნ არის გავრცელებული, რასაც, როგორც ჩანს, ხელა შეუწყობიან, რომ მხოლოდითის შინაარსის გამომხატველი ნარიანი მრავლობითის ფორმათა ხმარება რეალური ენობრივი ფაქტია საზოგადო სახელებშიც სახელთა კანონიერი მრავლობითობის ასახვის გვერდით (ამას ვერ ვიტყვით -ებ სუფიქსთან დაკავშირებით, რადგან რეალური მრავლობითობის გამომხატვის გარეშე მისი ხმარება მხოლოდ ტომონიმთაში შესაძლებელი, საზოგადო სახელებთან კი საერთოდ არ დასტურდება); ამ ფაქტზე ყურადღება გააპახვილა ი. გიგინეიშვილმა. ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსანში“ ფართოდ გავრცელებულ ფორმათა (იგულისხმება, ერთი მხრივ, მხოლოდითი თუ მრავლობითი რიცხვითა წარმოდგენილი ა დართული ფორმები: ღზინასა, რეტასა... ხორციელანი, ველანი, ხანანი... მეორე მხრივ, მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი ჰასდარები — შებმანი, ცნობანი — და ისეთი არსებითი სახელები, რომელთაც მოცემულ კონტექსტში არ შეიძლება რეალურად მრავლობითის შინაარსი ჰქონოდათ: რიდენი, სკამნი და სხვ.) შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ (ნ. მარი, იუსტ. აბულაძე, ი. იმნაიშვილი) წამოყენებულ ვარაუდებს, კერძოდ, „სკამნი“ ტიპის სახელთა მიმართ, აღნიშნავს:

ფორმები. რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება და ზელოვნურად შეთხზულ ფორმებადაა გამოცხადებული, ნამდვილად ხელოვნურა არ არის. ამ ტიპის წარმოება დღემდე დატულია ქართული ენის კილოებში — ფშაურში, ხევსურულში, მონღურში... სხვაგანაც... ფშ.: დაჭე, გენაცელე, სკამანი დაიდრე! დამიგავდებიან აი დო ვნი ცა... ხეეს.: ციხით ნარცხან გადმოვლურენ...“¹⁰ „ეს ფორმები ძალიან ახლოს დგას ე. წ. ემფატიკური მრავლობითის

* В. А. Никонов, Взаимосвязь в топонимике. М., 1964, стр. 47.

¹⁰ ი. გიგინეიშვილი, მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თვისებურების შესახებ „ვეფხისტყაოსანის“ ენაში, „მაცნე“, 1972, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, გვ. 1, 15, 117.

ფორმებთან, ოღონდ ეს მრავლობითი ისეთ სახელებს უჩნდება, რომელთაც აქვთ ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვის ფორმები; მაგრამ ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვის ფორმებისაგან ასეთი ფორმები იმით განსხვავდება, რომ წინაარსით მხოლოდ ერთი ბადალი ფორმებია. ამასთან, ასეთი ფორმები მხოლოდ პოეზიის ენისათვის არაა დამახასიათებელი, მაშასადამე, ხელოვნური წარმოშობისა კი არ არის, არამედ ხალხური მეტყველებიდან ჩანს შეტანილი ლექსის ენაში¹¹.

მრავლობითის ფორმები, რომელთაც რეალური მრავლობითის გაცემა არ ზეგაბამება, წარმოდგენილია -ნ სუფიქსით (როგორც „ვეფხისტყაოსანში“, იხეიხის დიალექტებში), მაშინ როცა სახელთა კანონიერი მრავლობითობა (ორი-ვეჯან) მეტ-ნაკლები უპირატესობით -ნ და -ებ სუფიქსებით გამოიხატება (მხოლოდითის წინაარსის გამოხატველ სახელებთან -ნ-ს ფუნქცია საკვლევი); მატონიმიური ფუნქციით კი საერთო ქართულის მასშტაბით ორივე სუფიქსი დასტურდება, თუნცა ფშაუკსა და ხევსურულში ორი ხმარებული სუფიქსიდან (-ნ, -ებ), როგორც მატონიმიური სუფიქსი, ოდენ -ნ ჩანს.

მეგრულში ქართული „ებ“-ის ექვივალენტ -ებ სუფიქსს არ უჩანს მატონიმიური ფუნქცია, რაც, შესაძლოა, იმიტომ იყოს შეპარობებული, რომ იგი რეალური მრავლობითობის აღნიშვნისასაც ძალიან იშვიათად დასტურდება მეგრულ ტოპონიმიში (გ. კაქარავა, პ. ცხადაია).

სადღეისოდ მრავლობითის სუფიქსთა მატონიმიური ფუნქცია ხელწესახები ჩანს არა მარტო ქართული, არამედ ქართველურ ენათაგან სვანური და კავკასიურ ენათაგან ქისტური (მანკისის ხეობა) მიკროტოპონიმიისათვის¹². მრავლობითის წინაარსის გამომხატველ გეოგრაფიულ სახელთა გვერდით შეინიშნება მრავლობითობის სუფიქსთა (სვან.: -არ, -ალ, -ერ, -ელ, ქისტ.: -Vშ) ხმარება მატონიმიური ფუნქციით; გამოიყოფა ქართულში დადასტურებულ ფორმები:

1. ერთი გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი ტოპონიმი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგ.: სვან.: შედარ||შედედერ ტყე („ჩრდილენი“)..., ლასთიარ — ვაკობი („სათრები“), ლქუშარ — გზა („საქვიშები“)... ქისტ.: ობოლაჲ ბონოშ — ნასოფლარი („ობოლას ნაბინაყარი“), განაჲ ბაქდარაშ — შთა („განას ბინა“), სვიმენაჲ ნაქდარაშ — ნასახლარი („სვიმენას ნაბინაყარი“)...

2. ერთი გეოგრაფიული ობიექტის ამსახველ ტოპონიმს ახლავს მრავლობითის სუფიქსით გაფორმებული ვარიანტი. მაგ.: სვან.: მუჰმუქ||მუჰმუქერ — საოიბი (მუჰ — ტბა“), სუიფ||სუიფარ — ყანები („მოედანი“), ლატფ||ლატფი — ყანები (ტაფ — ფერდობი), სგიმურ||სგიმირელ — ყანები (სგიმ — მყავე წყლი)... ქისტ.: თოქუმ||თოქუმაშ — მეწყერი („ნახავი“), ჭყანტ||ჭყანტაშ — ქობიანი ადგილი („ჭყანტი“), რიყ||რიყაშ — რიყე („რიყე, ჭალა“)...; დეფო ნაჯიკ კა||კაშ — სახნავი („დეფოს ნაჯიკი ნაქეთი“), სოსი ფარას||ფარასაშ — სძოვარი („სოსის ფარეხი“)...

3. არანათელი სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმს ახლავს მრავლობითის სუფიქსით გაფორმებული ვარიანტი. მაგ.: სვან.: კარცხწი||კარცხწინი — ყანები, ნალ||ნალიერ — სათიბი, ტემთერ — ტემთარ — საძოვარი, წელ-

¹¹ ი. ვ. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

¹² სხვა ენათა ტოპონიმიური მასალა ამ კუთხით საკვლევი.

დერწელდრიელ — სახნაი, ლამლაჟილამლაჟიერ — ყანა... (ქისტურში უცნა ტოპონიმებთან -vშ-ს ხმარება, პანკისის ხეობის ტოპონიმიური მასალის მიხედვით, არ ჩანს).

მიკროტოპონიმიაში მრავლობითობის სუფიქსთა ტოპონიმიკური ფუნქციით ხმარების ფაქტი აღნიშნულია ტოპონიმიკურ ლიტერატურაში¹³.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკვლევი, თუ რატომ იძენს ესა თუ ის სუფიქსი მატოპონიმებელ ფუნქციას. ამა თუ იმ სუფიქსს მატოპონიმებელ ფუნქცია ექნება, თუ იგი შენდევ პირობებს (ან რამდენიმეს მიანიც) აკმაყოფილებს:

1. ტოპონიმთან არა აქვს თავისი ამოსავალი (საზოგადო სახელებთან და დასტურებული) ფუნქცია.

2. საზოგადოსახელისეულ მიკროტოპონიმებს განასხვავებს და მიჯნავს საზოგადო სახელთაგან.

3. მარტივ ან ნაწარმოებ ტოპონიმს იმავე გეოგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად ახლავს სუფიქსიანი ვარიანტი.

4. ერთეის უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის (ან უცხო წარმოშობის) ტოპონიმებს და აღორძებს „ნაცნობი“ ენობრივი გარსით.

მიკროტოპონიმიაში ამა თუ იმ სუფიქსის მატოპონიმებელი ფუნქციით ხმარების ფაქტი მნიშვნელოვანია ტოპონიმთა ტოპონიმიკური კვლევის თვალსაზრისით, რადგან: ა) საშუალება გვეძლევა გავმიჯნოთ შაკრო- და მიკროტოპონიმია, ბ) იკვეთება ტენდენცია საზოგადოსახელისეული ტოპონიმების ტოპონიმიკურ მოდულებთან გათანაბრებისა, გ) ხელშესახები სდება მიკროტოპონიმთა მიერ განვლილი გზა საზოგადო სახელიდან საკუთარ სახელამდე.

П. Н. МАКАЛАТИА

ТОПОНИМИЧЕСКАЯ ФУНКЦИЯ ПОКАЗАТЕЛЕЙ МНОЖЕСТВЕННОГО ЧИСЛА -ებ -ებ, -ბ -პ

Резюме

Как отмечено в топонимической литературе (В. Шпербер, В. Никонцов, В. Мокшенико...), формы множественного числа имеют топонимическую функцию.

¹³ ვ. ნიკონოვი წერს: „Грамматический показатель множественности тут (იგულისხმება: Мосты, ფ. შ.) означает вовсе не „несколько мостов“, а „село у моста“, т. е. значение его чисто топонимическое: образовать название села от основы мост, обозначить не сам мост, а село возле него. Собственно топонимическую функцию формы множественного числа превосходно показал В. Шпербер на примере топонимическом материале W. Sperber, Die Bedeutung der Plurals bei sorbischen Flurnamen. „Zeitschrift für Slawistik“, Berlin, 1958, Bd. III, №2—4, стр. 310—322). Можно предположить, что такое употребление развилось под влиянием обычных топонимов в форме множественного числа, обозначавшей реальное множество, например, названия населенных пунктов, первоначально означавшие их жителей. Отвлеченный от таких названий показатель множественности стал ощущаться как топонимобразующий формант“ (В. А. Никонцов, დასახ. ნაშრ., გვ. 96). საყურადღებოა ე. შოკიენკოს აზრი: „формальное отличие многих топонимов—употребление множественного числа. Оно используется для различия топонима и ашелятива“ (В. М. Мокшенико. Закон относительной негативности и репликальная топонимика, Вопросы топонимстики, №6, Свердловск, 1971, გვ. 82.

В грузинских микротопонимах (материал данного исследования ограничен. Пользуемся региональным материалом, который находится в топонимической лаборатории ТГУ) показатели множественности -ებ -ებ, -ბ -ბ часто не выражают множественность обозначаемых объектов:

ა) Очень распространена модель с показателями множественности -ებ, -ებ, -ბ, -ბ, но множественность не означает реальной множественности объектов. Здесь слово, грамматически оформленное как множественное число, обозначает единственный объект (ლეგაის წყალნი ლეგაის ცგალი რძინი იმ. ლეგა, священная вода...).

ბ) Для обозначения одного объекта употребляются параллельные формы в единственном и множественном числах (ბოსლევი || ბოსლევები boslevi || boslevebi — пахатное поле...).

ვ) К микротопонимам, структура и семантика которых неясна (или иноязычного происхождения), добавляются показатели множественности (თურქლებულიბი turklebulebi — участок земли... უღუბები unqubebi — пастбище...).

В результате нашей работы нам представляется возможным сделать вывод: показатели множественности -ებ -ებ, -ბ -ბ имеют топонимическую функцию. Они, во первых, микротопонимов отделяют от нарицательных имен (например, какое-нибудь გურაბი gurabi «омут» одновременно может быть и нарицательным именем и топонимом, а გურაბნი gurabni, с показателем множественности, обозначая одни омут, встречается только в топонимии), во вторых, микротопонимам с заглавной структурой и семантикой (а также иноязычного происхождения) дают грузинскую языковую модель.

Указанное явление наблюдается в материале и других языков (например, из картвельских языков прослеживается в сванском, а из кавказских — в чеченском — по материалам Панкисского ущелья...).

(წარმოადგინა სპარტელოს ს.რ ჰეცხერეზაია აკადემიის
აკადემიკოსმა შ. შიბაგურმა)

ირინა მელიქიშვილი

ე>ი პროცესი ზანურ დიალექტებში და ხმოვანთა შესატყვისობის ერთი დარღვევა ქართველურ ენებში

ზანურ დიალექტებში დასტურდება ე-ს ი ხმოვანთა შეცვლის შემთხვევები. იქ, სადაც ქანურში ე გვაქვს, მეგრულში ზოგჯერ ი იწენს თავს¹. მოვიყვანო შესაბამის მასალას:

ქან. ნენა: მეგრ. ნინა „ენა“

ქან. ბენეხი/ბინეხი: მეგრ. ბინეხი „ვაზი“

ქან. კვენური: მეგრ. კვინორი „კვერნა“

ქან. ლემში: მეგრ. ლეში/ლიში „ნემსი“

ქან. გენი/ჟენი/ნჯენი: მეგრ. გენი/გინი „ხზო“.

წარმოდგენილი მასალის ანალიზი საფუძველს იძლევა ე>ი გადასვლა პოზიციური ხასიათის ცვლილებად მივიჩნიოთ. ეს გადასვლა, როგორც ჩანს, ხდება უპირატესად წინაენისმიერი სონორის — ნ-ს წინ, თუმცა მოსალოდნელია სხვა წინაენისმიერი ჩქამიერების წინაც, როგორც ამას ლიში<ლემში ფორმა მოწმობს.

ქართულიდან მეგრულში ნასესხებ სიტყვებში ე ხმოვნის ნაცვლად ი ამავე პოზიციაში — წინაენისმიერი სონორი ნ-ს წინ გვხვდება. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

ქართ. ძღვენი — მეგრ. ძღვინი

ქართ. მდელი (გურ. მენდალი) — მეგრ. შინდალი

საინტერესოა ინგირ/ინგერ გეოგრაფიული სახელის ფორმაც, რომლის მიღების გზა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ეგურ—ენგურ—ინგურ—ინგირ. ამოსავალი ეგურ- ფორმა დატულია XVI ს-ის ძეგლში².

როგორც ვხედავთ, ამ სამი სიტყვის ფორმაც ეთანამება ჩვენს ვარაუდს ე>ი პროცესის პოზიციური ხასიათის შესახებ. აქაც გადასვლას წინაენისმიერი სონორის წინ აქვს ადგილი.

აქვე შეიძლება განვიხილოთ კიდევ ერთი მეგრული ფორმა, რომლის შესახებ პირის გადაწყვეტით თქმა, ნასესხებ მასალას წარმოადგენს იგი თუ ქართულის შესატყვის ფორმას. ესაა მეგრული ლინჯ- ქართული სპილენძის ფარდალ³.

¹ მეგრულ დიალექტებში ე/ი მონაცვლას შესახებ იხ. И. Клишвидзе. Грамматика мингрельского (ингушского) языка. СПб. 1914. გვ. 011; ე>ი გადასვლა სპორადულ პროცესად არის მიჩნეული თ. გამყრელიძის და ვ. მაჭავარიანის მონოგრაფიაში; სონანტთა სესტმა და აბლატუა ქართულურ ენებში, თბ., 1955, გვ. 168; აგრეთვე გ. მაჭავარიანის შრომაში: საერთო-ქართველური კონსონანტური სასტემა, თბ., 1965, გვ. 43.

² გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი, 1962, გვ. 65.

³ Ал. Цагарели. Мингрельские этюды. Опыт фонетички мингрельского языка. СПб. 1880. გვ.49; Г. А. Климов. Этимологический словарь картвельских языков, М.,

თუ ერთმანეთთან დავაჯავშინებთ ქართულ და მეგრულ ფორმებს (იქნება ეს სესზება თუ შესატყვისობა), აქაც ამოსავალი ე ხმოვნის ი-დ ცვლასთან გვექნება საქმე ნ-ს წინა პოზიციასში.

ხმოვანთა და თანხმოვანთა პოზიციური ურთიერთგავლენა ისეთ ხშირ მოვლენას არ წარმოადგენს, როგორსაც საკუთრივ თანხმოვანთა და საკუთრივ ხმოვანთა ურთიერთგავლენა. მეგრულ-ქანურში იგი ელინდება ხმოვანთა ცვლაში ბავისმიერი თანხმოვნების, განსაკუთრებით ვ და შ თანხმოვნების მეზობლობაში¹. თანხმოვანთა ასიმილაციური გავლენა ხმოვნებზე საკმაოდ გავრცელებულია ინდო-ევროპულ ენებში².

ე> ი გადასვლის პოზიციის დადგენას მნიშვნელობა აქვს ქართულ-ზანურ-ქანურ შესატყვისობათა თვალსაზრისითაც, რადგან კანონზომიერი ე-ს ნაცვლად ი-ს ზანურსა და სვანურში ჩვეულებრივ სწორედ იმ პოზიციებში ვხვდებით. სადაც იგი მეგრულში ელინდებოდა³.

გარდა ზემოთ განხილული ფორმებისა, სადაც ქართული ე ხმოვნის შესატყვისად მეგრულში ი გვექნება, ქანური კი შედარებით არქაულ გახმოვანებას წარმოვადგენდა, არის კიდევ ფორმათა ერთი რიგი. რომლებშიც ქართული ა-სა და ე-ს შესატყვისად როგორც მეგრულში, ისე ქანურშიც ი-ს ეპთულობთ. მოვიყვანთ ამ ფორმებს.

1. ქართ. ანწლი: ქან. ინჭირი: მეგრ. ინჭირი/ინჭკრი: სვან. ანწვე
 2. ქართ. ათი: ქან. ვითი: მეგრ. ვითი: სვან. აუნდ
ქართ. დედა: მეგრ. დიდა: სვან. დი
ქართ. შენ: ქან. ხოფ. სინ: ვიწ. არქაბ. ათინ. სი: მეგრ. სი: სვან. სი
ქართ. ზენა: ქან. უინ: მეგრ. უინ/უი: სვან. უი
ქართ. შუმა: ქან. დიშქა: მეგრ. დიშქა: სვან. ჴქქ
 7. ქართ. ძეწნა: მეგრ. ჴიჭონ, ჴიჭონ: სვან. ჩიჭუნდ
- ყველა ამ ფორმაში ი-ს მეგრულ-ქანურში ვხვდებით წინაენისმიერი სონორი ნ-ს ან წინაენისმიერი ჩქამიერი დ, თ, შ, ჴ-ს წინ.

1964, გვ. 153; ე. კლაპოჯი, სენურ სან ჴუნქანეღუნქან ჴანუადან ანეღუნ ფორმად თელს. მ. ინდო-ევროპულ ქართულ დიალექტებში მადეკრადან მოქანარდ მიიწუნა. ასეთივე წარმოავლობისად მანანა სომხური აყჩისმ ჴ. ჴუნქანს. იხ. მ. ანდრონიკაშვილი, სარკვევები ირანულ-ქართული ენობრივ ურთიერთობებში, თბილ. 1966, გვ. 18, ეს სიტყვა საშუალო ირანულიდან ხელახლად უნდა ჩინდეს ნანესებში ქართულს, ამჟამად უკვე ბინეპოლ-ს სხვათ. მ. ანდრონიკაშვილი. დას. ს. სარკონი, გვ. 362.

² ჴ. გუდაევა, რს-ში გადასვლის ჴოგიერთი შემთხვევა ჴანურ (მეგრულ-ქანურ) ენაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXV, № 1, 1960.

³ ეხოზელ თანხმოვანთა ვარდნით სი-სათი ცვლილება შეახებ რომანულ ენებში იხ. მაგ. Э. Бурский, Основы происхождения языков. М., 1952, გვ. 410. ასეთი ცვლილებები სწრაფ გეგმეულ ენებშიც. იხ. მაგ., Л. Р. Зиндзар, Т. В. Строева. Историческая фонетика немецкого языка. М., 1965.

⁴ ქართ. ე-ს შესატყვისად ი-ს გამოყენება შეახებ ჴანურში იხ. გ. როგაევა, ბერძნულ-სლავონულ-დასავლურ შემთხვევასათვის ქართულ ენებში, ივე, XII, 1960, გვ. 161; მისივე ე-ს ხმოვანთა დანაწილებასათვის ქართულ ენებში, თან ფოლოგიკის ფაქტობების XIV სასესიონგრო სესიის თეზისები, 1970, გვ. 25. Г. А. Климов, Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка ошосы. Изв. АН СССР, Отд. лит. и языка, 1960, 19, გვ. 23; იხ. აგრეთვე მისივე: Этимология и структура картвельских языков, Введение. М., 1961, გვ. 39. К. Н. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der süd-kaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, გვ. 35-36.

სანამ მხოლოდ მეგრული და ქანური ფორმების ურთიერთობას, ან ქართულიდან მეგრულში ნასესხები სიტყვების ფორმას განვიხილავდით, ექვს ან იწვევდა ის, რომ ე ხმოვნის პოზიციურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე. ქართული შესატყვისი ფორმების მოხმობის შემდეგ ამოსავალი ხმოვნის საკოზიხი შედარებით რთულდება: მეგრულ-ქანური ი წინანისმიერების წინ ელინდება ქართული ე და ა ხმოვნების შესატყვისად, ქართული ე და ა ხმოვნების კანონზომიერ შესატყვისს მეგრულ-ქანურში კი შესაბამისად ა და ო ხმოვნები წარმოადგენენ. ამდენად, გასარკვევია, მხოლოდ ე > ი გადასვლას აქვს ადგილი წინანისმიერი თანხმოვნიების წინ ზანურში, თუ იმავე პოზიციასში ა > ი და ო > ი გადასვლათა შესაძლებლობაც უნდა დავეუშვათ. ქვიმოთ შევეცდებით ვუჩვენოთ, რომ შესატყვისობანი ქართ. ე : ზან ი და ქართ. ა : ზან ი ეკვავ ე > ა პროცესის მოქმედებასთან არის დაკავშირებული.

ზემოთ ჩამოთვლალ შესატყვის ფორმათაგან გამოიყოფა ერთი ჯგუფი, რომელშიც ქართ. ე და ა ხმოვნების შესატყვისად ი ხმოვნის გამოვლენა ზანურში ნაუმლაუტარი ე-ს წინაენისმიერ თანხმოვნებთან ასიმილაციის შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ⁷. ეს ფორმებია: ზან. ინჭირ- ვით- მეგრ. ზიჭონ-, ჰიჭონ-.

ინჭირ- ფორმის ანლაუტის ვოკალიზმს ანომალიურად მიიჩნევენ გ. კლიმოვი⁸, გ. მაქაეარიანი⁹. ნ. მარი, რომელსაც ამ შესატყვისობის გამოვლენა ეკუთვნის, ადადგინდა არქეტის თავიიდური არასიბილანტური სპირანტი¹⁰. გ. მაქაეარიანიც სპიროდ თვლის ამ ფორმისათვის კონსონანტური ანლაუტის აღდგენას. არქეტისი *ღანწლ წინაეღარული რიგის მკლერი ნაპრალოვანი თანხმოვნით ანლაუტში, მისი აზრით, აგვახსენიენებს სვანური ფორმის თავიიდურის კონსონანტის მსა(ღ) და მეგრული ფორმის თავიიდურის ეოკალიზმსაც. ზანურში თავიიდური *ო ხმოვნის ი-დ შეცვლას იგი უკავშირებს *ღ-ის დაკარგვას ანლაუტში¹¹.

ზანური ანლაუტის ვოკალიზმის ასხნა შესაძლებელი ჩანს უმლაუტსა და E-ის ასიმილაციურ გავლენაზე დამყარებით. ქართული აწლის შესატყვისად სავართო ზანურში უნდა მოველოდეთ *ონჭირ- ფორმას, რომელიც უმლაუტის გზით მოგვემდა *ტენჭირ-ს, აქედან კი E-სთან ასიმილაციის გზით მივალდებოდ მეგრულსა და ქანურში დადასტურებულ ინჭირ-ს.

რაც შეეხება სვანური ანლაუტის გ-ს, გასახარებელია მ. ქალდანის მიერ შემოთავაზებული ასხნა: ეს ფონემა განვითარებული უნდა იყოს ანლაუტის ო-ს უმლაუტის გზით მიღებული ტე კომპლექსის წინა პოზიციასში. მ. ქალდანის მიერ ნაყარადევიც ეს ასეთია: ზანურიდან ნასესხები *ონჭირ- ბოლოკიდურის მოკვეციტა და ემლაუტით სვანურში იძლევა *ტენჭ- ფორმას; ტ-ს წინ გ-ს განვითარებით ვიღებთ ფორმას *გტენჭ, ტ-ს მეტათეზისით მიიღება *გენჭტ, ტ-ს

⁷ ისტორიულ ზანურში უმლაუტის არსებობაზე მიუთითებენ თ. გამყრელიძე და გ. მაქაეარიანი შრომებში: სონანტთა სისტემა და ანლაუტი ქართულურ ენებში, გვ. 161 და 162. სახელურ ფუძეებში ქართული ე და ა-ს შესატყვისად ზანურში ე-ს გამოვლენას ისინი უმლაუტის მოქმედებით ხსნიან.

⁸ Г. А. Климов, Этимологический словарь, გვ. 44.

⁹ გ. მაქაეარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 75.

¹⁰ Н. Марр, Тубал-каинский вклад в сванском, Изв. АН СССР. 1912, გვ. 1095-1096.

¹¹ გ. მაქაეარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 75. იხ. აგრეთვე: თ. გამყრელიძე, გ. მაქაეარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 82.

გამათრთოებელი მოქმედების შედეგად კი — ფორმა *განჭქ¹². ამ მსჯელობას შესაძლებელია მხოლოდ ის დაეუმატოთ, რომ უმლაუტის მოქმედების შედეგი ზანურიდან ნასესხებ ფორმაშივე არ არის გამორიცხული.

ქართული ათი-ს შესატყვისად ზანური ვითი ნაუმლაუტარი *ვეთი-ს გაე-ლით მიიჩნიათ მიღებული თ. გამყრელიძეს და გ. მაქავარიანს¹³.

შესატყვისობისათვის ქართული ძეწნა: მეგრული ზიჭონ-, ჰიჭონ-, თ. გამყრელიძე და გ. მაქავარიანი აღადგენენ *ძიწინ- არქეტის¹⁴. ამ არქეტისის საერთო-ზანური შესატყვისი ა განხმევანების შემცველი უნდა ყოფილიყო. შესაძლებლად მიგვაჩნია ამოსავალი ა-ს ე-ში გადასვლა კვლავ უმლაუტის მოქმედების შედეგად მივიჩნიოთ, რადგან, ამავე ავტორების აზრით, უმლაუტი როგორც მოქმედი ფონეტიკური პროცესი წინ უსწრებდა სონანტთა ეოკალიზაციას.

ამ ტიპის გადასვლათა ე ხმოვნის შემცველი გარდამავალი საფეხური დატულია იმ ქანურ ფორმებში, სადაც ქართული ე-ს შესატყვისად კვლავ ე-ს ეხდებიან. ასეთებია, მაგალითად, ჩვენ მიერ განხილულ ღორმთავან ქანური ლეშში ქართული ნემსის შესატყვისად; ქანური ბენეხი ქართული ვენახის შესატყვისად. ქანური კვენური ქართული კვერნას შესატყვისად. ამ ფორმებში ე-ს გამოვლენა ნაცვლად მოსალოდნელი კანონზომიერი ა განხმევანებისა, უმლაუტის მოქმედების შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ქანურ ლეშ- და კვენურ-ფორმებს უმლაუტის შედეგად მიღებულად მიიჩნევენ თ. გამყრელიძე და გ. მაქავარიანი¹⁵.

საგულისხმოა, რომ უმლაუტისა და მეგრულში გავრცელებული ასიმილაციური პროცესების საშუალებით ქანური ბენეხი და მეგრული ბინეხი ქართულ ვენახს შეიძლება დაეუკავშიროთ, როგორც კანონზომიერი შესატყვისის ფორმები¹⁷. ქართული ვენახის შესატყვისად საერთო-ზანურში უნდა ვივარაუდოთ *ზანახ-ი, აქედან უმლაუტის გზით მივიღებდით *ზანეხ-ი ფორმას, შემდეგ ხმოვანთა დისტანციური ასიმილაციის გზით ბენეხ-ს¹⁸, რომელიც ქანურშია დადასტურებული და ბოლოს კი ნ-ს. ასიმილაციური გავლენის შედეგად მეგრულში დადასტურებულ ბინეხ-ს. თავიკიდური ბ მეგრულ-ქანურ ფორმებში ქართული ე-ს შესატყვისად არ წარმოადგენს სრულიად იზოლირებულ ფაქტს.

12 მ. ქალაქანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სასტემა სვანურში, თბ., 1969, გვ. 85—86.

13 თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 168.

14 დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

15 დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

16 თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 160; 169; კვენურ ფორმის მიღების გზა ავტორებს ასე აქვთ წარმოდგენილი: საერთო-ზანური *კუანარ-ი > *კუენარ-ი (უმლაუტი) > კვენური (ქანური ფორმა; მარცვლოვანი სონანტის ეოკალიზაციით).

17 შტრ. გ. როგავა, ეი ხმოვანთა მიმართებისათვის ქარაველურ ენებში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის X IV სამეცნიერო სესიის თეზისები, 1973, გვ. 25. ამ სიტყვის შესაძლებელი ნასესხობა ინდოევროპულიდან (შტრ. ი-ე *poin-u-ko-s „ახვეული“ რუსული ВЕРОХ. Г. А. Цитомон, Этимологический словарь... ამ გამორიცხავს მის ქართულ-ზანურ გალიფერენტობულ მასალად მიჩნევას, გვ. 83.

18 წინამდებელი ხმოვანზე მომდევნო მარცვლის ხმოვნის ასიმილაციური გავლენის შესახებ მეგრულ-ქანურში იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 169.

რადგან აუსლაუტში ქართული ვ: ზანური ბ არც თუ იშვიათი მოვლენაა¹⁹. შდრ. ქართული ტყავი: მეგრული ტყეხი; ქართული თივა: მეგრული თიფი, სეან. ლიშღაბ „შრომა, ქმნა“ ქართული კრავი: მეგრული კირიხი; ქართული ტყვი: მეგრული ტეხი.

მეგრ. ლიწჷ- ფორმაც (თუ იგი ქართული სპილენძის შესატყვისად მივაჩნევთ, ამის სასარგებლოდ კი თანხმობანთა შესატყვისობა ქართ. ძ: მეგრ. ჭ მეტყველებს) უმლაუტის საფეხურის გავლით უნდა იყოს მიღებული: *ლაწჷ > *ლუწჷ (უმლაუტით) > ლინჯი (ნ-ს ასიმილაციური გავლენის შედეგად).

ამრიგად, ფორმათა ამ ჯგუფში (მეგრულ-ქანური იწჷირ-, ვით-, მეგრულ ბინჯ-, კვინორ-, ლიშ-, ლინჯ-, ზიჭონ-/ვიჭონ-) ამოსავალი ა და ო ხმოვნები კი არ გადადის წინაენისმიერების წინ ი-ში, არამედ ა და ო ხმოვნებისაგან უმლაუტის გზით ნიღბული ე ხმოვანი.

ფორმათა მეორე ჯგუფში ნაუმლაუტარი ე-ს შემცველი საფეხურის დაწევა ვერ სერხდება, რადგან ეს ფორმებზე ან ხმოვნით არის დაბოლოებული, ან ისეთ მეტყველების ნაწილებს წარმოადგენენ, რომელთაც სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ დაერთვით. სამაგიეროდ, ხერხდება ამ ფორმათა საერთო ფონეტიკური თვისების გამოყოფა, რომელიც ამოსავალი ხმოვნის ი-ში გადასვლის ვ-მომწვევ პირობად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ფორმებში ი-ში გადასული ხმოვნის არა მარტო მომდევნო, არამედ წინამავალი თანხმოვანიც წინაენისმიერია. მართლაც, ნინა, დიდა, დიშჷა, სინ²⁰, შინ²¹ ფორმებში წინაენისმიერია როგორც ხმოვნის წინამავალი, ისე მომდევნო თანხმოვანი.

ვფიქრობთ, ასეთი პოზიციის შემადგერხებლად მოქმედებდა საერთო-ქართველური ე ხმოვნის ზანურში ა ხმოვნად გადასვლაზე. ზანური ხმოვანთადაც წვევის შედეგად ამ პოზიციის ე ხმოვანი უნდა დარჩენილიყო. ეს ე ხმოვანა შემდეგ თანხმოვანთა მასიმილირებული გავლენის წყალობით ი ხმოვანში არს გადასული.

საყურადღებოა, რომ ფორმათა ამ უკანასკნელი ჯგუფის შესატყვისად სუანურში ი ხმოვნიან ფორმებს ვადასტურებთ: ნინ, დი, სი, ში; ვფიქრობთ, აქვე ჩვენ მიერ განხილულ ფონეტიკურ პროცესთან: წინაენისმიერი თანხმოვნების გავლენით ე-ს ი ხმოვანში გადასვლასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამრიგად, ეს პროცესი სპორადულად სუანურშიც იჩენს თავს. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ამ პროცესის მოქმედების შედეგად უნდა იყოს მიღებული სუანურში I პირის ნაცვალსახელის ფორმა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ I და II პირის ნაცვალსახელთა ზანური და სუანური ფორმების ანალიზი საჯულისხში მასალას იძლევა ჩვენთვის საინტერესო პროცესის პოზიციის გარკვევისათვის.

მეორე პირის ნაცვალსახელის საერთო-ქართველური *სენ არქტიპიდან, რომელიც საკმაო დამაჯერებლობით არის აღდგენილი ქართ. შენ: ზან. სინჯხ:

¹⁹ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი შესაძლებლად მიიჩნევენ ე/ბ მინაცვლად საერთო-ქართველურ ეოქას მიეწეროს: დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

²⁰ შდრ. თ. გამყრელიძის მიერ წარმოდგენილი ახსნა ზან. სი „შენ“ ფორმის ეოქას მისა. იგი მას რედუქციის შედეგად მიღებულად მიიჩნევს. იხ. პ. ს. ი: სიბილანთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959, გვ. 37.

²¹ ზან.-სუან. ფი ფორმის ეოქასზე ი. პ. შვიდლი თ. გამყრელიძის მიერ შემოთავაზებულ ახსნას ავრცელებს: Studien zur Rekonstruktion, გვ. 35. ქართ. ენა: მეგრ. ნინა, ჭან. ზენა: სუან. ნინ-, ნჯნ- შესატყვისობისათვის *ნენა არქტიპის აღდგენს ვ. კლიმოვიც მთი: филологический словарь, გვ. 147.

სენ. სი შესატყვისობის საფუძველზე, ზანურსა და სვანურში იდენტურ ფორმას ვიღებთ. საპირისპიროდ ამისა, პირველი პირის საერთო-ქართველური *მენ არქეტიპი განსხვავებულ რეფლექსებს იძლევა ზანურსა და სვანურში. ზანურში ქართული მენ/მენ-ს შესატყვისად ეპოულობთ მან (ქანტრა) და ჰა (მეგრული) ფორმებს, ხოლო სვანურში მეორე პირის ნაცვალსახელის მსგავსი განვითარების შედეგად ვიღებთ ფორმას ში. რით უნდა აიხსნას ერთ შემთხვევაში ერთგვარი განვითარება ზანურსა და სვანურში (სი II პირის ნაცვალსახელისათვის ორივე ენაში), ხოლო მეორე შემთხვევაში განსხვავებული ფორმების არსებობა (ში I პირის ნაცვალსახელისათვის სვანურში და მან/მა — ზანურში)? რელექციის პროცესის განხორციელებისათვის აქ განსხვავებულ პარობებს ვერ ვხედავთ, ამიტომ მხოლოდ რელექციაზე დამყარებით ამ ფორმათა სასეს ვერ ავსხნით.

ვფიქრობთ, ახსნა იმ ერთადერთ სხვაობას უნდა დაემყაროს, რომელიც ამ ერთეულთა ბეგრით ფორმაში არსებობს. *მენ და *ხენ არქეტიპები თავიკიდური თანხმოვანებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამთგან პირველი ლაბიალურია, მეორე კი — წინაენისმიერი. წინაენისმიერ თანხმოვანთა გარემოცვაში მოქცეული ე *ხენ არქეტიპისა არ გადადის ა-ში, შენარჩუნებული *ენ მიმდევრობა კი, ისევე როგორც ზემოთ ჩამოთვლილ სხვა ფორმებში, იმ მიმდევრობას იძლევა. რაც შეეხება ფორმას *მენ, აქ ასეთი გარემოცვა არა გვაქვს, ამიტომ არაფერი უშლის ხელს განხორციელდეს ზანურისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა გადაწყვეა ე>ა და მივიღოთ ფორმა მან>მა. ან მიმდევრობის გადასვლა იმ მიმდევრობაში კი, როგორც ენახეთ, არ ხდება.

რაც შეეხება სვანურ ფორმას — ში, იგი მიღებულია ამოსავალი *მენ ფორმისაგან ჩვენ მიერ განხილული ენ>იმ პროცესის შედეგად. არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ყველა სვანურა ფორმა, სადაც ჩვენთვის საინტერესო პროცესი განხორციელდა, ერთმარცვლოვანია და რჩენს ბოლოკიდური ბეგრების მოკვეცისაგან მიღრეკილებას. ამიტომ სვანურში ენ>იმ ასიმილაციური პროცესის განხორციელების პირობად სარელექციო პოზიცია უნდა მივიჩნიოთ. მეგრულში ასეთი კავშირი სარელექციო პოზიცია და ენ>იმ პროცესს შორის არ ვლინდება.

ზემოგანხილულ ფორმათა ნაწილში (დიდა, ნინა ტიპის ფორმებში) ი-ს გამოვლენის ახსნა მომდევნო ხმოვნის დისიმილაციური გავლენის გზით²² გამყენდებოდა, რადგან, ჭერ ერთი, ასეთ ახსნას შეიძლება დაექვემდებაროს ჩვენ მიერ განხილული ფაქტების მხოლოდ ერთი ნაწილი და, მეორეც, ხმოვანთა დისტანციური ურთიერთგავლენა ქართველურ ენებში ჩვეულებრივ ასიმილაციურ ხასიათს ატარებს და არა დისიმილაციურს. ასე მაგალითად, ფორმებში: მლართე < მოლართე „წამოვიდა“, მარძგვანი < შორძგვანი „მარჯვენა“. შდრ.

22 გ. როგაეა, ე/ო ხმოვანთა მიმართებისათვის ქართველურ ენებში. გ. როგაეას მოხსენებაში მოყვანილი ფორმები. რომლებიც აქ არ იყო განხილული, ასე შეიძლება აიხსნას: ფორმაში ვილანი < ვილანი ე>ო გადასვლას კვლავ წინაენისმიერის წინ უნდა ქონდეს ადგილი, რადგან იგი ვენდანი ფორმისაგან არის მიღებული. მონაცვლეობა ე/ო ფორმებში ხვილარი/ხველარი „ხვლიარი“ ასევე ხმოვანზე თანხმოვნის ასიმილაციური გავლენის შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, ოღონდ აქ მასიმილირებლად წინამაჟლი ვ გვევლინება, ხოლო ამოსავალ ფორმად ხვილარი მიგვჩანია. ასეთ პროცესს სპორადულად უნდა ქონდეს ადგილი ზანურში: შდრ. მონაცვლე ფორმები, სადაც ამოსავალი აშკარად ი არის: მეგრ. ჰვიმ-/ჰვემ-ქართ. წვიმა), მეგრ. ტვინ-/ტვენ-, (ქართ. ტვინ-); ქან. მჰირ-/მჰვერ-/შჰვერ-/ჰვერ- (მეგრ. ჰირ-, ქართ. ფჰვილ-).

მოთხვევი „მარჯვე“, გომორძგუა „გამარჯვება“²³, მომდევნო მარცვლის ა წინა-ნაჯალ ხმოვნებზე სწორედ ასიმილაციურ გავლენას ახდენს. ასიმილაციური პროცესების მოქმედების შედეგს წარმოადგენს აგრეთვე სევანური და ზანური უმლაუტი, ქართულ ენაში კი ჩქედხ/ჩქაფხნი, ედერს/ედარხნი, რეკს/რაკხნი, კრეკხ/კრაჟუხნი/კრიჟინი, ღრეკხ/ღრაჟუხნი/ღრიჟინი ტიპის აბლაუტი²⁴. ხმოვანთა დისტანციურ დისიმილაციურ ურთიერთგავლენას კი ქართველურ ენებში ადგილი არა აქვს. დიალექტებში დადასტურებული პროცესი, რომელსაც ზმნის წინისა და ქცევის მორფემების შეხვედრისას აქვს ადგილი, ჯერ ხმოვანთა უშე-ალო მეზობლობის პოზიციაში უნდა განხორციელებულიყო მეორე და მესამე პირში და შემდეგ გავრცელებულიყო ისეთ ფორმებზე, სადაც ამ მორფემათა ხმოვნება თანხმოვნით არის გათიშული (პირველი პირი).

ამრიგად, წინაენისმიერ თანხმოვანთა მეზობლობაში ე > ი ხმოვანთმონაცვლეობას ადგილი აქვს ზანურსა და სევანურში. ეს პროცესი უგამონაკლისო წესის ხასიათს არ ატარებს არც ერთ დიალექტურ არეალში და თითქოს არც რომელიმე უპოქაში უნდა მივაწეროთ მას ასეთი ხასიათი. იგი გარკვეულ შესაძლებლობას წარმოადგენს, რომელიც ზოგიერთ ფორმაში განხორციელებას ათულობს. მაგრამ განხილული ტენდენციის რეალობას მოწმობს ის, რომ თუ ამ ენებში მოხდა ე > ი გადასვლა, მას წინაენისმიერთა მეზობლობაში ექნება ადგილი.

თითქოს ხერხდება ისეთი ფონეტიკური პირობის გამოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ერთმანეთისაგან განხილული პროცესის საერთო-ზანურ და მეგრულ ეტაპებს. მეგრულში ამ გადასვლას ინლაუტში ეხედებით (ბინეზ-, კვინორ-, ლიშ-, გინ-, ლინჯ-, ზიჟონ-), ხოლო ორივეში — მეგრულშიც და ქანურშიც მოსალოდნელი ე-ს ნაცვლად ი გვაქვს მხოლოდ ანლაუტში (ინჟირ- ვით-).

შეიძლება დაისვას კითხვა, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ მართლაც ინჟირ-, ვით- ფორმათა არქეტეპებში ისეთი კონსონანტური ანლაუტი, რომელიც ჩვენ მხერ ნავარაუდევ პროცესს შეუწყობდა ხელს, მით უმეტეს, რომ საერთო-ქართველური ძირები ვოკალური ანლაუტით დიდ იშვიათობას წარმოადგენენ. რაც შეეხება ფორმებს, რომლებშიც ერთგვარი ი განხმოვანება დასტურდება ზანურშიც და სევანურშიც. ეს ფორმები ხასიათდებიან იმით, რომ ე ხმოვანი აქ მთლიანად წინაენისმიერთა გარემოცვაშია: წინაენისმიერი უძღვის და მოსდევს მას.

²³ თ. გამყრელიძე, გ. მაქაეარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 169. მოლაროჲ ფორმა ასიმილაციის გზით მიღებულად მიაჩნდა ჯერ კიდევ ა. სუბარუს. Ал. Чагарев и И. Мингрельские этюды, II. Опыт фонетики мингрельского языка, СПб., 1880, გვ. 69.

²⁴ ამ ტიპის აბლაუტის შესახებ იხ. ა. შაენიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 566—567.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა თ. შარაქენიძემ)

თინათინ ციტიშვილი

მკუეცარ ფუძისათვის ძველ ქართულში

კუეც ძირზე ყურადღება მიგვაქცევინა ძველ ქართულში იქვეათადხმარებულმა სიტყვამ მკუეცარი, რომელიც პირველად ეზეციელის წიგნში შეგვხვდა¹. ქართული კონტექსტისა და უცხოური შესატყვისების საფუძველზე გაირკვა მისი მნიშვნელობა, აღნიშნავს 'დალაქს', 'მპარსველს': „მოიღე შენდა მახვილი ლესული უღროჯს საყუნველისა მკუეცარისა (მკუეცარისა ო)²“ (ეზეკ. 5,1 წ), შდრ. ბერძ. ნაყბუ ხაყბაჯ.

ძველ ძეგლებში, ეზეციელის წიგნს გარდა, ამ სიტყვის ხმარების ერთადერთი შემთხვევა დასტურდება და ისიც ბიბლიურ ტექსტში: „მოიყვანა მკუეცარი და დაყვნა შუფი ივი კოწოლი თმა თავისა მისისა“ (მსაჯ. 16,19).

ს.ს. ორბელიანისათვის, ჩანს, ნათელი არ ყოფილა მკუეცარ სიტყვის სემანტიკა და მისი საწყისი ფორმა: მას დამოწმებული აქვს ეს სიტყვა ეზეციელის წიგნს გელათური ვერსიიდან ტექსტისეული ფორმით (მკუეცარისა, ეზეკ. 5,1). განმარტება არ ახლავს³.

დ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვას არ იცნობს. ილ. აბულაძეს თავის ლექსიკონში ზემოთყვანილი ორი მაგალითი აქვს დამოწმებული, დამატებით მას მოჰყავს პარალელური წაითხვა მსაჯულთა წიგნს გელათური ვერსიისა, სადაც მკუეცარის შესატყვისია მპარსველი: „და მოხადა მპარსველი“ (16,19)⁴.

მკუეცარი კუეცა ზმნის მოქმედებითი გვარის მიმდებარა. შემდეგში ვასუბსტანტივებული და დანიშნულების სახელად ქცეული.

თუ მკუეცარ სიტყვა სპორადულია ძველ ქართულში, სამავიეროდ კუეც ძირიდან ნაწარმოები პირიანი ფორმები (პრევერბიანი თუ უპრევერბი) საკმაოდ გავრცელებულია და ყოველთვის გადმოგეცემს 'ქრა' ზმნის შინაარსს: მოკუეცდენ მას თავსა მისსა (II მეფ. 14,26): შუღლად მიცემულ იყო ღმრთისაგან ჰორიათა და კუეცა და არა მოზრდაა განათხოვნელთა (A 65, 84r, 15); უკუეთუ საძაგელ არს დედაკაცსა კუეცაა, ვინა დაყვნაა. დაბურენ (I კორინთ. 16,6); რასაღა იქმ, უკუეთუ გესმას ...თმთა და ფრხილთა მისთა მოზრდილთა უამად-უამადი კუეცაა და მოყოფა (A 65, 84r, 14); უუამოდ მოკუეცნის ყრმანი იგი მათა 'მეწირულნი (A 95, 1025, 4b); ალკუეცა და შეპმოსა წმიდაა სქემა (ასურ. მოლ. ცხ. 77,28); მოლონსამქარი და კუნჯული და ალკუეცონ კაცი იგი (სერაპ. ზარნ. 178,25). როგორც მაგალითებიდან ჩანს, კუეცა აღნიშნავს 'ქრას', 'კრექას' (ფიგურალურად მიუთითებს ბერძნულ, ან მონაზვნად 'შედგომას', ამაზე ქვემოთ).

ძველ ქართულ ენის მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კლასიკურ ქართულში კუეც ძირი არსებითად აღმაინის თმა-წვერის გაკრექა-გაპარსვის

¹ Т. К. Цкитишвили. Древнегрузинские языки: историческая фонетика, автореферат диссертации. 1970, г. 26.

² ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1, თბ., 1966.

³ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1971.

⁴ ესარგებლობით ეფთხისტაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალქსიკონო ფონდით.

(უფრო გაკრევის) შინაარსს გადმოსცემს (მოპოვებული 70 მაგალითიდან ორ შემთხვევაა, სადაც კუეც ამ სემანტიკისა არ არის): რაა საოვებელ ახ თმათა მოკუეცისაგან? (A 1115, 39v, 32a); ხედვიდა ნეტარსა პავლეს.. საპარველითა მოკუეცასა თმათასა მკუმეველად (S 384, 518, 19a); მოკუეცნეთ თმანი თეთა თქუნთანი მის წინაშე (A 1103, 201v, 6b); წინაშე მათსა მოკუეცნის თმანი მათნი (A 95, 1025, 1b); ჰრქუეს ... კაცი... შვილთა ჩუენთა თმას... მოკუეცს პირველკუეცადმდე (A 95, 1024, 7b); სიმრალე თმათა თავისა მისისათა: აღკუეცონ (S 143, 164r, 7); ხედვიდა ნეტარსა პავლეს ოდესმე განწმედისა მიმღებულად და საპარველითა მოკუეცასა თმათასა მკუმეველად (S 384, 518, 18n); მოკუეცა თმათა თავისა თვისთა (S 384, 615, 20); იკუეცა მან თმანი (საქ. მოქ. 18, 18); მუნ აღიკუეცნეს თმანი სოფლიობისანი (დამსკ. ეტიოდ. VII, 164, 40); დაუკუეცეს მას თმათა (დაბ. 41, 14); და მოკუეცნა ნახეარსი წუერნი მათნი (II მეფ. 10, 4); მოჰკუეცნეს თმანი და წუერნი მისნი (იზიდ. 117, 21); აღიკუეცა თმათა თავისთა (ხრონოდ. 301, 24); თმათა აღკუეცა გამოაჩინებს წმიდასა მას და უმოცუნებელთა ცხოვრებასა (პ. იბერ. 206, 16); აღმოკუეცა თმანი და დამადგონა ახლადკუეცილთა თანა ეკლესიისათა (კომ. II, 206, 17); აღხილუეყო... ყოველთა ზედა წინამოკუეცილთა პირით კერძო მათით (იერემ. 9, 26, 1); გარეშემო მოუკეცენეს უკანამო დალალანი (ეფეს. 1579, 3).

მე-17 საუკუნისა და მომდევნო ხანის ძეგლებში კუეც ძირი ინარჩუნებს ძველ მნიშვნელობას: ლოცვა აღკუეცისა ყრმისა (S 3948, შფშ. 290, 22 XVII—XVIII სს.); ლოცვა აღკეცეცასა ზედა ყრმისასა (A 1465, შფშ. 12, 10. 1750 წ.); ჰეი, შენ, თმათა აკეცეცო, ესე რა საქმე მოყავ? (ყარ. 535, 5); ერა ხედავთ, ესე თმათა აკეცეცი ვითარსა საქმესა ჩადისო? (ყარ. 94, 26); ამავე დროს კუეც იფართოვებს სემანტიკურ ველს: სძრცვის სამოსელსა და აღკეცეცს მატყლთა (საბა, III, 128, 32); სიკედილი არის ორობოგა, ბუნებით აუხოცია, მეორე კარგის წადილით ვის ნება აღუკეცეცია (ვახტ. სიბრძ. 34, 4).

ამგვარად, კუეც ძირიდან ნაწარმოები პირიანი ფორმები (მოკუეცს, იკუეცა, მოიკუეცა, აღიკუეცნა...) და სახელწმინები (მოკუეცა, კუეცა, ახლადკუეცილი, წინამოკუეცილი, ასაკეცეცო...) თმის კრევის პროცესთან დაკავშირებული შინაარსის ამსახველია. კუეც ძირის შინაარსი არკვევს დიალექტ. (მ)კეცეცელას სახელდების საფუძველს (მ)კეცეცელას ეტყვიან თმის დაადებას, რომლის დროსაც თმის ბეწვი წყდება და თანდათან მოკლდება, თითქოს მოკრეპილია). ზემო იმერეთში (მ)კეცეცელას ეძახიან აგრეთვე მაკრატელს.

კუეც ძირთან დაკავშირებით მოპოვებული მასალის ფონზე სრულიად ზუნებრივი და გასაგებია მკუეცარ სიტყვის წარმომავლობა-სემანტიკა: კუეცა — 'კრეპა'; მ-კუეცარ-ი — 'მკრეპელი', იგივე 'დალაქი'.

კუეცა ზმნა თავისი შინაარსით სინონიმური გამოდის ყუენეცა/ყუნეცა || პარსეა ზმნებისა, რომლებიც თმის კრევისა თუ ჰარსის მნიშვნელობას მიუთითებენ; ყუნ/ყუნ: მტყიედ დაჰყუნეს თმათა თავისა მისისა საყუენელითა (A 95, 842, 28a); დაიყუნა თმათა მისი (ლმ).

⁵ ასე ემის ამ სიტყვის შინაარსი ს.-ს. ორბელიანს: დაკუეცა — 'ბალნის მოკრა'; ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1966; მოკუეცა — 'მოკრეპა თმათა'; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961.

90,1); დაიყვნონ თმაჲ (საქმ. მოციქ. 21,24); დაყვნეს იგინი თმი-
თა და წუერიითა (ეესტ. მცხეთ. 46,39); დაჰყუინო თავისა თმა ყო-
ველი სამართებლითა (სამკ. წიგ. კარაბ. 404,18). პარსეა: აჰა ესერა აღვი-
პარსო თმაჲ თავისა ჩემისაჲ (S 143, 177, 18); აღპარსეთა თმი-
საჲთა საკიცხელ ყვის ჩჩულთა მათგანცა ყრმათა (S 384, 330, 16): თმაჲ
დაჰირებით მოუპარსავეს (მამ. სწ. 270,19); აღიპარსა თმაჲ (იობ.
1,20); თმა აღიპარსა (თეიმ. 11, სარკ. 172,1); მონანი თმააღპარსუ-
ლი გარე გაზიდეს შავთა მშობელთა (რუს. 603,9).

საზოგადოდ, როგორც ცნობილია, ჰრა ზმნის სემანტიკა ძველ ქართულ-
ში ჰერ/ჰარ/ჰრ და კუეთ ძირებით აღინიშნება. ორივე გავრცელებული სე-
მანტიკებია, რომლებიც ყოველგვარ პოზიციაში დასტურდება, მხოლოდ არა
აქვთ არასოდეს თმის კრევისა და პარსვის მნიშვნელობა: ბრძანა... დაკუე-
თად ენაჲ მისი (S 384,355,2); სამართებლითა დაჰკუეთუნეს ყურნი მის-
ნი (S 384,356,23); თავი მოგეკუეთოს (სინ. მრ. 252,30); მოკუეთა
მარჭუნაჲ (დამასკ. 163,30); და მოჰკუეთოს მტევნები მცირე მანგ-
ლითა და ნახსლევსა მოშკრინ (ესაია 18,5); დაიჰრიდა მკლავთა მისთა
(A 95,171,21a); კორციცა დაიჰრებოდინ (A 1101,64,19); ჯელნი და ფერკნი ჩემნი
ზომჰრნე (A 95,1007,24); მფრინველთა დაჰრანეს ჯორცნი მისნი (პატ. ნოე.
70,11); ასონი მოეკრებთიედ მახვლითა (მამ. სწ. 68,23).

მასალის მიხედვით სინონიმურ კუეცა, ყუენეა და პარსეა ზმნა-
თაგან შედარებით გავრცელებულია კუეცა და იგი ახლანდელ 'კრეკას' უფ-
რო უნდა ნიშნავდეს, ვიდრე 'პარსვას' (თუმცა უცხო არც ეს შინაარსია მის-
თვის).

ძალზე იშვიათად კუეც ჩვეულებრივ 'ქრასაც' აღნიშნავს (მოკუეც-
დენ მას თავსა მისსა. II მეფ. 14,26). ამგვარი ფართო გავებით კუეც ძირი
კუეთ და ჰერ/ჰრ ძირებთან დგება და ერთ სემანტიკურ ჯგუფს ქმნის (ჰერ/
ჰრ||კუეთ||კუეც); ვიწრო მნიშვნელობით (კრეკა, პარსეა) იგი სხვა სე-
მანტიკურ ჯგუფში შედის (ყუეც||ყუენე/ყუნ||პარს). სამივე ზმნა აღამიანის თმა-
წერის კრეკა-პარსვის აღმნიშვნელია. ჩანს, მომხდარა კუეცა ზმნის მნი-
შვნელობის დაიწროება, იგი საგანგებო შინაარსით აღჭურვილია. ძველი ქარ-
თლის დონეზე კუეც ძირი როგორც პირველი სემანტიკური ჯგუფის
(ყუთა||ჰრა||ყუეცა) წევრი ნაკლებად პროდუქტულია; მეორე სემანტიკურ
ჯგუფში (ყუეცა||ყუენე||პარსეა) კუეცა აქტიური სემანტიკაა, ტერმინის
ფუნქციით დატვირთული.

ამგვარად, განალიზებული ძირების შეპირისპირებით გამოიყო სინონიმურ
სიტყვათა შემცველი ორი სემანტიკური ჯგუფი 1. ფართო მნიშვნელობის
ყუთა||ყუეცა||ჰერ/ჰარ/ჰრ და 2. ვიწრო შინაარსის კუეცა||ყუენე/ყუნ||პარს.

თანამედროვე ქართულში პირველი სემანტიკური ჯგუფი (ჰრა||კუე-
ცა||კუეცა) უცვლელადაა წარმოდგენილი, თუმცა გაბატონებული ჰრა
ფორმაა, მეორე სემანტიკური ჯგუფიდან ერთადერთი პარსეა ზმნაა შემორ-
ჩენილი. ყუენეა ხმარებიდან გავიდა, კუეც ძირი კი მრავალმნიშვნელია-
ნი გახლან. მართალია, 'თმის კრეკის' შინაარსი შეინარჩუნა, მაგრამ საგანგებო
ტერმინის ღირებულება აღარა აქვს.

® იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: აყეცს (აჰრის, უმოკლებს, დალაჰი თმაჲ
აყეცს, ავიწროებს, განაჰანს არ აძლევს); დაკუეცს (დაჰრის), დაკუეცა (დაჰრა, მოჰ-

კუეცა სემანტიკურად კუეთა ზმნას უკავშირდება. გენეზისურადაც კუეც მომდინარეობს კუეთ ძირიდან, მისი აფრიკატიზებული ვარიანტია (<კუეც> კუეც)⁷. კუეთ განეკუთვნება საერთო ქართველურ ქრონოლოგიურ ღონეს და კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება მეგრულ-ქანურსა და სვანურში: ქართ. კუეთ, მეგრ.-ქან. კუათ, სვან. კუეშდ⁸.

ქართ. კუეც (<კუეთ) ძირს მეგრულ-ქანურში შესატყვისი არ გაახინია, სვანურში ფონეტიკურად სახეცვლილი კუეც არის დამკვიდრებულ. კუეცა ზმნის ტოლფარდია სვან. ლი-ქუეც (კრა, გაწყვეტა)⁹ თხზიმ ხ-ე-ქუქუ-ე-ენი-ი ეჩას ეჩხნჟა (თავი ევრება მას მისგან), ეჯა ხ-ა-ქუ-ე ეჩას თხუმ (იგი კრის მას თავს)¹⁰, შდრ. ძე. ქართ.: მოკუეც ედენ მას თავსა მისსა (II მეფ. 14,26).

ქუეც სვანურში პროლექტული ძირია, აწარმოებს ნაირნაირ ფორმებს: ქუეც ეც (კრის), ქუეც ენი (ივრება), ხე ქუეც ენი (ევრება), ქუეც ეცა (კრადა), ა-ქუეც (გვკრა). ი-ქუეც (მიიძრა), ოთ-ქუეც (დაუქრა), ეს-ქუეც (მიიძრა), ლ-ა-ხ-ო-ქუეც (მოუქრა), ქათ-ქუეც (გადაქრა), ქუეცა (შდრ. ქართ. კუეცა)!! ქუეცა-ცა (კრა, წყდომა), მუ-ქუეც (მკრელი), შდრ. ძე. ქართ. მ-კუეცა-რი), მუქუც იან. მუქუეციან. მუქუეციან (მკრელი: თვალი, დანა)¹⁰.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, კუეც სვანურის ნიადაგზე გაფშინიერდა: კუეც > ქუეც > ქუეც. მაგრამ კუეც ძირის გაფშინიერებული ვარიანტი ქართულშივე იძებნება⁹, შდრ. ფუძეგაორკეცებული ზნს აქუეცმაცებს (წვრილად ამტვრევს)¹¹, დაქუეცმაცება (წვრილ-წვრილ ნაწილებად ქცევა, წვრილად დამტვრევა, დაჭრა, დახევა)¹¹. დაქუეცმაცებული (წვრილად დაჭრილი)¹¹, გაქუეცა (გაცლა, გაცენა ბეწვისა...)¹¹, გაქუეცული (ბეწვაგალილი...)¹¹ და აგრეთვე ქიზიყ. ნაქუეცმაცები (ნამცეცები)¹¹. ვეარაუდობთ ასეთ პროცესს: ა-კუეთ-მათ-ებს > ა-კუეთ-მათ-ებს-ს > ა-ქუეთ-მათ-ებს-ს > ა-ქუეც-მათ-ებს-ს (ე. ი. მომხდარა ფუძის რედუქცია რეგრესული ასიმილაცია და აფრიკატიზაცია). შესაძლებელია, გაორმაგდა უკუეც აფრიკატიზებული და რედუცირებული ფუძე: (გა)-კუეც-ა > (გა)-კუეც-ა > > (გა)-ქუეც-ა, აქედან ა-ქუეც-მა-ც-ებს-ს, და-ქუეც-მა-ც-ებს-ს... უძველესი ქართულის დონეზე უნდა მომხდარიყო ფონეტიკური პროცესები: კუეთ > კუეც > კუეც > ქუეც და, აგრეთვე კუეც > კუეც. შდრ. აკუეცა, ნა-კუეც-ი (წვრილი ნაქუეცა, შეკრება); მოკუეცილი (მოკრილი, შეკრებილი), შდრ. აგრეთვე ხეცს. კერეცა (ხეცა); შუაქუეცა-კერეცა (შუაზე გაჩეხინა): ა. ლონტი, ქართ. ელო-თქმათა სიტყვკონა. I, 1974.

7 ი. ქობალაძე, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში: იყ. XI-X, 1958, გვ. 67.

8 I. Климш. Этимология и лексикальные изменения в армянских языках. М., 1964, გვ. III; თ. გამყრე ლიძე. ვ. მაკაჯარაძის, სონანტთა სიტყმა და აბლაუტა ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 49, 48, 62, 236.

9 საგანგებოდ ეხება ამ საკითხს ა. კინწარაული წერილში: „სემანტიკური გადასვლები ზოგჯერ ლექსიკურ ჩგუფებში“: იყ. თბ., 1974, გვ. 59, 60. აღნიშნულ ნაშრომში დამოწმებულ მკვლევართან ერთად მოგვქვს დამტკიცებითი მასალა.

10 სვანურის მავალითები მოგვეყვას ე. თოფურიას წიგნიდან: სვანური ენა, I, ზნს: ერობები, I, თბ., 1967, გვ. 41, 93, 142-144, 180, 213, 233, 231.

11 ქავლ. ტ. I, II, III, V.

12 კუქუქუქუქუქუ. ფონეტიკური ვარიანტები მითითებულია ა. კინწარაულის დასახ. ნაშრომში.

რი), დიალექტ. დაკუე წმანე ბული (წერილად დაკრილი, დანამტეცებული), დაკუე წმანე ბა (წერილად დაკრა); ამასთან დაკვეშირებით საინტერესოა დიალექტ. კვეთა-კვეთა და კვეცა-კვეცა (ნაფლეთ-ნაფლეთ, ნაქერ-ნაქერ) და, აგრეთვე, ნაკუთ-ნაკუთ: „ხორცი ნაკუთ-ნაკუთად ეყიდათ (ყაზ.)“¹³. შესაძლებელია, ამ უქანასქნელისგან იგულისხმებოდეს სხვა ფორმები: ნაკუთ-ნაკუთ > ნაქუთ-ნაქუთ > ნაკუთ-ნაკუთ წ-ნაკუთ წ.

კუეც ძირს უკავშირდება ფრაზეოლოგიური ერთეული ბერად (პონაზუნად) აღკვეცა, შდრ. გამოთქმები: ბერად აღკვეცა. მონაზუნად აღკვეცეს. აქ კუეცა ზმნა შინაარსობრივად სახეცელილია, ნიშნავს „შეყენებას, კურთხევას“; განმარტებით ლექსიკონში ფიქსირებულია ეს მნიშვნელობა: „აღკვეცს ძვ. ეკლ. ვრდმ. შეაყენებს. აკურთხებს (პონაზუნად, ბერად) ბაგინეთის... მონასტერში მონაზუნად აღკვეცეს... შორენა (ყ. გამს.); აღკვეცა სახელი ძვ. ეკლ. აღკვეც ზმნის მოქმედებისა: ნონაი ღელათა მონასტერში მონაზუნად აღკვეცას აპირებდა (ყ. გამს.)“¹⁴.

აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული უკავშირდება ბერად, მონაზუნად თუ მდგლად კურთხევისას თმის აკრეკის საკმაოდ ცნობილ რელიგიურ ცერემონიას¹⁵. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა აკვეცა (აღკვეცა) ზმნის ნ. ჩუბინაშვილისეული განმარტება: „აკვეცა, აღკვეცა (ავჰვეცე) აკრეკა თმისა ახლადნათელღებულისა, ანუ სამღვდელთა თმისაგან კურთხევის დროს (постригати)¹⁶, შდრ. რუს. постриг, пострижение, постричь (რელ. აღკვეცა: ბერად შეღვამა)“¹⁷.

ამ გაგებით აღკუეცეს და აღიკუეცა ფორმები თავდაპირველად ზირდაპირ ობიექტად ყოველთვის იგულებდნენ თმა სიტყვას: აღიკუეცა თმა ბერობად, აღკუეცეს თმა ბერობად (ბერობისათვის).

ამ ტიპის მაგალითებია: მაკურთხა მე ებისკოპოსმან და აღმიკუეცა თმანი და დამადგინა მე ახლადკუეცილთა თანა ეკლესიისათა (კიბ. II, 206, 18); მომდევნო ეტაპზე სიტყვა თმა ჩაეარღნილია, რადგან აღიკუეცა ნიშნავს უკვე გაიკრიკას (ერთპირიანი ვნებითი): რაჟამს აღვიკუეცე და დავეწესე მონაზონად... დღე ფსალმუნსა ვიწურთიდი (ლიმ. 126, 22); აღიკუეცა ქელთაგან წმიდისათა და იქმნა კეთილ მონაზონ... (ცხ. ილარ., ათონ. ივ. მონასტ. 80, 10).

გარკვეულ საფეხურზე აღნიშნულ ფრაზეოლოგიზმში აღკუეცა კარგავს ვაკრეკის შინაარსს და იძენს ახალ მნიშვნელობას: კურთხევა, განწესება, შეყენება; შდრ. ენება მისი მონოზუნად აღკუეცა (A 1103, 219, 94); აღკუეცილ იქმნეს მონაზონებად (ლ. მრ. 134, 22), შდრ. გამოთქმები: განვაწესეთ მონაზონად (ხანძთ. 159, 27); ორნი იგი ქმანი... იკურთხნეს მონაზონად (სერაპ. ზ. 166, 27).

‘აღიკვეცა მონაზუნად’ სიტყვისიტყვით ნიშნავს ვაკრიკა სამონაზუნოდ. უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ აღკუეცა ზმნა ვადმოსცემს ბერად

¹³ ქავლ. ტ. 5.

¹⁴ ქავლ. ტ. 1.

¹⁵ „გაკრეკა (пострижение волос) ძირითადი მოქმედება ბერად შეღვამის დროს: Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, Энциклопедический словарь т. 24, С.-П., 1888.

¹⁶ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961. ძველ ძეგლებში საგანგებოდ მკვლევარს ამ რიტუალის საფუძველსა და დანიშნულებასზე, შდრ. თბათა აღკუეცა გამოარჩენს წმიდას მას და უმაოცნებელთა ცხობრებას (პ. იბერიელი, 206, 16).

¹⁷ რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1937.

(მონაზუნად) შედგომის შინაარსს: ...კელთაგან წმიდისათა აღიკვეცა (ცხ. გ. მთწ. 322,16); წარიყვანა დედა თვისი... და აღიკვეცა იგი (ასურ. მოღ. ცხ. გ. 76,9); მოიღონ სამჯარი და კუნეული და აღიკვეცონ კაცი იგი (სერაპ. ზარზ. 178,25).

ამგვარად, მკუეცარი ძველი ქართულისათვის იშვიათი სემანტემაა. მომდინარეობს კუეცა ზმნიდან; კუეცა კლასიკურ ქართულში საგანგებო ტერმინია და აღნიშნავს თმის კრეჭას; ამ თვალსაზრისით იგი სინონიმურია: ყუენეცა და პარსეცა ზმნებისა და ძალზე გავრცელებულია ძველ ძეგლებში. კუეც (ყუეთ ძირის აფრიკატიზებული ვარიანტი), მეგრულ-ქანურში არ დასტურდება, გვაქვს სვანურში (ლი-ქშეც). კუეც (<კუეთ) ძირი ნაირნაირი ფონეტიკური ვარიაციებით გვხვდება ქართულში: კუეც, ქუც, კუწ.

ახალ ქართულში კუეც ძირი პროლექტულია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ ძირისაგან ნაწარმოები მრავალი ფორმაა დამოწმებული (აკვეცს, აღკვეცს, დაკვეცს, მოკვეცს, აღკვეცილი, დაკვეცილი, მოკვეცილი, შეკვეცილი, ავეცა...).

კუეცა ზმნის შინაარსია ამოსავალი ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში 'ბერად, მონაზუნად აღკვეცა', და სიტყვასიტყვით ნიშნავს ბერობისათვის, სამონაზუნოდ გაკრეჭას, გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს 'ბერად, მონაზუნად შედგომას'.

ღ ა ბ. — წიგნი პირველი დაბადება: წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. 1, ნაკვ. 1, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1947.

ღ ა მ ა ს კ ე. — იოანე დამასკელის ცხოვრება: კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1961.

ე ვ ს ტ. — პარტკლობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, თბ., 1963.

ე ზ ე კ. — წინაწარმეტყულება ეზეკიელის: სვ. 7/11; ომეკრი ბიბლიის ხელნაწერი № 1; გელათური ბიბლია, A 1108.

ე ს ა ი ა. — წინაწარმეტყულება ესაიასი: წიგნი ძუელისა აღთქმისანი... ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1948.

თ ე ი მ. II — თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1939.

ი ზ ი დ. — წამება წმიდისა იზიდობოზისის: ი. ა ბ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1944, გვ. 114—123.

ი ო ბ. — იხ. ესაია.

კ ი მ. II — კიმენი, ტ. II, კ. კეკელიძის გამოცემა, ტფ., 1920.

ლ ი მ — იოანე მოსხი. ლიმონარი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1960.

მ ა მ. ს წ. — მამათა სწაულანი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955.

II მ ე ფ. — წიგნი მეორე მეფეთა: ბიბლია, მოსკოვი, 1743.

პ ა ტ. ნ ო ე. — შუასაუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, გამოსცა ჩანანა დვამა, თბ., 1966.

რ უ ს. — რუსულანინი, ილ. აბულაძისა და ივ. გვიგინიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

პ. ი ბ ე რ — პეტრე იბერიელი, შრომები, გამოსცა ს. ენუქაშვილმა, თბ., 1961.

ს ა მ. ქ. წ ი ვ ნ. — ზ ა ზ ა თ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბაღინი), მ. სააკაშვილის რედაქციით, თბ., 1950.

ს ა ქ. მ ო ე. — საქმე წმიდათა მოციქულთა, თბ., 1963.

ს ე რ ა პ. ზ ა რ ზ. — ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, თბ., 1963.

ხ რ ო ნ ო ლ. — ხრონოლოგიური გიორგი მონიზონისა, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1920.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა ეფესისტყაოსნის აკადემიურ ტექსტის დამდგენმა კომისიამ)

ანბონ კიხირია

უსრული წინადადება ქართულში

წინადადების სისრულის ცნება უშუალოდ უკავშირდება თვით წინადადების გაგებას. წინადადება არის ამა თუ იმ ენის კანონების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული სიტყვების ჯგუფი ან ცალკე სიტყვა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს. ცხადია, წინადადებად ვერ მივიჩნევთ ცალკე ამოცხილებს, ფორმალურ სიტყვებს თუ ნაწილაკებს (მტკიცებითსა და უარყოფითს) და შორისდებულებს, რომელთაც მნიშვნელობის მიხედვით შეუძლიათ გასწიონ წინადადების მაგივრობა¹.

მარტივი წინადადება გვაქვს ცალკეც და რთული წინადადების შემადგენლობაშიც. ჩვენ ამ შემთხვევაში გვიინტერესებს პირველი.

სინტაქსისა და წინადადების საკითხებით მკვლევრები ადრე დაინტერესდნენ. უსრული წინადადებისათვის კი ყურადღება არ მიუქცევიათ მეცხრამეტე საუკუნემდე. მეცხრამეტე საუკუნის რუსიან წლებში ნ. გრეჩმა, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული უსრული წინადადების გამოყოფა რუსულ ენაში, სრულ წინადადებად მიიჩნია ისეთი წინადადება, რომელშიც გვაქვს ყველა მთავარი წევრი². ნ. გრეჩი წინადადების შემადგენლობაში გულისხმობდა სამ ნაწილს: ქვემდებარეს, შემასმენელსა და საერთს. მაგრამ, აღნიშნავდა იგუ, ჯერად ქვემდებარისა, შემასმენელისა და საერთისა, წინადადებაში უნდა გვექონდეს აგრეთვე დამატება, რომელიც წინადადების ნაწილს წარმოადგენს, თუმცა არა არსებითს, არამედ შემთხვევითს³.

ნ. გრეჩისათვის უსრულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ესა თუ ის მთავარი წევრი. თუ გამოტოვებულია შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი — საერთი, ასეთი წინადადებაც ნ. გრეჩს უსრულად მიიჩნია. ე. ი. უსრულია ასეთი წინადადებები: „Роза нежна“ (გამოტოვებულია „есть“), „Желаем здравия“ (გამოტოვებულია „Мы“). „Петр Великий“ (გამოტოვებულია შემასმენელი: იგულისხმება ასეთი ნაწყვეტი დიალოგისა: — Кто основал Санкт-Петербург? — Петр Великий!).

თ. ბუსლაევი უსრული წინადადების საკითხებს ეხება „რუსული ენის ისტორიულ გრამატიკაში“⁴. იგი წერს: „ერთ წინადადებაში გამოიტოვება ან არ-

¹ წინადადების გაგების შესახებ სხვადასხვა მიმართულების ამომწურავი კრიტიკული დახასიათება და წინადადების შედგენილობისა და მექანიზმის ვრცელი ანალიზი მოცემულია არნ. ლეჟანოვის „მარტივი წინადადების პრობლემაში“ (არნ. ლეჟანოვი, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1, თბილისი, 1928; მეორე გამოცემა — თბილისი, 1968).

² Н. И. Греч, Практическая русская грамматика, изд. II, СПб. 1834, гл. 225. ეს გრამატიკა პირველად გამოქვეყნდა 1827 წელს.

³ იქვე.

⁴ Ф. И. Буслаев, Историческая грамматика русского языка, М., 1959. პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1858 წელს ასეთი სახელწოდებით „Опыт исторической грамматики русского языка“.

სებითი სახელი (ქვემდებარე და დამატება), ან ზმნა (შემასმენელი) უბირატესად მაშინ, როდესაც მათ ანლათ ისეთი მსაზღვრელი სიტყვა, რომელთანაც ზედმეტი სდება ქვემდებარე ან შემასმენელი⁵. იქვე აღნიშნულია: „რადგანაც განსაზღვრებითი, დამატებითი და გარემოებითი სიტყვები ერთიან ქვენდებარესა და შემასმენელს აზრის ზუსტად გადმოსაცემად, ამდენად ესენი არ შეიძლება გამოეტოვოთ, როგორც ზედმეტი სიტყვები, ადვილად საუელისმხებელი“.

პეშკოვსკი დაწვრილებით ვანიხილავს უსრულ წინადადებას. უსრულ წინადადებად ის მიიჩნევს ისეთ წინადადებებს, რომლებშიც არ არის სრულ წინადადებასთან შედარებით ერთი ან რამდენიმე წევრი. უსრული შეიძლება იყოს არა მარტო ისეთი წინადადებები, რომელთაც აკლიათ მთავარი წევრები (ქვემდებარე, შემასმენელი). არაქედ მეორეხარისხოვანი წევრებიც⁷. ამჟღად მან წარმოადგინა უსრულ წინადადებათა კლასიფიკაცია ექვსი ნიშნის მიხედვით. ამ ნიშნებით წინადადება უსრულია, როდესაც აკლია: 1. ქვემდებარე

2. შემასმენელი, 3. საერთი (და წარმოდგენილია პრედიკატული წევრის), 4. პრედიკატული წევრი (და წარმოდგენილია საერთო), 5. მართული არსებობა სახელი ან ინფინიტივი (და წარმოდგენილია მმართველი ზმნა), 6. საზღვრული წევრი (და წარმოდგენილია განსაზღვრება)⁸. წინადადებაში შეიძლება არ ვკონდეს ქვემდებარე, შემასმენელი და მართული წევრი. განსაკუთრებით ეს გვხვდება საპასუხო წინადადებებში (— Когда ты напишешь письмо управлению? — З а в т р а)⁹.

ა. შახმატოვი უსრული წინადადებების კლასიფიკაციისას გამოყოფდა ნაკლოვან (როცა ქვემდებარე აკლია), დარღვეულ (როცა შემასმენელი აკლია) და დეფექტურ (როცა მთავარ წევრთა ნაწილი აკლია) წინადადებებს¹⁰.

ა. შახმატოვი წერს, რომ ისეთი წინადადება, როგორცაა *входит*, გუჩეუნი, რომ წინადადებაში ვაოტოვებულია კარგად ცნობილი, ადრე ნახსენები ქვემდებარე. ასეთივეა წინადადებები: *бочку! чашку чаю! сахару!* რომლებშიც ირიბი ბრუნვები გვიჩვენებენ, რომ გამოტოვებულია მათზე ვაბატონებული უღლებადი ზმნის ფორმები (*подайте, дайте, отпустите*). წინადადების მთავარი წევრის გამოტოვებისათვის მეორე პირობა არის მის გვერდით მსგავსი წინადადებების არსებობა, რომელშიც სიტყვიერად გამოხატულია მთავარი წევრი. ამის მიხედვით *входит, сахару* მიგვაჩნია უსრულ წინადადებებად; მაგრამ წინადადებებს, როგორცაა: *виноват, рады стараться*, ეთვლით სრულად, რადგან *Я виноват, Мы рады стараться*. არ ემთხვევა წინადადებებს *Я-სა და Мы-ს* გარეშე. წინადადებას, რომელშიც გამოტოვებულია მთავარი წევრი, ეუწოდებთ უსრულს; ამასთან ერთად, წინადადებას, რომელშიც გამოტოვებულია ქვემდებარე, ეუწოდებთ ნაკლოვანს და, რომელშიც გამოტო-

⁵ Историческая грамматика.

284.

⁶ იქვე, გვ. 285.

⁷ А. М. Пешковский. Русский синтаксис в научном освещении, изд. VI. М., 1933. გვ. 360.

⁸ იქვე, გვ. 362—365.

⁹ იქვე, გვ. 365.

¹⁰ А. Л. Шахматов. Синтаксис русского языка, изд. II. Ленинград, 1941. გვ. 48; 157; 236; 241.

გებულება მთავარი წევრი, შემასმენელი, ეუწოდებთ დარღვეულს¹¹. როცა გზობტოვებელია ესა თუ ის შემადგენელი ნაწილი ქვემდებარისა ან შემასმენლისა, გვაქვს დაფუძნებული წინადადებები¹².

ა. შანხატოვი აქვე აღნიშნავს: „ქვემდებარის გამოტოვება ჩვეულებრივ გამოწვეულია იმით, რომ იგი დასახელებულია წინამაჟღერ წინადადებაში. გარდა ამისა, ქვემდებარის გამოტოვება შეიძლება ზოგ ჩვეულებრივ გამოთქმეში, ფორმულებში. ჩვეულებრივ გამოტოვება ქვემდებარე, რომელიც შეესატყვისება მესამე პირს...“¹³.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ „რუსული ენის გრამატიკაში“¹⁴ უსრული წინადადება ერცლადაა მიმოხილული. აღნიშნულია, რომ თეორიულ უსრული წინადადების შესახებ ვითარდება ე. წ. უსრული წინადადების სრულ წინადადებასთან დაპირისპირების საფუძველზე. სრული წინადადების შემადგენლობაში არის წევრები, რომლებიც გამოტოვებულია უსრულ წინადადებაში, შირი: Я и лес да Я иду в лес; Ты о чем? да Ты о чем говоришь? Куда? — В кино да Куда вы идете? — Мы идем в кино В лесу ягоды да В лесу растут ягоды და ა. შ.¹⁵

აქვე აღნიშნულია, რომ უსრული წინადადება დამასასიათებელია სასაუბრო მეტყველებისათვის. ის ფართოდაა წარმოდგენილი მხატვრულ ლიტერატურაში, გამოყენებულია დიალოგებში, აგრეთვე თხრობისა და აღწერის დროს¹⁶.

გრამატიკის ავტორები წარმოგვიდგენენ უსრულ წინადადებათა ოთხ ძირითად ტიპს. ესენია: 1. უსრული წინადადებები, რომლებიც წარმოადგენენ დიალოგის ურთიერთ დაკავშირებულ რეპლიკებს; 2. დამოუკიდებლად ხმარებული უსრული წინადადებები, რომელთა სტრუქტურის თავისებურებაა შემასმენლის გამოტოვება; 3. უსრული წინადადებები, რომლებიც წარმოადგენენ მყარ ფრაზეოლოგიურ შენაერთებს; 4. უსრული წინადადებები, რომლებიც შედიან რთულ წინადადებათა შემადგენლობაში¹⁷.

სპეციალური გამოკვლევა „უსრული წინადადება თანამედროვე რუსულ ენაში“ ეკუთვნის ი. პოპოვას¹⁸. მანვე გაამახვილა ყურადღება ამ საკითხის შესახებ სხვა შრომებში¹⁹.

ი. პოპოვას აზრით, „წინადადების სტრუქტურის განხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ თითქმის ყველა ნაირსახეობა წინადადებისა, მათ შორის „უსრული“ წინადადებას რომ განეკუთვნება ისიც, წარმოადგენს მიმართებით

¹¹ იქვე, გვ. 43.

¹² იქვე, გვ. 236.

¹³ იქვე.

¹⁴ Грамматика русского языка. II. ч. II. М., 1952, გვ. 88-122.

¹⁵ იქვე, გვ. 89.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე, გვ. 90.

¹⁸ И. А. Попова. Неполные предложения в современном русском языке. Труды Института языкознания АН СССР. II. 1953, გვ. 3-136.

¹⁹ И. А. Попова. Проблемы предложения. Сб. статей по языкознанию. Профессору Московского университета акад. В. В. Виноградову. 1958, გვ. 248-369; Заглавие: Неполное предложение: Совр. русский язык. Синтаксис, под ред. Гаакниной-Федорук, 1957, გვ. 321.

დამთავრებულ გამონათქვამებს, რომლებიც დამახასიათებელია სრული წინადადებისათვის²⁰.

ი. პოპოვა აღნიშნავს, რომ თავისი სტრუქტურის მიხედვით წინადადება მრავალწევრი და ზოგი მათგანი არ შეიძლება დაეყოთ სრულ და უსრულ წინადადებებად. ასეთებია სიტყვა-წინადადებები: Ага! Непременимо! Ну вот так!.. ბევრი ერთშემადგენლიანი: Пожар! Ну и жара! Какая жара! Молодец! Ого!!! და ა. შ. სხვანიარად რომ ეთქვათ, სრულად და უსრულად შეიძლება დაეყოთ მხოლოდ ისეთი წინადადებები, რომლებშიც გვაქვს წინადადების წევრები²¹.

სხვა შრომაში ი. პოპოვა მიუთითებს, რომ წინადადების შედგენილობის „სისრულე“ შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს იმის მიხედვით, თუ რა აგებულებისაა წინადადება. იგი დამოკიდებულია წინადადების სტრუქტურაზე და მეტყველების სტილზეც. ასე მაგალითად, Отец дома „სრულია“ სასაუბრო სტილისათვის, მაგრამ უსრულია მწიგნობრულისათვის, სადაც საჭიროა უფრო სრული შედგენილობა წინადადებისა: Отец находится дома²². აქვე ისიცა ნათქვამი, რომ წინადადება შეიძლება განვსაზღვროთ „სრულს“ ან „უსრულს“ იმის მიხედვით, თუ როგორ განვსაზღვრავთ „სრულ წინადადებას“. თუ სრული თხრობითი წინადადება არის წინადადება, რომელიც შედგება მთავარ (ერთ ან ორ) და მეორეხარისხოვან წევრთაგან, რომელიც შეპირობებულია მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრებით, მაშინ „უსრული“ თხრობითი წინადადება არას წინადადება, რომელიც ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, ე. ი. არის წინადადება, რომელშიც არაა წარმოდგენილი მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები²³.

როგორც ჩანს, ვმსჯელობთ სრულ და უსრულ წინადადებებზე, მაგრამ არ ვიცით რას ვუწოდებთ სისრულეს. არ ვიცით, როგორი წინადადებაა სრული და რა ქმნის სისრულეს.

ი. პოპოვა საერთოდ უარყოფს წინადადებათა დაყოფას სრულად და უსრულად. „რა კრიტერიუმს ვუდებთ საფუძვლად ჩვენ წინადადების უსრულობას? აზრობრივ უსრულობას თუ ფორმალურ უსრულობას?“ — კითხვობს იგი და თვითონვე უპასუხებს: „თუ უსრულობის განსაზღვრის კრიტერიუმად ვვიღებთ საერთოდ აზრობრივ უსრულობას, მაშინ მთელი ჩვენი მეტყველება, არა მარტო ზეპირი, განსაკუთრებით დიალოგი, არამედ სამწერლობო უნდა მივიჩნიოთ აზრობრივად უსრულ წინადადებებად“²⁴. ავტორი განავრცობს: 1. ბოლირებულად განხილული წინადადების აზრობრივი უსრულობა მიმართულია ცნება და არაა აუცილებელი ფორმალურად უსრული წინადადებისა; 2. წინადადების ფორმალური შემადგენლობა თავისთავად არაა საკმარისი მსჯელობისათვის, აზრობრივი სისრულისათვის ან გამოთქმის უსრულობისათვის, და ფორმალური შემადგენლობის სისრულეს თავისთავად არ შეუძლია გამსახროს წინადადების სისრულის კრიტერიუმს²⁵.

²⁰ იქვე, გვ. 348.

²¹ იქვე, გვ. 351.

²² Современный русский язык. Синтаксис, под ред. Галкиной-Федорук, М., 1957, г. 321.

²³ იქვე.

²⁴ И. А. Попова. Неполные предложения, г. 33. 13-14.

²⁵ იქვე, გვ. 17.

ავტორი ამასთან ერთად აღნიშნავს: ჩვენ შეგვეძლო შევთანხმებულიყავით და გავეგო „უსრულ“ წინადადებებად ისეთები, რომლებშიც მათი აზრობრივი უსრულობა გამოხატულია ფორმალურ გრამატიკული შედგენილობის უსრულობით²⁶. ავტორის ვარაუდით, „უსრული“ წინადადების გრამატიკული შედგენილობა შეიძლება არ იყოს გამოხატული მთლიანად. დიალოგში ის ნაწილდება კითხვების წინადადებათა და პასუხების წინადადებათა შორის და ერთმანეთის მომდევნო რეპლიკებს შორის. მაგალითისათვის აღებულია ასეთი წინადადებები: — პოლია მოვიდა? — მოვიდა. აქ „მოვიდას“ ნაცვლად რომ ეოფილიყო პასუხი „კი“ ან „პოლია მოვიდა“, მაშინ ერთმანეთისაგან განსხვავებული წინადადებები გვექნებოდა მხოლოდ თავისი გრამატიკული შედგენილობით, მაგრამ როგორც წინადადება-პასუხი თანაბრად შეიასრულებდა თავის ფუნქციას²⁷.

აქვე ი. პოპოვა აღნიშნავს, რომ არსებითად არა გვაქვს „უსრული“ წინადადებები²⁸. შეუძლებელია ერთიანი მკაფიო კრიტერიუმის მონახვა წინადადებათა დაყოფისა სრულად და უსრულად²⁹.

როგორც ვხედავთ, ი. პოპოვა გვიმტკიცებს არსებითად არა გვაქვს უსრული წინადადებებიო, თუმცა აქვე საჭიროდ მიიჩნევს მოგვცეს ამ ტიპის წინადადებათა სახეები (ელიფსური წინადადება, „საკუთრივ ისტორიული“ წინადადებები...).

ტ. ლომტევიც უსრულ წინადადებას განიხილავს სრულთან მიმართებაში. მისი აზრით: „სრული წინადადებები განსხვავდებიან უსრული წინადადებებისაგან იმით, რომ ყოველი პოზიცია მათში მოცემულია სიტყვიერი ფორმით, მაგ. На горе выдси дом. უსრული წინადადებები განსხვავდებიან სრული წინადადებებისაგან არა იმით, რომ მათში გამოტოვებულია ესა თუ ის პოზიცია, არამედ იმით, რომ ისინი წარმოდგენილი არიან უარყოფითად, ე. ი. ისინი არ არიან წარმოდგენილი ცალკეული სიტყვიერი ფორმებით, მაგალითად, На горе дом. გამოთქმა На горе дом გულისხმობს არსებობას პოზიციისას, რომელიც არაა წარმოდგენილი მატერიალურად, მაგრამ არსებობს და განსაზღვრავს წინადადებულან შეერთებას на горе. შეიძლება არ გვეჩონდეს შემასმენლის პოზიციის სიტყვიერი ფორმა, მაგრამ თვით ეს პოზიცია უსათუოდ იგულისხმება, არსებობს, მაგალითად, Молчаппи на лошады садился, ногу (сунул) в стрепя, а лошады (стала) на дыбы. Он об землю (ударился) — и прямо в темя (Грибоедов).

შეიძლება არ იყოს ქვემდებარის პოზიციის სიტყვიერი ფორმა, მაგრამ თვით ქვემდებარის პოზიცია უსათუოდ იგულისხმება, არსებობს, მაგალითად, Ну жалкнй же ездок (он)...; Не человек, змея (он) (Грибоедов)³⁰.

რუსული ენის სახელმძღვანელოებში უსრულ წინადადებას არა ერთი ავტორი შეხებია. ზოგი ავტორის აზრით, უსრული ეწოდება ისეთ წინადადებას,

²⁶ იქვე, გვ. 18.

²⁷ იქვე, გვ. 21.

²⁸ იქვე, გვ. 23.

²⁹ იქვე, გვ. 24.

³⁰ Т. П. Ломтев. Основы синтаксиса совр. русского языка. М., 1958. გვ. 131.

რომელსაც აკლია აუცილებელი სტრუქტურული ნაწილები, ე. ი. მთავარი მ მეორეხარისხოვანი წევრები³¹.

უსრული წინადადების სახეებს ვრცლად ეხებიან ა. გვოზდევნი თავის სახელმძღვანელოში³², ა. რუდნევი³³, ვ. ბორკოვსკი³⁴ და სხვები.

როგორც ვხედავთ, უსრული წინადადების გაგება თავიდანვე არ ყოფილა ერთფეროვანი. თვით ი. პოპოვამ, რომელმაც ვრცლად დაახასიათა უსრული წინადადების აგებულება, დაიწუნა ტრადიციული ტერმინი („უსრული“) და შემოგვთავაზა „აქასრულშემადგენლიანი წინადადება“, სხვებმა კი ამჯობინეს მისთვის დაერქმიათ „წინადადება ელიფსური კონსტრუქციით“ (ვ. აღმონი და სხვები).

ვ. აღმონი წინადადების სისრულის ცნების გარკვევასთან დაკავშირებია საჭიროც თვლის გამოყოფის წინადადებათა სამი ტიპი. — ესენია: 1. გაუფრცობელი წინადადებები, რომელთა შემადგენლობა შემოზღუდულია წინადადებას მთავარი, აუცილებელი წევრებით. 2. ელიფსური წინადადებები, რომელთა შემადგენლობას აკლია თუნდაც ერთი მთავარი წევრთაგანი, რომელიც აუცილებელია წინადადებათა შესაფერისი ლოგიკურ-გრამატიკული სტრუქტურისათვის. 3. გაუფრცობილი წინადადებები, რომლებიც მოიცავენ არა მარტო მთავარ წევრებს, რომლებიც საჭიროა წინადადების მოცემული სტრუქტურული ტიპისათვის, არამედ სხვა წევრებსაც³⁵.

ვ. აღმონის აზრით, ელიფსური წინადადების შემადგენლობაში არა გააქვს წინადადების ერთი აუცილებელი წევრთაგანი, ან ამ საჭირო წევრის რომელიმე შემადგენელი ელემენტი. ამასთან ერთად ელიფსური წინადადება შეიძლება ელოდეს რიგ მეორეხარისხოვან წევრებსაც, ე. ი. იყოს გაუფრცობილი წინადადება³⁶.

როგორც ვხედავთ, ზოგი ენათმეცნიერი უსრულ წინადადებას უწოდებს ელიფსურს, ზოგისათვის ელიფსური წინადადება ერთ-ერთ სახეა უსრული წინადადებისა და ეწოდება ისეთ უსრულ წინადადებას, რომელსაც აკლია შემასმენელი.

ლ. ბლუშფილდი მიუთითებდა, რომ ყველა ენაში განსხვავდება წინადადებათა ორი ტიპი, რომელსაც შეიძლება ეუწოდოთ სრული წინადადება და უსრული (ელიფსური) წინადადება³⁷. აქვე ნათქვამია: წინადადე-

³¹ Современный русский язык, ч. II, Морфология и синтаксис, под ред. праф. Е. М. Галкиной-Федорук, М., 1964, გვ. 441; Е. М. Галкина-Федорук, К. В. Горшкова, Н. М. Шапский. Современный русский язык, Синтаксис, М., 1958. ამ კლასიკურ ნაშრომებში უსრული წინადადება ეკუთვნის ე. ვალკინა-ფედორუკს. С. Г. Бархударовი და Е. М. Крючков, Учебник русского языка, II, Синтаксис, М., 1964, გვ. 54. А. М. Земский, С. И. Крючков, М. В. Светлаев, Русский язык, II, 1963, გვ. 37.

³² А. Н. Гвоздев, Современный русский язык, Синтаксис, М., 1961, გვ. 174-183.

³³ А. Г. Руднев, Синтаксис современного русского языка, М., 1968, გვ. 20-31.

³⁴ Сравнительно-исторический синтаксис восточнославянских языков, Типы простых предложения, 1968, გვ. 194 და შეზღვევ.

³⁵ В. Г. Адмони, Введение в синтаксис современного немецкого языка, М., 1955, გვ. 182.

³⁶ იქვე, გვ. 183.

³⁷ Л. Блаушфилд, Язык, М., 1966, გვ. 180.

ბა, რომელშიც არა გვაქვს ჩვეულებრივ ხშირად ნახმარი ფორმები წინადადებისა, არის უსრული ანუ ელიფსურიობა³⁸. ამასვე იმეორებს ა. მუხინი³⁹.

ა. რეფორმატსკი აღნიშნავს: „რაც შეეხება უსრულ წინადადებებს, ისინი არაკონტრასტული არ წარმოადგენენ, არამედ არიან უბრალოდ ელიფსური კონსტრუქციისა, სადაც მეტყველებაში (და არა ენაში) გამოტოვებულია ის, რაც ადვილად აღიღინება კონტექსტის მიხედვით: Ты пришел вещи? — Пришел. აქ გამოტოვებულია ქვემდებარე და დამატება, რამდენადაც ისინი ნახსენებია კითხვაში“⁴⁰ და ა. შ.

სხვა ავტორები გამოყოფენ უსრულ წინადადებათა ორ ან სამ ტიპს. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია „Неполные предложения в современном русском языке“, რომლის ავტორი ი. პოპოვა, მართალია, უარყოფს უსრულ წინადადებებს, მაგრამ მაინც გამოყოფს „სიტუაციურ“ და ელიფსურ წინადადებებს. ამ უკანასკნელში გამოტოვებულია შემასმენლის ზმნური ნაწილი. ასეთია: „Татьяна и лес, медведь за ней“... „ელიფსურ წინადადებებში შემასმენლის ფუნქციას ასრულებენ მისი ჭკუფის წევრები — სახელები და ზმნისარტები“⁴¹ იმავე ი. პოპოვას სხვაგან აღნიშნული აქვს: ელიფსური წინადადება ეწოდება წინადადებას, რომელშიც გამოტოვებულია ზმნური შემასმენელი⁴².

ვ. ვალკინა-ფედორუკი შენიშნავს, რომ უსრული წინადადება სხვადასხვაა თავისი სასიათის მიხედვით, უსრულთა შორის შეიძლება განვასხვაოთ: 1. საკუთრივ უსრული და 2. ელიფსური წინადადებები. უსრული წინადადება უფრო ხშირად გვხვდება სასაუბრო მეტყველებაში, რომელშიც აზრის ახსნას ხელს უწყობს სიტუაციაც, გარემოც და წინამავალი მეტყველება⁴³. „ელიფსური წინადადება ეწოდება ისეთს, რომელშიც გამოტოვებული წევრი არ აღიღინება კონტექსტის მიხედვით და არაა ნაკარნახევი გარემოების მიერ. ელიფსური წინადადება, როგორც გარკვეული სახე უსრული წინადადებისა, სინტაქსურად იმდენად მყარია, გავრცელებულია და საერთო სახმარი, რომ თითქოს არ საჭიროებს შევსებას და გამოკლებული წევრის აღდგენას“⁴⁴.

უსრულ წინადადებათა ცალკეული ტიპების დახასიათებისას აღნიშნავენ, რომ გვაქვს: 1. კონტექსტუალური, 2. სიტუაციური და 3. ელიფსური უსრული წინადადებები.

1. კონტექსტუალურ უსრულ წინადადებას უწოდებენ ისეთ უსრულ წინადადებას, რომელთა გამოტოვებული წევრი დასახელებულია მომიჯნავე წინადადებაში. ამ ტიპის წინადადებებში შეიძლება იყოს გამოტოვებული ქვემდებარე (Желтые лилии раскрыты с самого восхода солнца, белые раскрываются часов в десять...), შემასმენელი (При гостях едят в столовой, а без гостей — в кухне), დამატება (Старый князь

³⁸ იქვე, გვ. 185.

³⁹ А. М. Мухин, Структура предложений и их модели. Ленинград, 1968, гв. 171.

⁴⁰ А. Реформатский, Введение в языковедение, М., 1967, гв. 338-339.

⁴¹ И. А. Попова, Неполные предложения в общ. русском языке. . . , гв. 56.

⁴² Современный русский язык, Синтаксис, под ред. Е. М. Галкиной-Федорук, М., 1957, гв. 325.

⁴³ Современный русский язык, II, под ред. проф. Е. М. Галкиной-Федорук, М., 1961, гв. 442.

⁴⁴ იქვე გვ. 445; შტრ. Е. М. Галкина-Федорук, К. В. Горшкова, Н. М. Шапский, Современный русский язык, М., 1958, гв. 137.

вспомнил о письме князя Андрея. — Получил от князя пышче, — сказал он княгине Марье, — не читала?), განსახლებება (Локотки ее делались все острее, пальцы — тоньше), გარემოება (В доме у них три комнаты. В одной спит Сережа с мамой, в другой тетя Паша с Лукьянычем, а третья столовая).

2. სიტუაციურს უწოდებენ წინადადებას, რომელშიც გამოტოვებული წევრი გასაგებია მეტყველების ვითარების მიხედვით. მაგ., შეიძლება წამოვიძახოთ: „მოდის“ იმის მაგივრად, რომ ვთქვათ „პროფესორი მოდის“; როცა გაიგონებთ სირენის ხმას, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ „განგაში!“ იმის მაგივრად, რომ ვთქვათ „გამოცხადებულია განგაში!“ და ა. შ.

3. ელიფსურს უწოდებენ ისეთ წინადადებას, რომელშიც შემასმენელი არაა დასახელებული და არაა აუცილებელი აზრის გამოსახატავად⁴⁵.

წინადადებათა ეს ტიპები არაა გამოყოფილი ერთი საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით, ამიტომ ნათელიც არაა, თუ რატომ გვაქვს ეს ტიპები.

ქართული ენის მასალაზე სრული და უსრული წინადადებების საკითხებს პირველად ეხედებით თ. ჟორდანიას „ქართულ გრამმატიკაში“⁴⁶. თ. ჟორდანიას წერს: «ყოველს წინადადებას უსათუოდ სჭირია ქვემდებარე და შესმენილი. თუ ერთ-ერთი არ არის, მკაზრი არ გამოვა. ამისთვის ესენი იწოდებიან მთავარ ნაწილებად წინადადებისა. გარდა ხშირად მოხდება, რომ ერთ-ერთი მათგანი არ არის, მაგრამ იგულისხმება კი: მაგ., ვსწერ, — იგულისხმება ქვემდებარე: „მე“. „ღედინაცვალი თვალში ნაცარი“ — იგულისხმება შესმენილი „არის“. „ბაღდადს ვირი (ღირს) კიტრადაო, ჯორი უნდა საგზალადო.“⁴⁷.

მამასადამე, თ. ჟორდანიას აზრით, წინადადების მთავარი ნაწილებია ქვემდებარე და შესმენილი. თუ ერთ-ერთი მათგანი გამოტოვებულია და იგულისხმება, გვაქვს უსრული წინადადება.

ა. ბენაშვილიც აღნიშნავს: „წინადადებაში არის ორი უმთავრესი ნაწილი: ა) ქვემდებარე და ბ) შესმენილი... (ხანდახან წინადადებაში ქვემდებარე არ არის, მაგრამ იგი უთუოდ იგულისხმება)“⁴⁸. ამის მიხედვით უსრულია წინადადება, თუ ქვემდებარე არ არის, მაგრამ იგულისხმება.

სილ. ხუნდაძე წერს: „სრული წინადადება იმისთანა წინადადებას ქვია, რომელშიც ქვემდებარე და შესმენილი გამოცხადებულია, მოხსენებულია: ჩუ, ტრედმა და იღულუნა! ნაკლული წინადადება იმისთანას ქვია, რომელშიც ან ქვემდებარე და ან შესმენილი არ არის მოხსენებული, არამედ საგულისხმოა, მოსაფიქრებელია, — მაგალითად: მკა ხომ ჩვენ არ დავვიწუნა (ე. ი. ტრედმა)? — ვანო თბილისში სწავლობს, სანდრო კი — ქუთაისში (უკანასკნელ წინადადებაში იგულისხმება შესმენილი სწავლობს)“⁴⁹.

თუ აღრე მხოლოდ ერთმანეთთან შედარებული იყო სრული და უსრული

⁴⁵ Ф. К. Гужва, Современный русский литературный язык, Киев, 1971, стр. 112-114.

⁴⁶ ქართული გრამმატიკა, თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, ტფილისი, 1887, გვ. 34.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ მოკლე ქართული გრამმატიკა, შედგენილი და გამოცემული ანდრია სიმ. ბენაშვილის მიერ, ტფილისი, 1894, გვ. 27.

⁴⁹ ქართული გრამმატიკა, სილოვ. ხუნდაძის მიერ შედგენილი მეოთხე გამოცემა, ქუთაისი, 1915, გვ. 88.

წინადადებები, აქ უსრულ წინადადებას თავისი სახელიც აქვს („ნაკლული წინადადება“).

სრულ წინადადებას განსაზღვრავს ი. ნიკოლაიშვილიც, თუმცა საპირისპირო უსრული წინადადების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი⁵⁰.

სრული და უსრული წინადადებები ერთმანეთთან მიმართებაში ახსნილი აქვს ი. სიხარულიძეს „სრული ეწოდება ისეთ წინადადებას, რომელშიც ქვემდებარეც არის და შემასმენელიც; ხოლო არასრული არის ისეთი წინადადება, რომელსაც აკლია ქვემდებარე ან შემასმენელი, ან ორივე მთავარი წევრი, ანდა ამხსნელი სიტყვა, მაგრამ წინა წინადადების აზრის მიხედვით ამ წევრებს ადვილად ვივარაუდებთ“⁵¹.

აკაკი შანიძე თავის „ქართული ენის გრამატიკაში“ მიუთითებს, რომ წინადადება სრულია, თუ მას არ აკლია რომელიმე წევრი. წინადადება უსრულია, თუ მას აკლია ერთი ან რამდენიმე წევრი, რომლებიც ადვილად იგულისხმება წინა ნაოქვამთან დაკავშირებით ან სხვა ვითარების მიხედვით. მაგ., „მთარახები ამთ, მთარახები!“ (ყაზ.). აქ იგულისხმება: „დაპკარით!“ „აბა, ბიჭო, ბანი!“ (ვჯა). აქ იგულისხმება: „მთარახი“⁵².

ა. შანიძისა და ლ. კვაჭაძის „ქართული ენის გრამატიკაში“ ნათქვამია: „მარტივი წინადადება სრულია ან უსრული. წინადადება სრულია, თუ მას არ აკლია (ე. ი. გამოტოვებულად არ იგულისხმება) რომელიმე წევრი, მაგალითები: „ზამთარი მოახლოვდა“ (ვჯა); „მთვარე ღრუბელს მოჰფარებოდა“ (ყაზ.). მოყვანილ წინადადებებში გამოტოვებულად არ იგულისხმება რომელიმე წევრი, მაშასადამე. ორივე წინადადება სრულია.

წინადადება უსრულია, თუ მას აკლია (ე. ი. გამოტოვებულია) ერთი ან რამდენიმე წევრი, რომლებიც ადვილად იგულისხმება წინა ნათქვამთან დაკავშირებით ან სხვა ვითარების მიხედვით“⁵³.

სრულსა და უსრულ წინადადებებს ვრცლად შეეხო ლ. კვაჭაძე „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“. აქვე წარმოდგენილია კარგად შერჩეული საელუსტრაციო მააღა. ლ. კვაჭაძის აზრით, „სრულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულად არ იგულისხმება რომელიმე აუცილებელი წევრი და კონტექსტისა თუ სიტუაციისაგან დამოუკიდებლად გადმოგვეცემს დამთავრებულ აზრს...“ „უსრულია წინადადება თუ მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (მთავარი თუ მეორეხარისხოვანი), რომლებიც ადვილად იგულისხმება კონტექსტის ან სხვა რაიმე გარკვეული პირობის მიხედვით. ასეთი წინადადება კონტექსტის თუ სიტუაციის გაუთვალისწინებლად მოკლებულია თავისთავადობასა და სტრუქტურულ დამოუკიდებლობას...“⁵⁴.

როგორც ვხედავთ, ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში არაერთხელ მიუქცევიათ ყურადღება წინადადების სისრულის საკითხისათვის. გამოთქმულია ფასეული მოსაზრებანი.

ჩვენ გვინდა ამ შემთხვევაში წინადადების სისრულის საკითხი განვიხილოთ ცალკე ადგილზე მარტივ წინადადებებში ისე, რომ მოვლენა დაუქვემდებაროთ წინადადების მთავარი წევრების მონაწილეობა-არმონაწილეობას.

⁵⁰ ი. ნიკოლაიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ტფილისი, 1929, გვ. 124.

⁵¹ ი. სიხარულიძე, ქართული ენის გრამატიკა, ტფილისი, 1937, გვ. 113.

⁵² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი, 1948, გვ. 85.

⁵³ ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, VII—

VIII კლ. სახელმძღვანელო, თბილისი, 1966, გვ. 52—53.

⁵⁴ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 206—208.

წინადადების აგებულების საკითხი ბოლომდის შესწავლილი არ არის, რომ ყურადღება არ მივაქციოთ აზრთა სხვაობას, რომელიც ამ საკითხის განხილვას ახლავს. ცხადია, უსრული წინადადების გაგებაც არაა ნათელი. ხშირად უსრული წინადადების გამოყოფისას ემყარებიან რთულ წინადადებას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი თუ სხვა საჭიროების გამო განმეორების თავიდან აშორების მიზნით გამოტოვებს ისედაც ადვილად საგულებელ წევრს, რომელიც წინა წინადადებაშია წარმოდგენილი. ამის გამო მომდევნო წინადადება, შემაღგენელი ნაწილი რთული წინადადებისა, უსრული სახითა მოცემულია. აღებულია არა ცალკე წინადადება, არამედ მთელი კონტექსტი და უსრული წინადადებაც ამ კონტექსტის ერთ-ერთი ნაწილთაგანია, ჩვეულებრივად უკანასკნელი ადგილის მქონე. ასეთს წინადადებას საპირისპირო სრულ წინადადებასთან შედარებით შეიძლება აკლდეს ერთი ან რამდენიმე პირველი თუ მეორეხარისხოვანი წევრი.

გამოდის, რომ მარტივი წინადადება, რომელიც სრულია ცალკე აღებული, უსრულია სხვა წინადადებასთან მიმართებით. ამის ნიმუშად იღებენ ასეთ მონაკვეთს: „В доме у них три комнаты. В одной спит Сережа с мамой, а другой тетя Паша с Лукьянычем; а третья столовая“. ამ რთულ სინტაქსურ კონტექსტში გამოტოვებულია სიტყვა комнате, რომელიც ადგილის გარემოება უნდა ყოფილიყო, მაშასადამე, წინადადება უსრულია გარემოების ნიხედვიით¹¹.

მთელ კონტექსტისათვის დამახასიათებელი ეს ვითარება ცალკე აღებული მარტივი წინადადების სისრულეს დასადგენად ვერ გამოდგება. გამოდის, რომ ვმსჯელობთ უსრულ წინადადებაზე, გამოვყოფთ მას კონტექსტში, მაგრამ ცალკე აღებული მარტივი წინადადების ანალიზისას ვერ ვახერხებთ ასეთი უსრული წინადადების გამოყოფას. რომელსაც აკლია ადვილად საგულისხმებელი მეორეხარისხოვანი წევრი.

ავიღოთ ასეთი წინადადებები: „ლუარსაბი გაუტკბილდა მეუღლესა“. ეს წინადადება უსათუოდ სრულია. ასევე სრულად მივიჩნევთ ასეთ წინადადებებს: „ლუარსაბი შაქარსავეთ გაუტკბილდა მეუღლესა“. „გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავეთ გაუტკბილდა მეუღლესა“. „გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავეთ გაუტკბილდა თავის მეუღლესა“. „გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავეთ გაუტკბილდა თავის გამარჯვებულს მეუღლესა“. და „გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავეთ გაუტკბილდა თავის ამჟამად გამარჯვებულს მეუღლესა“ (ილია, ერთტომ., 260).

უკანასკნელი წინადადებაც, ცხადია, სრულია: ამ წინადადების ყველა წევრი, მთავარიცა და მეორეხარისხოვანიც, საჭიროა. ამას გვაფიქრებინებს ნაწარმოების მთელი კონტექსტი. თუ სრულად მხოლოდ ბოლო წინადადებას მივიჩნევთ, რაკი დანარჩენს აკლია ესა თუ ის მეორეხარისხოვანი წევრი, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ყველა დანარჩენი წინადადება უსრულია. ეს კი სწორი არ იქნებოდა.

ახლა ავიღოთ სხვა წინადადებები: „ერთხელ ეანომ დამის ძიღნი მეტად საამური სიზმარი ნახა“ (ი. გოგებაშვილი). ეს წინა-

დადება უსააუოდ სრულია. მაგრამ რა საბუთი გვაქვს, რომ უსრულად მივიჩნიოთ ამ წინადადების შემოკლებული ვარიანტები:

„ვანომ სიზმარი ნახა“. „ვანომ საამური სიზმარი ნახა“. „ერთხელ ვანომ საამური სიზმარი ნახა“. „ერთხელ ვანომ მეტად საამური სიზმარი ნახა“. „ერთხელ ვანომ ძილში მეტად საამური სიზმარი ნახა“.

ახვევ: „ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირად მაჩინს თეთრი თოვლით დაფარული მზის სხივებით აფერილი მყინვეარი“ (ნ. ლორთქ. I, 551). ეს წინადადება მარტივი გავოცობილია, სრულიც. წინადადების გაფორმებაში აქაც ყველა სიტყვა მონაწილეობს, ზედმეტი სიტყვა არა გვაქვს. განა ეს გვაძლევს იმის უფლებას, რომ თუ ზოგ მათგანს. რომელიც შეიძლება ადვილადაც ვიგულისხმობთ, გამოეტოვებთ, მისი გამოტოვების შემთხვევაში წინადადება უსრულად მივიჩნიოთ? ამიტომ უნდა დავუშვათ. რომ მარტივი წინადადების სისრულის საკითხს განსახლებრავს შემასწავლელი-ზმნა და მასთან პირის მიხედვით დაკავშირებული სიტყვები.

რთული წინადადების შემადგენელ მარტივ წინადადებაში წვერთა გამოტოვება ვარკვეულ კანონზომიერებას ემყარება. ეს ცალკე საკითხია და კარგადაა ნახვევები ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში⁵⁶.

წინადადების პირველი და მეორეხარისხოვანი წვერები ერთმანეთთან სხვადასხვა სიძლიერის სინტაქსურ ურთიერთობას ამჟღავნებენ. ამის შედეგად მთავარი წვერები (შემასმენელი, ქვემდებარე, პირმომართი დამატებები) ქმნიან ძირითად ნიშნებს; მეორეხარისხოვანი წვერები კი მათ უკავშირდებიან შეთანხმებით. მართვით, ან მირთვით. ამიტომ ვამბობთ, რომ წინადადების სისრულის დასადგენად მნიშვნელობა აქვს მთავარ წვერებს.

წინადადება სრულია იმ შემთხვევაში, როდესაც რეალურად წარმოდგენილია შესიტყვებით გათვალისწინებული მთავარი წვერები (შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება)⁵⁷. წინადადების სისრულის დასადგენად ვენყარებით ზმნა-შემასმენელს.

ა) შემასმენლად ერთპირიანი ზმნაა: ერთპირიანი ზმნასთან პირიანობის მიხედვით ერთი სახელი — ქვემდებარე დაკავშირებული, ამიტომ აქ ქვემდებარე და შემასმენელი ქმნიან სრულ წინადადებას. თუ ერთ-ერთი მათგანი გამოტოვებულია, წინადადება იქნება უსრული. მაგ.: უფრო გამალებული წაყიდა პეტრე აელაბრის ბაყებისაკენ (ილია, ერთტომ., 331). პეტრე გაოცდა (იქვე, 329). მზე გადაიხარა (იქვე, 322). ლუარსაბი მოვიდა (იქვე, 356).

ორპირიანი ზმნასთან ორი სახელია დაკავშირებული: გარდამავალთან — ქვემდებარე და პირდაპირი დამატება, გარდაუვალთან — ქვემდებარე და ირიბი დამატება. შემასმენელთან ერთად თუ რეალურად წარმოდგენილია ორივე მთავარი წვერი, წინადადება იქნება სრული.

ბ) შემასმენლად გარდაუვალი ორპირიანი ზმნაა: დამკამოეთსუვა ქვეყანას (ილია, ერთტომ., 352). ოთხი ურემი ოთხკუთხივ მოღვგომოდა სათიფეს (იქვე, 370). კარებში მიხას ცეცო შეეტაკა (ს. მგალ.,

⁵⁶ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1948, გვ. 85—86; ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, 1956, გვ. 52—53; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 206—208.

⁵⁷ ა. კიხიძე, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი, 1963, გვ. 95; ა. დავითიანი, მარტივი წინადადების სახეები წვერთა შედგენილობის მიხედვით, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1967, № 3, გვ. 38.

298). ჯოჯობეთს კიდევ ერთი მუგუზალი მიემატა (გ. ლეონ., 147). ამ კარებს გაგიჟებული კამეჩი სამჯერ დაეძგერა (მ. ჭავჭავ., III, 283).

გ) შემასმენლად გარდამავალი ორპირიანი ზმნაა: ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში (ილია, ერთტომ., 331). მოხუკა თვალი ქვრივსა (ილია, 371). პირველ დღესვე არჩილმა ეენახში წაიყვანა გიორგი (იქვე, 362). ცეცხლმ შემოატრიალა წუწვი წიქარა (ს. მგალ., 352). ხარბმა ხედილამ სიკვდილიც კი აღრე მიისაკუთრა (გ. ლეონ., 56). სწრაფად შეაყენა თოხი ტარიელმა (ლ. ქიან., II, 89).

ღ) შემასმენლად სამპირიანი ზმნაა: სამპირიან ზმნა-შემასმენელთან სამი სახელია დაკავშირებული. ზმნასა და სახელებს შორის რთული სინტაქსური ურთიერთობაა დამყარებული.

წინადადება სრულია, თუ ზმნასთან ერთად წარმოდგენილია სამივე სახელი. მაგალ: დედას გულმა ტეხა დაუწყო (ილია, ერთტომ., 361). ტარიელმა თვალი მოკრა ბაჩუს (ლ. ქიან., II, 108). კამერაში არჩილს საპატია აღვილი დაუთმეს ამხანაგებმა (იქვე, 296). ერვანდმა ცოლს ხელი წამოაგლო (ს. მანშ., 36). გიორგიმ მარლად მოაგლო მარგილს ხელი (ს. მგალ., 415).

უსრულია წინადადება, როცა გამოტოვებულია ერთ-ერთი მთავარი წევრ-შემასმენელი, ეჭვმდებარე, პირდაპირი დამატება, ან ირიბი დამატება.

წ) გამოტოვებულია შემასმენელი. შემასმენლის გამოტოვება ხდება მაშინ, როდესაც ერთნაირი მოქმედების ან მდგომარეობის განმეორებაა: შემასმენლის განმეორების თავიდან ასაცილებლად მოსალოდნელი მომდევნო შემასმენლები არაა წარმოდგენილი. თუ შედგენილი შემასმენელია, გამოტოვება საერთო. მაგ.: — შენ არ თქვი, ბალანე რომ ხეეტას დაიწყებს და ციფუნია პირის ბანას — სტუმრები მოვლენო (ნ. ლორთ., I, 604). — არჩილი აქ არის? — კი, ბატონო! — თამაზი? — თამაზიც! — ნოდარი? — აქ ვარ, ბატონო! (ნ. დუმბ., „მზიანი ღამე“, 44). ზოგნი ნაოლორის ეძახდნენ, ზოგნი — აპოლონის (მ. ჭავჭავ., III, 49). მამით გურული ვარ, დედით — მეგრელი, აღზრდა — დაბადებით კი იმერელი (მ. ჭავჭავ., III, 54).

შემასმენლის გამოტოვება ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეგვევ შემასმენელი წინა წინადადებაშია ნასენები, ან შემასმენლით გამოსატყუარი მოქმედება შედეგია იმ მდგომარეობისა, რომლის ახსნა მომდევნო შესიტყვებებითაა გადმოცემული: — შენ რაღად, ჩემო გაბრიელ? შენ რაღად, რაღად? — ქვითინებდა ის ტანჯული კაცი (ილია, ერთტომ., 240).

„შენ რაღად“ უსრული წინადადებაა და ის გასაგებია მას შემდეგ, როცა წინადადება წინადადებებს გავითვალისწინებთ: როდესაც გადასასახლებლად გამოადებული ორი უდანაშაულო ადამიანი — ჰეპია და გაბრიელი ერთმანეთს შეხვდებან. გაბრიელი გადმოგვცემს: „— ჰეპიავ, კაცო, შენა ხარ? — გაოცებით შეეყვირე საცოდავსა. იმან თავი მალა აიღო და შემოპხედა. — შეილო, გაბრიელ! — დაიბღვლა საცოდავის ხმით, — შენც აქა ხარ?.. — შენ რაღად, ჩემო გაბრიელ, შენ რაღად, რაღად?..“ ასეთივეა: „დაწიოკებული სუფრა... დაჯოჯბული დვინის წამონალეკი...“ (გ. ლეონ., 156). ეს უშემასმენლო წინადადებები ვაუგებარია, თუ არ გავითვალისწინებთ წინამაჟალი ვითარება: აი, ესენიც: „წამიძილადგენ. შეიქნა ზედახორა, ქლეხა. ერთმანეთი დაქორრეს, აბუმბლეს, სუფრა დაარიალეს. სუფრის ბოლოში იგრილა კურკელმა, დაიფშენა, ჩანაპუქდა ერთიანდ. ფრთხილმა სტუმრებმა იჩქარეს, — გაცლა სჯობსო, — ხელურთპირად გარბოდნენ, თითქოს ფული მოუპა-

რიათ და ეშინიათ ზედ წასწრებისაო...“. ამისი მსგავსია: „— დ ე დ ი, პ უ რ ი, პ უ რ ი — სშირად შესძახებდნენ ბალები დედას“ (გ. ლეონ., 84). „— თქვენი გეარო და სახელი? — კვაქს მეხი დაეცა და ციემა ოფლმა დაასხა“ (მ. ჭავჭავ., III, 185)...

ქართული ენა ნაკლებად მიმართავს შემასმენლის გამოტოვებას. შემასმენლის გამოტოვება ხშირია დიალოგებში.

2. გამოტოვებულთა ქვემდებარე ქვემდებარის გამოტოვება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია წინამავალი წინადადების ქვემდებარის ან პირმიმართი დამატების განმეორება მომდევნო წინადადებაში. მაგ.: გიორგის გულში მოხვდა ეს უკანასკნელი სიტყვა. ა ი ტ კ ი ც ა, ე ჭ ა ე რ ა. კ ა რ გ ა დ ა ც ვ ე რ მ ი ე გ ნ ო, — რად უხსენა დედამ ჭადო (ილია, ერთტომ., 350). სულ ამ ვენახის მიწისათვის ეკინჭრებოდა ჩირიკს. გულნამცეცა ჩიკოტელა. ბ ო რ ე რ ო მ გ ზ ა ს ა ც ა რ ე რ ი დ ე ბ ო ღ ა (გ. ლეონ., 89).

ასეთივე წარმოშობისაა სხვა უსრული წინადადებებიც: ქმრის ანდერძს არ უღალატა (ილია, ერთტომ., 342). ერთხელ ერთმანეთს ქუჩაში წააწყდნენ (მ. ჭავჭავ., III, 79).

მაგრამ თუ წინადადებები ისე ეწყობიან ერთმანეთს, რომ არ ხდება წინამავალი წინადადების ასეთი წევრის განმეორება მომდევნო წინადადებაში, მაშინ ჩვეულებრივ სრული წინადადებები გვაქვს. მაგ.: მზე გადაიხარა. თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო. იმ ენაჩავარდნილმა ადგილმა გაიხმაურა. აიშალნენ მეურმეები თვალების ფშენებითა (ილია, ერთტომ., 322). ბეჟანიშვილის მოჭამაგირეს ურმით საფეკვაე მოჰქონებოდა შინ. იმ ოჯახდაქცეულს თავსუბუქად დაედო. კამეჩები თურმე ყელში ხრიალებდნენ, ისე წასქეროდათ აპეტურები. ოთარაანთ გიორგი გზად მოდენილა თურმე... (ილია, იქვე. 348).

თავისებურია ისეთი შემთხვევები, როდესაც ქვემდებარედ პირველი ან მეორე პირია. ასეთ დროს ქვემდებარედ პირის ნაცვალსახელები გვაქვს. ნაცვალსახელი შეიძლება არც იყოს წარმოდგენილი: ჩვეულებრივ გამოტოვებულია და წინადადებაც უსრულია. მაგ.: მე ჩემს ყურებს არ დავუჭერე ეს უეცარი ჩემის ნატვრის ასრულება (ილია, ერთტომ., 231). მე ჩახტი (ნ. დუმბ., 126)... მაგრამ: ერთ საღამოს განათებულ მალაზიის ფანჯარაში გამოფენილ სურათებს შევაჩერდი (ნ. ლორთ., I, 490). მხიარულად მიეცუნტულე (მ. ჭავჭავ., III, 433). ქუთაისში მივალ სამულამოდ (იქვე, 42)... ასევე: შენ გოვო ლამაზად მორთე (ილია, ერთტომ., 292). შენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე (იქვე, 162). მაგრამ: რას იზამ მაშინ, ა? (დ. კლდ., I, 106). რაღას აგვიანებთ? (იქვე, 104)...

3. გამოტოვებულთა პირმიმართი დამატებები. წინადადების სისრულეში მონაწილეობენ პირმიმართი დამატებებიც. ერთ-ერთი მათგანის დაკლება წინადადებას უსრულად აქცევს. ხშირად გამოტოვება ხდება იმის გამო, რომ წინამავალ წინადადებაში ქვემდებარედ ან რომელიმე დამატებულ შეიძლება იყოს ნახსენები ესა თუ ის დამატება.

ა) გამოტოვებულთა ირიბი დამატება. შემასმენლად ორპირიანი გარდაუვლები ზმნაა: მიწა საქათმის ქვეშ ფხვიერი დაუხვდა (გოგება., 54). [მელამ მიაგნო საქათმესა და დაუწყო ძირს გამოთხრა. მიწა საქათმის ქვეშ ფხვიერი დაუხვდა...]. და ასე: თბილი-

სის სადგურზე გიორგი ისევ დამეწია (ნ. ლორთქ., I, 159). მე დავშორდი (ილია, ერთტომ., 204)...

ბ) გამოტოვებულთა ირიბი დამატება. შემასმენლად სამპირიანი გარდამავალი ზმნაა: თავადმა ძველის წესით ღრმ: სალამი მისცა (ნ. ლორთქ., I, 166). [მოსაუბრეთ მიუახლოვდა თავადის ახლობელი ნათესავი, დიდი მემამულე, აზნაური ფილიპე თამლაძე. თავადმა: ძველის წესით ღრმა სალამი მისცა]. და ასე: გლახუკამ რაღაც ლაპარაკი დაუწყო (ილია, ერთტომ., 204). გიორგიმ ამის თქმანზედ ფეხი კიდევ წაჰკრა (იქვე, 346).

გ) გამოტოვებულთა პირდაპირი დამატება. შემასმენლად გარდამავალი ზმნაა: ელისაბედმა დაბალი ხმით დაიწყო (ილია, ერთტომ., 274). თეოფანემ ძლივს დაამშვიდა (მ. ჭავჭავ., III, 133). მავის კაცებმა წამართვეს (ნ. ლორთქ., I, 670) და ა. შ.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა პირმიმართი დამატება აღრეა დაკარგული გამოტოვებული კი არ არის, გამქრალია, ან გადაკეცილია უბრალოდ დამატებად.

ასეთი დაკარგვა ან ერთი წვერიდან სხვა წვერად გარდაქმნა (როდესაც პირმიმართ დამატებათაგან ვიღებთ პირმიუმართავ (უბრალო) დამატებას, ან ადგილის ვარემოებას) წინადადების სისრულეზე ვერ მოქმედებს: ასეთი წინადადება სრულია. მაგ.: შვილმა შეჰხედა დედას (ილია, ერთტომ., 354). ლევანმა მასთან მყოფ ამხანაგებთურთ დაუყოვნებლივ მიაშურა დანიშნულ ადგილას (ლ. ქიაჩ., II, 67). მფრინავმა მანქანამ ჭექა-ქუხილით გადაუარა ხალხს (ლ. ქიაჩ., IV, 66). მატარებელმა შხუილით ჩაურბინა ბარცხანას (მ. ჭავჭავ., III, 43)... აქ შემასმენლებად გვაქვს შეჰხედა, მიაშურა, გადაუარა, ჩაურბინა... ყველა მათგანი ამჟამად ორპირიანი ზმნაა, წარმოშობით კი — სამპირიანი. ამაზე მიუთითებს მოთხრობითში დასმული სუბიექტი (ქვემდებარე) და მიცემითში დასმული ობიექტი — ირიბი ობიექტი.

ორპირიან გარდამავალ ზმნასთან ორი სახელია დაკავშირებული: სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი... აქ კი გვაქვს სუბიექტი და ირიბი ობიექტი, მაშასადამე, ეს ზმნები წარმოშობით სამპირიანებია და პირდაპირი ობიექტის გაქრობით ორპირიანები გამხდარან. პირდაპირი ობიექტის დაკარგვის შემდეგ დარჩა მოთხრობით ბრუნვაში დასმული სუბიექტი და მიცემითში დასმული ობიექტი, რომელიც გარდამავალი ორპირიანი ზმნა-შემასმენლისათვის არაა დასახსიათებელი.

უფრო რთულია საკითხი, როცა იკარგება ირიბი ობიექტი. ასეთ შემთხვევაში სამპირიანი გარდამავალი ზმნისა და მასთან დაკავშირებული სახელების აგებულება მთლიანად ემთხვევა ორპირიანი გარდამავალი ზმნისა და მასთან დაკავშირებული სახელების აგებულებას. ქრება ირიბი ობიექტი ისე, რომ მისი კვალის დასადგენად სათანადო ძიებაა საჭირო.

ასე მაგალითად. უძველეს ქართულში დასთესა ზმნა სამპირიანი იყო. ამ ტიპის სხვა ზმნებიც (დაჰბადა, დაჰფლა...) ირთავდნენ ირიბი ობიექტის ნიშანს და ენებიოს აწარმოებდნენ სამპირიან ზმნათა მსგავსად. შემდგომ ირიბი დამატება იქცა წინადადების მეორესხარისხოვან წვერად ან უკვლოდ გაქრა. მაგ.: რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თვისა: DE მ 13, 24, შდრ. რო

მელ-იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა: DE მ 13, 23... რომელ-იგი გზასა ზედა დაეთესა: DE მ 13, 19⁵⁸.

სსეავგარად წარმართა აიძულეს ზმნის სინტაქსური კონსტრუქცია. მისი უძველესი სახეა: „იგი აიძულეს მას მას“. ამ შემთხვევაში აიძულეს საშვირიანია: უკავშირდება სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი (მაგ., აიძულა მონაზონსა მას დატევებამ დაბისაჲ მის: ლი- მონ. 85,8; მაშინ აიძულა იესუ ანდრეას ჭამაჲ ჰურისაჲ: ვერს. 24. 14). პირდაპირი დამატების დაკარგვით მივიღეთ: იგი აიძულეს მას — მან აიძულა მას: ქვემდებარე — მოთხოვითში, ირიბი დამატება — მიცემით- წი. განვითარების შემდგომ პერიოდში ირიბი დამატება გადაიქცა პირდაპირ დამატებად⁵⁹.

ამ ისტორიულ ცვლილებებს თანამედროვე ქართულში წინადადების სის- რულესთან კავშირი არა აქვს: როცა აღდგენაზე ელაპარაკობთ, ვგულისხმობთ გამოტოვებულის აღდგენას და არა დაკარგულის აღდგენას.

58 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 75—81; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი, 1971, გვ. 324—334.

59 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 347; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბილისი, 1963, გვ. 182; მისივე, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, ნაწ. II, გვ. 331—335; ა. კიზირია, მარტივი წინადადე- ზის შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 161.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

ლია ლასაბიძე

ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა სემანტიკური და სინტაქსური კავშირი ზმნასთან თანამდროვე ქართულში

ქართული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ზმნის კატეგორიის მაჩვენებლების უშუალოდ დაკავშირება სახელის ბრუნვის ფორმასთან. მთლიანი წინადადების გაფორმება დამოკიდებულია ზმნის ფორმაზე¹.

